ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№148 (207) 6-13 დეკემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“МОШИАШВИЛИ, С ВЕЩАМИ...”

(ღია წერილი საქართველოს პარლამენტის წევრს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ბატონ პეტრე ცისკარიშვილს)

ერთი რამ გულდაჯერებულად შემიძლია დავამტკიცო – საქართველოს შესეულ ქართულ ხელისუფლებაში არნახული რაოდენობის სომხების ფონზე, გაოცებულიც კი ვარ, თუ თქვენ და ვანო მერაბიშვილი, ძირძველი ქართველი ადამიანები, როგორ მოხვდით ამ **“გაუგებრობაში”.**

რატომ, მაინცა და მაინც, მე მწერთ ამ წერილსო, ალბათ იკითხავთ. თუნდაც იმიტომ, რომ დღეს, თუნდაც პირობითად, სწორედ თქვენ ითვლებით **“ნაციონალებად”** წოდებული იმ მატარებლის მემანქანედ, რომელიც უკვა დიდი ხანია გაუნძრევლად დგას დეპოში და თქვენ ამ დათრგუნულ ქართულ საზოგადოებაში მატარებლის წინსვლის ილუზია რომ შექმნათ, მხოლოდ ადგილზე აჯანჯღარებთ მას!

თქვენ, როგორც ყოფილმა მოკრივემ, კარგად იცით, თუ რაოდენ დიდ დარღვევად ითვლება წელს ქვემოთ დარტყმა. მას შემდეგ, რაც ქართული პოლიტიკურ სივრცეში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, თქვენ მხოლოდ წელს ქვევით ცდილობთ მისთვის დარტყმის მიყენებას, რაც, როგორც სპორტში, ასევე პოლიტიკაშიც, მეტად საძრახისი საქციელია. რაც შეეხება სააკაშვილს, მას წელს ქვემოთ დარტყმის ნამდვილად არ ეშინია, რადგან **“კვერცხები”** ბათუმში დასტოვა, ხოლო თბილისში მის მიერ დადგმულ **„ახლართულ“** ველოსიპედზე შემჯდარს, წელს ქვემოთ დასარტყმელად ნამდვილად ვერავინ შესწვდება!

ბატონო პეტრე, თქვენი ქართული ბუნება თუნდაც იმით შემიძლია დავადასტურო, რომ თქვენ (მეც) სპორტსმენი ბრძანდებოდით, თანაც მოკრივე და უშიშრად უდექით ხოლმე წინ თქვენს თუნდაც თქვენზე ძლიერ მოწინააღმდეგეს. სომხები კი, როგორც მწარე ისტორიული რეალიები ღაღადებენ, მხოლოდ იმ მოწინააღმდეგესთან გადიოდნენ რინგზე, რომელზე გამარჯვებაც ფულით თუ ძლიერი მფარველის წყალობით, გარანტირებული ჰქონდათ!

სწორედ ეს გვაოცებს – როგორ შეიძლებოდა, რომ მებრძოლი სულისკვეთების მქონე ადამიანს ისე შეგცვლოდეთ ზნე, რომ ამტკიცებდეთ იმას, რისიც, დარწმუნებული ვარ, გულის სიღრმეში თავადაც არ გჯერათ.

არ დამავიწყდება, როგორ უყვარდით ყველას, რაც გამოვლინდა მაშინ, როცა არაკაცებმა ბანდიტურად გაგიტაცეს და პანკისის ხეობის გზას გაგიყენეს. ლამის მთელი საქართველო დადგა მაშინ ფეხზე თქვენი განთავისუფლების მოთხოვნით. ხალხს იმ სპეციალურად თუ ობიექტურად გავრცელებული ხმებისაც კი არ ეჯერათ: **“პეტრე ცისკარიშვილი იმიტომ გაიტაცეს, პანკისის ხეობაში, რომ ნარკომაფიას ნარკოტიკების ფული არ გადაუხადაო”!** არ დაიჯერეს თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანები ყველა სიბოროტის სათავედ ედუარდ შევარდნაძეს და მის ბანდას მიიჩნევდნენ, ყველა მასთან მებრძოლი კი ლამის უსამართლობასთან მებრძოლ ეროვნულ გმირთან ასოცირდებოდა.

დიახ, თქვენ მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ებრძოდით და ამიტომაც უყვარდით ხალხს.

მართლაც გაიხარა მაშინ სრულიად საქართველომ, როცა თქვენ გამტაცებლებისაგან თავდახსნილი გიხილათ!

ალბათ ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა მაშინ, რომ თქვენ თავად აღმოჩნდებოდით იმ უწმინდურ ძალთა შორის, რომელსაც დღეს დასანახად ვერ იტანს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის გარემოცვას უკვე მაშინ ჰქონდა ავტორიტეტი დაკარგული, როცა იგი შევარდნაძის ბინძური წიაღსვლების წყალობით საქართველოს ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა (გაიხსენეთ ჟვანია-სააკაშვილის ინიციატივით ჩვენი პირადობის მოწმობიდან **“ეროვნებისა”** და **“მამის სახელის”** გრაფის გაქრობა და სხვა უბედურობებიც...). სწორედ ის ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუცია”** უნდა გაეთამაშებინა სიყალბესა და პოლიტიკურ თაღლითობებში ტოლდაუდებელ ედუარდ შევარდნაძეს, რადგან დემოკრატიული არჩევნების გზით, ჯერ კიდევ მანამდე გიჟად შერაცხული მიხეილ სააკაშვილი სათოფეზეც კი ვერ მიუახლოვდებოდა საქართველოს პრეზიდენტის სავარძელს!

თქვენი უბედურება და თუნდაც მცირე ავტორიტეტის გაცამტვერება მაშინ დაიწყო, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ჩოხა მოირგეთ!

არავინ იცის, რა უბედურობები დატრიალდა მაშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ უწყებიდან მაინც გამოვიდა ხმა დიდძალის გრანტებისა და საბიუჯეტო თანხების გაფლაგვისა და მითვისების თაობაზე. მსხვილი თანხების მითვისება კი, ნებისმიერ სამინისტროში, მინისტრის უშუალო მონაწილეობის გარეშე კატეგორიულად გამორიცხულია.

ახლა კი თქვენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ბრძანდებით და რეალური წვლილი მიგიძღვით ყველა იმ უბედურებებში, რაც ამ **„ინდაურთა“** პარლამენტმა თავს დაატეხა საქართველოს და ქართველ ხალხს!

არ ვიცი, იმ დროს იყავით თუ არა მინისტრი, როცა ბიძინა ივანიშვილმა 450 ტრაქტორი გამოუგზავნა საჩუქრად ქართველ გლეხობას. ფაქტია, რომ ამ ტრაქტორებმა თავიანთი დანიშნულება ვერ შეასრულეს, რისი მიზეზიც ალბათ მალე იქცევა განსაკუთრებული გამოძიების საგნად.

ივანიშვილზე ჩამოვარდა საუბარი და ერთი რამეც უნდა გითხრათ.

თქვენ ჩვენზე კარგად იცით, რომ, ბოლო ხანს, ქართველი საზოგადოება ნიჰილიზმს, სასოწარკვეთას იყო მიცემული. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ კი გამოცოცხლდა. გამაოგნებელი იყო ყველასათვის ამ ქველმოქმედი ადამიანისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა. ნუთუ ოდნავი პროტესტის განცდა არ გაგიჩინათ იმ წრესგადასულმა ცინიზმმა, რომ საქართველოს ამაოხრებელმა სომეხმა სააკაშვილმა მოქალაქეობა ჩამოართვა საქართველოს მართლა აღმშენებელ ბიძინა ივანიშვილს?

ამის შემხედვარეს, ნამდვილად აღარ მიკვირს, სვეტიცხოვლის ამშენებელ არსაკიძეს რომ ხელი მოსჭრეს ვიღაც გადამთიელის წადილითა და მცდელობით...

სილამაზის კონკურსში გამარჯვებული ერთერთ გოგონა რუსეთის მოქალაქე იყო და როგორც ვიცი, ია კიწმარიშვილის თხოვნით, ზუსტად ორ საათში მისცეს საქართველოს მოქალაქეობა. იმ გოგოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ლამაზია და ღმერთმა გაუმარჯოს, მაგრამ მისთვის თუ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობის ორ საათში მინიჭება, ივანიშვილისთვის რატომ არ შეიძლება?

ფაქტია, რომ ხელისუფლება იურიდიული და მორალური წესების გარეშე მოქმედებს. თქვენ ყველანაირ ილეთს გამოიყენებთ ბინძური სკამების შესანარჩუნებლად...

ისე მაინც რატომ არ დაეკითხეთ სააკაშვილს, რომელიც დღედაღამ რუსების გინებაშია, რუსეთის მადიდებელი ნიკიტა მიხალკოვის ქალიშვილის ქორწილში რამ მიიყვანა, იმასთან ჭიქა როგორ ასწია? რომელიმე ოპოზიციონერს რომ იქ მისვლა გაებედა, თქვენი გოშიების როლში მყოფი მასმედიის საშუალებები ხომ წამსვე ქვეყნის მოღალატედ და რუსეთუმედ გამოაცხადებდნენ?!

თქვენ, ქართველ, ჭეშმარიტად მართლმადიდებელ (ამაში 100 პროცენტით ვართ დარწმუნებულები) ადამიანს, ნუთუ ერთხელ მაინც არ გაგიჩნდათ იმის სურვილი, გეთქვათ სააკაშვილისათვის, რომ ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს, უწმინდესსა და უბრძნეს ილია მეორეს ქვეყნის საგარეო საქმეების დალაგებაში!

გაიხსენეთ, რუსეთში ჩასულ ქართველ პატრიარქს როგორ ემთხვივნენ მუხლმოდრეკით რუსეთის უმაღლესი მმართველები და როგორ დაჰპირდნენ პერევიდან ჯარის გაყვანას, რაც დაიწყეს კიდეც, მაგრამ შეაჩერეს სააკაშვილის უაზრო და უზრდელური განცხადებების შემდეგ. და რომ არა ილია მეორის მართლაც აუწონავი ავტორიტეტი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, პერევში დღესაც რუსული ჯარი იდგებოდა და ადგილობრივ მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ ექნებოდა.

ნუთუ დღემდე ვერ დარწმუნდით, რომ საქართველოს მიხეილ სააკაშვილის 8-წლიანმა მმართველობამ ბევრად უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე შუა აზიელი შარაგზის ყაჩაღის თემურ-ლენგის 8-გზის შემოსევამ და შაჰ-აბასის გაუთავებელმა სადამსჯელო ექსპედიციებმა?

ნუთუ ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით, რომ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიერ უაზრო ქმედებებმა საქართველოს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე ლამის ნულს გაუტოლა. ამით ხომ იგი სომეხ რეაქციონერთა ჩანაფიქრის რეალიზებას ახდენს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ბინძური ინტრიგებით ცდილობენ ყველას დარწმუნებას იმაში, რომ საქართველო არასდროს არ იყო ერთიანი სახელმწიფო და სომხების ზურგს იყო ამოფარებული?

განა სწორედ სოფლის მეურნეობის მინისტრად თქვენი მუშაობის დროს არ გაჩნდა საერთაშორისო ბაზარზე **“სომხური საფერავი”, “სომხური გოზინაყი”, “სომხური ჩურჩხელა”, “სომხური ხაჭაპური”,** რაზედაც თქვენ ერთხელაც არ დაგცდენიათ პროტესტის სიტყვები?

ან იმაზე მაინც ამოგეღოთ ხმა, რომ ბუნებაში არ არსებობს სომხური **“ჩაკრულო”** და სომხური **“მრავალჟამიერი”**. ასე როგორც დაგაშინათ სომეხმა ჩარჩმა და მხდალმა მიხეილ სააკაშვილმა ეს გულადი, მებრძოლი სულის მქონე ადამიანი, რომ სიმართლის თქმას ლამის სიკვდილის შიშით გაურბიხართ?

ნუთუ თქვენ, ვაჟკაც ადამიანს, არ გაგიჩნდათ დანაშაულის განცდა, როცა პირსისხლიანმა არაადამიანებმა ჯალათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე სანდრო გირგვლიანს და მხეცურად ჩაცხრილეს ქალაქის ცენტრში უდანაშაულო ახალგაზრდები?

ნუთუ მონანიების განცდა არ დაგეუფლათ მაშინ, როცა შეიტყვეთ, რომ შვილზე დარდს გადაჰყვა სულგანათლებული ქალბატონი ირინა ენუქიძე?

ნუთუ ოდნავ მაინც არ იგრძენით თავი პატივმოყვარეობაშელახულად, როცა სააკაშვილმა ციხეების ბლანჟეიანი **“ნადზორი”** შაშკინი განათლების მინისტრად დანიშნა?

ნუთუ ოდნავ მაინც არ იგრძენით თავი პატივმოყვარეობაშელახულად, როცა სააკაშვილმა კრუასანებისა და ჰურის მცხობელი ქალბატონი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დანიშნა?

ნუთუ ოდნავ მაინც არ იგრძენით თავი პატივმოყვარეობაშელახულად, როცა რუსული თვითმფრინავის ხმით დამფრთხალმა სააკაშვილმა უცხოელი სტუმარი მიატოვა და კურდღელივით ბუჩქებში შეჭყო თავი?

ნუთუ ოდნავ მაინც არ იგრძენით თავი პატივმოყვარეობაშელახულად, როცა სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბოდიშ-ბოდიშ ინანა, ოღონდ ეს ბოდიშ-ბოდიშ ინანა ბოლომდე ჩამოთვლას, თუნდაც იმიტომ, რომ მას რამდენიმე საგაზეთო გვერდიც კი არ ეყოფა!

თქვენ რომ ქართულ პოზიციასა და მართებულ პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგეთ, მენტალიტეტიც ისევე შესაშური გექნებოდათ, როგორი შესაშური ფიზიკური აღნაგობაც გაქვთ!

“და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა”! ამოიკვნესა დიდმა ვაჟამ, რადგან, ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, მოიხადა თუ არა მოქალაქეობრივი ვალი მამულის წინაშე და მეუფეს ხელდანთებული სანთლით წარუდგა სამსჯავროზე.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ირწმუნებს ზეციური მეუფე თქვენს გულწრფელობას, როცა ხელდანთებული სანთლით (თუ კი, რა თქმა უნდა, თქვენს მიერ დახავსებულ-დანოტიოვებული სანთლის დანთებას შესძლებთ) მისი სამსჯავროს წინაშე წარსდგებით?

არა მგონია!

მით უმეტეს, უფალი იმ ქართველებს არ მიუტევებს, რომლებიც სომხურ ფულსა და პოლიტიკურ კაპიტალს დახარბებულები შლიან და ანგრევენ საკუთარ სახელმწიფოს.

რაც შეეხება ამ წერილის სათაურს, იგი დიდებულ ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს დავესესხე რომან **“მარადისობის კანონი”**-დან. ალბათ გახსოვთ, როგორ ღრმად იყო დარწმუნებული მევახშე ებრაელი პატიმარი მოშიაშვილი საკუთარი თანამეინახეებისაგან მხარდაჭერასა და დახმარებაში, რომელთა ხელშეწყობით, ერთ მშვენიერ დღეს, ციხის საკნის კარი გაიღებოდა და ზედამხედველი საზეიმო ხმით გამოაცხადებდა: **“МОШИАШВИЛИ, С ВЕЩАМИ...”**

თქვენ, პალიკო კუბლაშვილს, ჩიორა თაქთაქიშვილს და საქართველოს პარლამენტში ეთნიკულად ქართველ დეპუტატთა მცირე რაოდენობას, ჯერჯერობით, მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობა გეკისრებათ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში შეყვანისათვის.

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ უკვე ყველა პოლიტიკურ ფრონტზე ბრძოლა წააგეთ და საქართველოს ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის დღეები დათვლილია?

ამიტომ, დროზე განერიდეთ სატანას, გადმოდით ხალხის მხარეზე, რათა ერმა და ბერმა ნაწილობრივ მაინც მოგიტევოთ და მკაცრად არ მოგთხოვოს პასუხი თქვენი თანაგუნდელების მიერ ჩადენილი უამრავი ავკაცობებისათვის. გამორიცხული არ არის, რომ ამ ნაბიჯისათვის აგონიაში მყოფმა სააკაშვილმა ციხის გზას გაგიყენოთ, მაგრამ, ყველამ კარგად იცის, რომ **“მიხეილ დაღმაშენებელი”** პრეზიდენტობის უკანასკნელ თვეებს ითვლის და, აქედან გამომდინარე, დიდი ხნით არ მოგიწევს საკნის კედლების ხეხვა.

სხვაგვარად, თუ კვლავაც ქართველი ხალხის საპირისპირო პოზიციაზე დარჩებით, **”ნაციონალების”** გადაშენების კვალდაკვალ, გამორიცხული არ არის, რომ სხვებთან ერთად წარსულის ცოდვები თქვენც მოგკითხონ, მოშიაშვილის მსგავსად კი თქვენ ნამდვილად არავინ ამოგიდგებათ მხარში.

მაშინ, ძალიან, ძალიან დიდი დრო გავა, ვიდრე საკნის კარი გაიღება და ციხის ზედამხედველი თქვენთვის ნანატრ სიტყვებს დაიძახებს: **“ЦИСКАРИШВИЛИ, С ВЕЩАМИ...”**

როლანდ ჯალაღანია,
“აიას” და “ფაზისის” აკადემიების ნამდვილი წევრი

ბატონო როლანდ!

მაქვს პატივი, გაზეთ **"ილორის"** მრავალრიცხოვანი მკითხველისა და პირადად ჩემი სახელით, მოგილოცოთ მნიშვნელოვანი თარიღი, დაბადების 70-ე წლისთავი.

თქვენ იღბლიანმა ბედისწერამ ორი ეპოქის გასაყარზე გარგუნათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

უკვე განვლილი საუკუნეში გასწიეთ ლამაზი, მისაბაძი შემოქმედებითად ნაყოფიერი საქმიანობა და ახალ, XXI საუკუნის დასაწყისში, მიუხედავად წლების სიმრავლის სიმძიმისა, კვლავ ამაყად აგრძელებთ მოღვაწეობას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვა სამშობლო შემთხვევით არ ვიხმარე. სწორედ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა ავალდებულებს ჭეშმარიტ მამულიშვილს დადგეს მისი ღირსების სადარაჯოზე.

თქვენ და თქვენმა მეგობრებმა, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ლიდერობით, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ჩამოყალიბებით, შესძელით გემსახურათ საკუთარი იდეის, ღმერთისა და სინდისისათვის, ისე, რომ უკან მოხედვის არ გერიდებათ, როგორც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მისი კულტურის წიაღში ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებისათვის მოღვაწეებს. ამის დასტურია უამრავი წიგნი, გამოკვლევა, თარგმანი...

ვკითხულობთ რა თქვენს წერილებს პრობლემატურ საკითხებზე, ვგრძნობთ სულიერ პათოსს, პრინციპულ მიდგომას, უკომპრომისობას ხელისუფლებისა თუ იმ პიროვნებების მიმართ, რომლებიც ცთუნებას აყოლილან.

საქართველოში ადვილი არ არის მწერალი და შემოქმედი გერქვას. არც ის არის ადვილი სიტყვაკაზმულობით ჟურნალისტის კვარცხლბეკი დალაშქრო. თქვენს ნაწარმოებებსა და პუბლიკაციებში ნათლად იგრძნობა შემოქმედებით ყუთში კარგად გამობრძმედილი, დაუშოშმინებელი და ბობოქარი სულის ბორგვა.

დღეს, ქვეყანაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, თქვენს სარკმელში შემოჭრილი გაზაფხულის სხივივით, უამრავ გულანთებულ ადამიანთან ერთად, სინათლის შარავანდედით ავსებთ გარემოს, რომ საზოგადოების დარდი და კვნესა მივიდეს სადაც ჯერ არს.

გრძნობთ – ადამიანის დღევანდელი სამყოფი, ისეთი ვიწრო **"გალიაა"**, ისეთი აუტანელი **"საკანია"**, საიდანაც ნაფლეთივით მოსჩანს ცის სილაჟვარდე, რომელსაც მიელტვიან დაბეჩავებული ადამიანები.

ყოველ ეპოქაში, როგორც შეეძლო, ისე იბრძოდა ქართველი, ქარქაშში ხმლის ჩაუგებლად იგერიებდა მტერსა და დუშმანს. ახლა დგას ჟამი, როცა კალმით ხელშია აუცილებელი და შესაძლებელი მოქმედება, თქვენ იმ რაზმის რიგებში ჩადექით, რომელთა მართალ სიტყვას კეთილი შედეგი უნდა მოჰყვეს. ნიღბოსნებმა უნდა მოიშორონ მიუღებელი გრიმასები და ცხოვრებაში დამკვიდრდეს ჭეშმარიტება. ეს კი ყოველი შემოქმედისაგან მოითხოვს მტკივნეული შინაგანი ემოციის თამამ გადმოფრქვევას, ხალხის სიყვარულსა და შთაგონების დიდ ნიჭს.

თქვენ გწამთ ქართველი ინტელიგენციის წმინდა მოვალეობა. რომ საწადელს მიაღწიო, მთელი არსებით უნდა ემსახურო მას და საქმის კეთებისათვის ბრძოლაში, რაც შეიძლება ნაკლებ ამჩნევდე საკუთარ პიროვნებას, მეტს ფიქრობდე შენს მიზანზე და მიუხედავად ბარიერებისა აღწევდე მიზნის მწვერვალს.

ამის დასტურად კმარა გაზეთ **"ილორის"** პოპულარობა. გრძნობთ, ალბათ, რა ინტერესით მოელიან გაზეთის მორიგ ნომერს, რა სიყვარულით კითხულობენ მის თითოეულ წერილს, რაშიც თქვენი სული და შეხედულებების გამონაშუქი იგრძნობა.

აი, ეს არის შემოქმედის გამარჯვების ლამპარი.

ჩემს მრავალათასიან ბიბლიოთეკას ამშვენებს თქვენი წიგნი **"რისკის არითმეტიკა"**, რომელიც მაჩუქეთ, როცა გამომცემლობა **"მერანის"** დირექტორის მოადგილე ბრძანდებოდით. ამით ჩემს სამუშაო კაბინეტში თქვენი ტვინის ნაჟურიც იფრქვევა, რაც კეთილად განმაწყობს თქვენდამი და მადლიერების გრძნობით მავსებს.

არსებობს ერთი უბრალო, მაგრამ ძალიან ტევადი ქართული სიტყვა **"გმადლობთ"**.

გმადლობთ იმისათვის, რომ ბრძანდებით ნაყოფიერი შემოქმედი და მართალი სიტყვის მეხოტბე.

გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

გაზეთ "ილორის" მკითხველის სახელით,

ბორის დავითაია,

ქ.სენაკი

მე არ მიბრძოლია ოქროსფერულლიანი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

ქართველ ხალხს, საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, პოლიტპარტიების წევრებს და მათ ლიდერებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს და მათ ხელმძღვანელებს, სახალხო მოძრაობათა წევრებს და მათ ლიდერებს, მოგმართავთ, რადგან მე გამაჩნია ამის მორალური უფლება, და, აი, რატომ.

მე, ანრიდ სანაია გახლავართ 1959 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის ჩამომყალიბებელი, 1961 წლიდან 1965 წლამდე გადასახლებაში ნამყოფი დისიდენტი. მე სულგანათლებულ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მხარდამხარ ვიბრძოდი და მივაღწიეთ კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის შემდეგ მე გავხდი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მე-18 ბატალიონის მეთაური. 1991 წლის დეკემბერში კი, **"ხუნტის"** შემოტევის ჟამს, დავინიშნე ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. ვებრძოდით ხუნტას როგორც თბილისში, ასევე დასავლეთ საქართველოში, როცა კიტოვან-იოსელიანის ბანდები არბევდნენ სამეგრელოს.

ბრძოლის დიდ ქარცეცხლში ვიმყოფებოდით ფოთის მისადგომებთან და აფხაზეთში შევარდნაძის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლისას. დიახ, ჩვენ ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის და არა იმად, რომ საქართველოს ქედზე ოქროსფერი უღელი მეხილა, ზუსტად ისეთი, როგორიც მას ოკეანისგაღმელმა მასონ-გლობალისტებმა დაადგეს!

სწორედ ამერიკელმა სიონისტ-მასონ-გლობალისტთა თავკაცებმა, ჯორჯ სოროსის ფულით და შევარდნაძის ძალისხმევით, შემოგვაპარეს ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი. ამ მოქმედების მიზან-დანიშნულებას ხალხი მაშინაც ხვდებოდა, მაგრამ, იმდენად დიდი იყო შევარდნაძისადმი სიძულვილი და ზიზღი, რომ ხალხმა თავი მოიტყუა. შევარდნაძე კი, როგორც ხედავთ, კვლავაც მეფურად ცხოვრებას აგრძელებს, საქართველო კი უარეს გასაჭირში იმყოფება...

დღეს მხოლოდ ის საკითხი დგას დღის წესრიგში, თუ როგორ მოვიშოროთ კისრიდან ამერიკული უღელი. არჩევნების გზით ეს ლამის შეუძლებელი გახადა ყველა სისაძაგლეზე ხელისმომწერმა და გამყალბებელმა სააკაშვილმა, რომელმაც თავისი დიქტატი მოახვია თავს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს და მასმედიის საშუალებებს, მოისყიდა ოპოზიციის დიდი ნაწილი, წნეხის ქვეშ მოაქცია ბიზნესი, სასამართლო... მაგრამ ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რათა სამუდამოდ ჩამოვირეცხოთ საქართველოს სირცხვილად მიჩნეული ის ტალახი, რასაც **"ნაციონალური მოძრაობა"** ჰქვია.

ყველაფერი კი იმ ეროვნულმა მოძრაობამ უნდა ითავოს, რომელმაც მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას და დიდ გამარჯვებასაც მიაღწია!

დღეს, როცა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გამოაღვიძა ბიძინა ივანიშვილმა, მიზანშეწონილია, რომ კვლავაც მოხდეს ამ ეროვნული ძალების გააქტიურება, თუმცა, მანამდე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ალბათ უნდა უპასუხოს ჯერჯერობით ღიად დარჩენილ პრობლემებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, კერძოდ, თუ როგორ აპირებს იგი ჯერ ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის მიერ ღრმა ჭაობში ჩაძირული საქართველოს ლაფიდან ამოთრევას და თითქმის სიკვდილის პირას მიყვანილი ეკონომიკის გამოცოცხლებას, აღადგენს თუ არა ნორმალურ ურთიერთობებს რუსეთთან, როგორ გზებს დასახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და სხვა.

მე მწამს ეროვნული ძალების გამარჯვების!

ანრიდ (ბუჭა) სანაია,

ზუგდიდი

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადება

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნომ განცხადება გაავრცელა ზაზა ხუხუასთან დაკავშირებით, რომელიც **საქინფორმმა** უცვლელად გამოაქვეყნა:

„ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო კატეგორიულად უარყოფს დედაქალაქის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებას, თითქოს ზაზა ხუხუა „ქართუ ჯგუფიდან" მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მასთან სტუმრად დედაქალაქის მერი მივიდა. ბიძინა ივანიშვილის პრესსსამდივნო ადასტურებს, რომ ზაზა ხუხუა „ქართუ ჯგუფში" შემავალ ასოციაცია „ატუს" თანამშრომელი იყო და მონაწილეობას იღებდა ოპერის თეატრის მშენებლობის პროცესში. ზაზა ხუხუა დაქირავებულ მუშად „ატუში" 2011 წლის 5 მაისიდან ირიცხება და მას ოქტომბრის თვეში თვიური ანაზღაურება და ნოემბრის თვეში ავანსის სახით 140 ლარი აქვს აღებული. ზაზა ხუხუა სამსახურში თითქმის ერთი თვეა, აღარ გამოჩენილა, თუმცა ოფიციალურად კონტრაქტი „ქართუ ჯგუფს" მასთან არ შეუწყვეტია და ის დღემდე „ატუს" თანამშრომლად ითვლება. ასე რომ, დედაქალაქის მერიის წუხილი, თითქოს „ქართუ ჯგუფში" ადამიანების დასაქმება და მათი სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება, სიმართლეს არ შეესაბამება და დედაქალაქის მერიისგან აპელირება თემით, რომ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით არჩევა ხდება, ცინიზმის გამოხატულებაა".

ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა გიგი უგულავამაც. თუმცა მას ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ხუხუამ ავანსი აიღო და მერე მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა, რაც, თუ მართლა ასეა, რბილად რომ ვთქვათ, პირის გატეხვაა და აღებული თანხა მაინც უნდა დააბრუნოს უკან, ხელშეკრულების დამრღვევ პირზე დასაკისრებელ სხვა სანქციებზე რომ არაფერი ვთქვათ!

თბილისის მერია ზაზა ხუხუას სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გაავრცელა,:

„თბილისის მერი პროექტის – „დაგეგმე ბიუჯეტი მერიასთან ერთად" – ფარგლებში მიმდინარე წლის 11 ნოემბერს სტუმრად იმყოფებოდა ხუხუების ოჯახში. პროექტის მიხედვით, რაც ტელევიზიით გაშუქდა. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში ზაზა ხუხუა გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

ზაზა ხუხუა ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში მლესავად მუშაობდა და ეს ფაქტი ჩვენთვის მხოლოდ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2"-ის ეთერში გასული სიუჟეტის შემდეგ გახდა ცნობილი.

თბილისის მერი წუხილს გამოთქვამს, რომ ზაზა ხუხუას სამსახურიდან გათავისუფლება ამ ოჯახში მის ვიზიტს მოჰყვა. გიგი უგულავა ესაუბრა დაზარალებულს, გაამხნევა, მხარდაჭერა და მორალური თანადგომა აღუთქვა მას.

მიგვაჩნია, რომ ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლების ამგვარი ფორმა სცილდება ადამიანურ სტანდარტებს, რაც ძალიან დასანანია. ჩვენი აზრით, სამსახურში აყვანა და გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით არ უნდა ხდებოდეს.

ჩვენთვის ნებისმიერი სამუშაო ადგილი ძვირფასია და დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ადამიანს, რომელსაც ოჯახი და შვილები ჰყავს, ამგვარად მოექცნენ. იმედი გვაქვს, მომავალში მსგავსი ფაქტები აღარ განხორციელდება, ხოლო ზაზა ხუხუას მხარდაჭერასა და თანადგომას ვუცხადებთ".

მოკლედ, მართლაც არა აქვს საზღვარი ნაციონალების და მათი ლიდერების სააკაშვილისა და უგულავას ცინიზმს და მათ მიერ დადგმულ უნიჭო, პირფერობით გაჟღენთილ სპექტაკლებს. საინტერესოა, უგულავას ასევე თუ აღელვებს იმ ათიათასობით თანამოქალაქის ბედი, რომლიც ისედაც მიზერული შემოსავლებიდან იხდის მისი ინიციატივით დადგენილ ლამის ოცდაათმაგად გაზრდილ ნაგვის გადასახდს, ან თუ აწუხებს იმ თანამოქალაქეთა ბედი, რომლებიც პრესის ჯიხურებთან დაკავშირებით უგულავას მიერ მოგონი აფერის წყალობით უმუშევარი რჩება?

ან იმაზე რას იტყვის უგულავა, რომ მის მიერ ჯერ დაწიოკებული, შემდეგ კი მომსახურეობის სფეროს მონოპოლიზირებული სამსახურები საშინლად აძვირებენ მომსახურეობის თუ პროდუქციის ღირებულებას და კიდევ უფრო მდიდრდებიან გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე?

ვერაფერი გაგვიგია, უგულავასი და მისი თანამზრახველების – ერთი ადამიანის ბედით **"დამწუხრებულები"** ფეხებზე იკიდებენ ათიათასობით გაუბედურებულ და შიმშილის ზღვარზე მყოფ ოჯახს!

მოკლედ, აღარ იციან, როგორ მოაწონონ თავი ყავლგასულმა **"ნაციონალებმა"** ქართულ საზოგადოებას, რომელმა დიდი ხანია ზიზღით შეაქცია ზურგი ამ მანქურთებსა და ქვეყნის დამაქცევრებს!

ცოტაც კიდევ...

საქინფორმი და საკ. ინფორმაცია

ქართველმა სასულიერო პირებმა მოსკოვში პეტრე ბაგრატიონის ძეგლი აკურთხეს

გიორგობის დღესასწაულზე ქართველმა სასულიერო პირებმა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ლოცვა–კურთხევით მოსკოვში რესტავრირებული პეტრე ბაგრატიონის ძეგლი აკურთხეს. ძეგლი კუტუზოვის პროსპექტზე მდებარეობს და მისი რესტავრაცია მოსკოვის ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინ დაასრულა.

კურთხევის ცერემონიალში მოსკოვის მერი სერგეი სობიანინი და **„საქართველოს ხალხთა ასამბლეის"** პრეზიდენტი, გოჩა ძასოხოვი მონაწილეობდნენ. სობიანინმა საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქისადმი მიმართვა წაიკითხა, მას გიორგობა მიულოცა და მშვიდობა უსურვა.

„სანამ მოსკოვში არის ბაგრატიონის ძეგლი, სანამ გვაქვს რუსთაველის პროსპექტი, სანამ თბილისში ყოველ მეორე-მესამე ადამიანს შეუძლია პუშკინის, ლერმონტოვისა და ესენინის ციტირება, მანამ ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით", – თქვა ძასოხოვმა.

საქართველოს პატრიარქმა ბრძანა: **„ეს ძეგლი სულ ცოტა ხნის წინ იქნა რესტავრირებული და დღეს ჩვენ ვხედავთ პროფესიონალიზმის შედეგს"!**

ილია მეორემ მოსკოვის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა ორი ქვეყნის ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისთვის.

ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის – როგორც არამეცნიერული, ანტიეროვნული აქტის – აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148)

იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა მოვლენები ტ. ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების შემდგომ მოქმედებათა შედეგად, ნათლად მეტყველებს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 2007 წლის კრებული, სახელწოდებით: **„ქართული და ქართველური ენები (ერთი „ენათმეცნიერული პოლემიკის“ გამო)“.** მასში მოცემულია ამ ინსტიტუტში გამართული ერთი სპეციალური შეხვედრის ამსახველი მასალები სპეციალისტების მოხსენებებისა და წერილების სახით. აღსანიშნავია, რომ **ენათმეცნიერების ინსტიტუტმა „სამეულის“ ახალ „თეორიას“ „ყოველგვარ ლინგვისტურ საფუძველს მოკლებული, პროვოკაციული და იდეურად საშიში თეორია“ უწოდა.** თუმცა, უმჯობესია, წარმოვადგინოთ მოკლე ამონარიდები ამ 140-გვერდიანი კრებულიდან. აი ისიც:

პროფესორი მიხეილ ძურდიანი: „...ნიშანდობლივია, რომ არც ერთი მათგანი შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტი არ არის. ისინი სიტყვით მოითხოვენ მათი ნააზრევის – რომელიც დაფუძნებულია შედარებითი ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის კრიტერიუმების აღრევაზე, – არსებობის უფლების მქონე თვალსაზრისად აღიარებას, საქმით კი ცდილობენ ის გაბატონებულ თვალსაზრისად აქციონ და რაკი საქმე სამეცნიერო ასპარეზზე პირწმინდად აქვთ წაგებული, ძალასა და ხერხს არ იშურებენ, რომ სამშობლოს ინტერესების დაცვის სახელით ამ წმინდა მეცნიერული პრობლემის მათეული არამეცნიერული გადაწყვეტის მომხრეები სახელისუფლებო სტრუქტურებში (დასაწყისისათვის აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში) და დედაეკლესიაში მოძებნონ.

მე ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მაწუხებს, რადგან მათმა დეზინფორმაციამ და აკვიატებულმა იდეამ მეცნიერ-ოპონენტებს ეკლესიის ავტორიტეტი დაუპირისპირონ, შეიძლება დედაეკლესია და, უპირველეს ყოვლისა, სინოდი და თავად მისი უწმინდესობა ჩააყენონ უხერხულ მდგომარეობაში.

მათ იციან, რომ პირადად ისინი წმინდა მეცნიერულ კამათს არ იმსახურებენ მათ მიერვე მოგონილი კვაზიმეცნიერული პრობლემის გამო, პატრიარქთან და ეკლესიასთან კი კამათს არც ერთი მორწმუნე მეცნიერი არ აკადრებს არც ეკლესიას და არც საკუთარ თავს, როგორი დარწმუნებულიც არ უნდა იყოს საკუთარი პოზიციისა და ცოდნის უცდომელობაში.

მათი მთავარი და, ცხადია, ცრუ არგუმენტი არის ის, რომ თითქოს გარეშე ძალები ცდილობენ ქართველთა დაქუცმაცებას, დანაწევრებას, ჩვენი ერთიანი ეროვნული სხეულისა და მენტალიტეტის დაშლას“ (გვ. 8).

კარგი, ვთქვათ, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური უსინდისოდ... გამოვაცხადეთ დიალექტებად, რა ვუყოთ წოვა-თუშურს, ის ხომ წარმოშობით ქართველური ენა არ არის – ნახურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, ისიც ქართულის დიალექტად გამოვაცხადოთ თუ ზეზვა გაფრინდაულის ტომს ვუთხრათ – ქართველები არა ხართ, რაკი თქვენი ენა ქართველური არ არისო? მაგრამ მავანნი ამაზე არ ფიქრობენ. მათი მიზანი საკუთარი ამბიციების ეკლესიის ხარჯზე დაკმაყოფილებაა.

„თუ ჩემზე მიდგება საქმე, მე მირჩევნია დიდ ქართველ მეცნიერებთან: ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან იოსებ ყიფშიძესთან, აკაკი შანიძესთან, გიორგი ახვლედიანთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ვარლამ თოფურიასთან, გიორგი როგავასთან, ქეთევან ლომთათიძესთან, ტოგო გუდავასთან, გივი მაჭავარიანთან, თამაზ გამყრელიძესთან, ბესარიონ ჯორბენაძესთან, ავთანდილ არაბულთან და ა. შ. ერთად საქართველოს მტრის იარლიყი მქონდეს მიკერებული, მაგრამ მართალი ვიყო უფლისა და ერის წინაშე, ვიდრე მავანივით პატრიოტის სახელი დავიჩემო და საქმით ვუმტრო საქართველოს“ (გვ. 10).

პროფესორი ბიორბი ბოგოლაშვილი: „...მოგეხსენებათ, ქართველური ენებისა და დიალექტების საკითხი ბოლო პერიოდში უჩვეულო ინტერესის საგანი გახდა. ამ თემით დაინტერესდა საპატრიარქო; საკითხი განიხილეს აფხაზეთის უზენაეს საბჭოში; **„საქმის კურსში ჩააყენეს“** სამინისტრო... განიხილება პრობლემა – სვანური და ზანური (მეგრულ-ჭანური) ენებია თუ დიალექტები... ეს საკითხი დავის საგნად ამ რამდენიმე წლის წინათ აქცია მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა (ტ. ფუტკარაძემ, თ. გვანცალაძემ, მ. ტაბიძემ...)... იმთავითვე ამ საკითხში სადავოს ვერაფერს ვხედავდით და არასერიოზულად, ახირებულადაც კი მივიჩნიეთ მათი პოზიცია“ (გვ. 10).

მაგრამ, **სამწუხაროდ, მოხდა ამ საკითხის პოლიტიზირება. მეცნიერული საკითხის პოლიტიზირებას კი სიკეთე არასოდეს მოუტანია... „ნოვატორთა ჯგუფმა“** მეცნიერებაში შემოიტანეს XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა თვალსაზრისები (რაც მთავარია, არასწორად და მიზანმიმართულად...), თითქოსდა მათი **„ენათმეცნიერული ნააზრევი“** დავივიწყეთ, უარვყავით და ამით დავუპირისპირდით ქართულ ინტერესებს. გამოქვეყნდა ტ. ფუტკარაძის ნაშრომი, სადაც წერია: არსებობს ორი თვალსაზრისი: სვანური და მეგრულ-ჭანური არის დიალექტები და (მეორე) სვანური და მეგრულ-ჭანური არის ენები. პირველ თვალსაზრისს იზიარებენ **„მოწინავე ქართული საზოგადოება“** (ილია, აკაკი, იაკობი...) და მეცნიერთა ერთი ჯგუფი (ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე...); მეორე თვალსაზრისს იზიარებენ **„საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნე პრორუსულ-იმპერიული“** ჯგუფი (პატკანიანი, ვოსტორგოვი, ჰიუტი) და მეცნიერთა მეორე ჯგუფი (თ. გამყრელიძე, ა. ონიანი, კ. გაბუნია...). ადრე დასვა სამი წერტილი ტ. ფუტკარაძემ. ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი და მრავალი სხვა; თითქმის ყველა, ვისაც კი უკვლევია ქართველური ენები... ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ქვეყნისათვის, ერისათვის, მეცნიერებისათვის თავდადებულ მოღვაწეთა მთელი არმია ცხადდება **„საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მოსურნე იმპერიულ ძალად“! ეს არის მცდელობა, უარვყოთ დიდი და ღირსეული ტრადიცია ორიოდე „პოლიტიკანის“ ამბიციის დასაკმაყოფილებლად... ეს არის პროვოკაცია“...** (გვ. 11-12).

„...არ ხდება მეცნიერული არგუმენტირება; მეცნიერული ინათლება არამეცნიერულად. მცირე მაგალითი: ამ „თეორიის მიხედვით, ერთი დონის ენობრივ ერთეულებად ცხადდება სვანური, იმერული, მეგრული, კახური, წოვა-თუშური (იგივე ბაცბური ენა!) და სხვა. ასეთ შემთხვევაზე იტყვიან, კომენტარი ზედმეტიაო... **არ შეიძლება პირად ამბიციას, ორიგინალურობის სურვილს შევწიროთ ჭეშმარიტი ღირებულებები; მით უმეტეს, თუ მას არცთუ წმინდა პოლიტიკის ნაწილად ვაქცევთ“** (გვ. 12).

პროფესორი ბუჩა კვარაცხელია: „ძალიან კარგად ვიცით, რომ ქართველური ენები სწორედ ენებია და არა დიალექტები. ამას არც ადრე და არც ახლა ხელი არ შეუშლია საქართველოს ერთიანობისათვის. როგორც ჩანს, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ თუ მაგალითად, მეგრულს, სვანურს დიალექტებად გამოვაცხადებთ, კონსოლიდაცია უფრო მეტად იქნება ურყევი. ვფიქრობ, ეს არასწორი, უფრო მეტიც, საზიანო ნაბიჯია: ერთი რომ მახინჯდება მეცნიერული ფაქტი და მეორეც, რადგან ენის სტატუსი დიალექტამდე „დაქვეითდება“, შესაბამის კუთხეთა წარმომადგენლები ამ ფაქტს შეურაცხმყოფელად და დისკრიმინაციულად აღიქვამენ. გაჩნდება უნდობლობა“...

პროფესორი თეიმურ უთურგაიძე: „...თუ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შემუშავებული ენათა ოჯახების თეორია (წინარე ენა თავისი დიალექტებით და ამ დიალექტთა ცალკე ენებად ჩამოყალიბება, რაც მტკიცდება ბგერათა შესატყვისობითა და ურთიერთგაგებინების მოშლით) უარვყავით, აბსურდამდე მივალთ: დღემდე არსებული ინდოევროპული ენები ისევ დიალექტებად უნდა მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, ქართული, ზანური და სვანური ენებია – ქართველური ენები.

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე: „...უდავო ფაქტია, რომ როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიულ წყაროებში საუკუნეთა მანძილზე ქართულთან ერთად სვანური და კოლხური (იბერიული) ენებად იხსენიება.

ეს თვალსაზრისი ასახულია ქართველური და მეზობელი ხალხების ენებში და განმტკიცებულია მათ შეგნებაში.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების საწყისი ეტაპიდან დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველურ ენათა შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით და დღემდე არავის გაუხდია სადავოდ, რომ მათი სახით საქმე გვაქვს მონათესავე ენათა განშტოებასთან ან ოჯახთან და არა დიალექტთან.

იმის მტკიცება, რომ მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური მხოლოდ კილოებია (დიალექტებია) ქართული ენისა, და არა დამოუკიდებელი ენები, სხვა არაფერია, თუ არა ცდა – ნიადაგი გამოაცალოს ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებას ამ მიმართულებით.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის უარყოფითი რეაქცია, რასაც გამოიწვევს (და უკვე იწვევს) ზემოხსენებული თვალსაზრისი სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობაში, და კერძოდ, ინტელიგენციაში“ (გვ. 16).

პროფესორი ნათელა ძუთელია: „...ქართველთა ტომები შედგება ქართების, კოლხებისა და სვანებისაგან, რომელთა პოლიტიკური და კულტურული ერთიანობა დაედო საფუძვლად ქართველთა ეროვნულ კონსოლიდაციას.

ქართველურ ენა-კილოთა ჯგუფს შეადგენს: ქართული, კოლხური (მეგრულ-ლაზური) და სვანური, რომლებიც საერთო ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარეობენ“ (გვ. 18).

პროფესორი დამანა მელიქიშვილი: „...მეცნიერული პრობლემის პოლიტიზირებამ... დამღუპველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს (გავკადნიერდები და შეგახსენებთ, რომ საეკლესიო დოგმატებში პოლიტიკის ჩარევამ მსოფლიო ერთიანი ეკლესიის განწვალება გამოიწვია. მხედველობაში გვაქვს „ფილოვკეს“ სქიზმა და პაპიზმის პოლიტიკა). ასევეა ენათმეცნიერებაშიც: მეცნიერული აზრისა და პრინციპების პოლიტიკისადმი დამორჩილება, მეცნიერული პრინციპების უარყოფა რაიმე პოლიტიკის სასარგებლოდ საბოლოო ჯამში თვით ამ პოლიტიკას შეიძლება ბუმერანგივით მოუბრუნდეს“.

„ამ მცირე ენების მფლობელებისათვის, რომელნიც ქართულ ენას ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც საკუთარ მშობლიურ ენად თვლიან და მის შემოქმედად მიაჩნიათ თავი, ისევე, როგორც თავისი „აკვნის“, ოჯახის ენისა (სვანურის და მეგრულისა), სრულიად გაუგებარია (და შეიძლება შეურაცხმყოფელიც) საკითხის ასე დაყენება: ენა, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ, ენაა თუ დიალექტი ამ ტერმინების საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობიდან ამოსვლით. მეცნიერული ლინგვისტიკის (ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებაში დამუშავებული კრიტერიუმების მიხედვით) თვალსაზრისით, ესენი, ცხადია, ერთი საერთო-ქართველური (საერთო-ქართული) ენიდან მომდინარე ენებია“.

„...მთავარია ერში არ დაიკარგოს ერთიანი ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ქართული ერთიანი ეროვნული ცნობიერება, ენა და კულტურა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და არავითარი „ახალი თეორია“ მას არ სჭირდება იმისათვის, რომ ეს ერთობა შეინარჩუნოს. არადა, პირიქით შეიძლება მოხდეს: „ახალმა“ პოლიტიზირებულმა თეორიამ შფოთი და უთანხმოება ჩამოაგდოს გაუთვითცნობიერებელ „ლიტონ“ ერში და მტრის წისქვილზე დაასხას წყალი“ (გვ. 20-21).

„ვფიქრობ, ქართული და ქართველური ენების შესახებ საკითხის მეცნიერების გარეთ გატანა მიზანშეწონილი არ არის, ისევე, როგორც საეკლესიო დოგმატებზე მსჯელობა და დისკუსიების ქუჩაში გატანა“... (გვ. 21).

პროფესორი მერაბ ჩუხუა: როგორც კი დავაფიქსირებთ, რომ სვანური არის ქართული ენის დიალექტი, ამას აუჯანყდება მთელი სამეცნიერო საზოგადოება. **თავის დროზე, აფხაზური ენა გამოცხადდა ქართული ენის დიალექტად. აკად. ჩიქობავას სთხოვეს თანხმობა ეთქვა ამგვარ მტკიცებაზე. ბ-ნმა არნოლდმა უპასუხა – „მე იმ აზრს ვემხრობი დღესაც, რომელიც გავატარე ჩემს სახელმძღვანელოში ოცი წლის წინ... აფხაზურის ქართული ენის დიალექტად გამოცხადება შეიძლება მომგებიანი იყოს, მხოლოდ მცირე ხნით. უახლოეს მომავალში უფრო დიდი მასშტაბებით დამანგრეველად იგი ჩვენვე მოგვიბრუნდება“** (გვ. 2).

„ნუ გვგონია, რომ უცხოელი პოლიტიკოსები ამ საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ ჩვენს მოსაზრებებს დაეყრდნობიან; ქართულის შესწავლა საზღვარგარეთ ჯერ კიდევ მისიონერებმა დაიწყეს. ამ მიმართულებით, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდეც. მათი მხრიდან ქართველურ ენობრივ სამყაროზე შექმნილია მყარი სამეცნიერო აზრი. როგორც კი ერთხმად, ჩვენ ყველანი, ქართველი ენათმეცნიერები, არასწორ პოზიციაზე დავდგებით, სწორედ ამას გამოიყენებენ საქართველოს მტრები“ (გვ. 2-23).

„საქართველოში სალიტერატურო, ანუ სამწერლობო ენა ერთი იყო ყოველთვის. მეგრელებისთვის და სვანებისთვის კულტურის, განათლების, ღვთისმსახურების, სახელმწიფო ენა ყოველთვის იყო და არის ქართული... განა სვანები და მეგრელები იმიტომ არიან ქართველები, რომ სვანური და მეგრული ქართული ენის დიალექტია? ჩვენი ქვეყნის ძლიერება სხვა ფასეულობებზე და დირებულებებზეა დაფუძნებული და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველაზე ერთგული საძირკველი სწორედ სამეგრელოშია... უფრო უარესი არის ის, რომ ჩვენსავე ძმებს, მეგრელებსა და სვანებს ვუთხრათ: ის, რაზეც შენ მეტყველებ, არ არის შენთვის მშობლიური. რატომ ვუყურებთ ამ ხალხს ეჭვის თვალით, როცა ყველა აღიარებს სახელმწიფო ენად ქართულს და ეროვნებად – ქართველს? ამ მიმართულებით მეგრელებსა და სვანებს ახალი სახელმწიფო იდეოლოგია არ სჭირდებათ.

ქართველებს ერთი სახელმწიფო ენა – ქართული გვაქვს. სხვა ქართველური ენები ჩვენი სიმდიდრეა“. (გვ. 23).

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე): „ძველი საეკლესიო წესის მიხედვით ყველა ენაზე უნდა ყოფილიყო გადმოღებული წმინდა წერილი, ეს გაცხადდა სულთმოფენობისას... იმისათვის, რომ ხალხს გაეგო არსი ახალი სარწმუნოებისა, უფლის ახალი აღთქმისა, მოციქულები და მოძღვრები ქადაგებდნენ ხალხისთვის გასაგებ ენაზე, ანუ წმინდა წერილი ითარგმნებოდა ზეპირი მეტყველებით“... (გვ. 24).

„ისმის კითხვა, რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი?..“ ჩემის აზრით, „მიზეზი ამისა, იყო არა ამჟამად აღიარებული თეორია „ქართიზაციისა“, რომ ქართის ტომმა თავისი ენა თითქოსდა ე. წ. „ქართიზაციის“ შედეგად გაავრცელა დასავლეთ საქართველოში, არამედ პასუხი უნდა ვეძიოთ იმაში,.. იყო თუ არა იმხანად დაშლილი ფუძე ქართველური ენა,.. თუ ჯერ კიდევ არსებობდა საერთო ენა, რომლის წიაღშიც სვანური და მეგრული მხოლოდ დიალექტების სახით არსებობდა“.

„...ჩემი თვალსაზრისით, ძველი ქართული ენა იმთავითვე მშობლიური და გასაგები იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის... 1999 წელს ჩემი თვალსაზრისი საგანგებოდ გავაცანი ამ დარგის სპეციალისტს ბატონ ტ. ფუტკარაძეს. ბატონი ტარიელი დაეთანხმა ჩემს თვალსაზრისს. მან შემდგომ ის განავრცო და ფაქტიურად მოგვცა სრულიად ახალი მოსაზრება „რამდენიმე ქართული ენის შესახებ“, რომლის მიხედვითაც მეგრული და სვანური არა ქართული კულტურის ფორმირების ეპოქაში (ე. ი. IV-V სს-ში) იყვნენ დიალექტები (ესაა ჩემი თვალსაზრისი), არამედ ისინი ამჟამადაც დიალექტები არიან (ესაა ბატონ ფუტკარაძის თვალსაზრისი). ამ საენათმეცნიერო თვალსაზრისს მე ვერ შევეხები, მისი განსჯა თქვენ უფრო შეგეფერებათ“ (გვ. 31).

პროფესორი ავთანდილ არაბული: „ერთი ცნებითი კოლიზიის გამო ქართველოლოგიურ სივრცეში“:

„უკანასკნელ ხანს ქართველოლოგიაში მოხერხდა კიდევ ერთი განხეთქილების ვაშლის „აგორება“...

–არის თუ არა ქართველური ენები ენები?..

და მრავლდება „წყალგაუვალი“ არგუმენტები“...

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი.



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მაგრამ სტალინის არაკომპეტენტურობა მაინც იმ **"გრანდიოზულ"** საამშენებლო პროექტებში გამოიხატა, რომელთა შეცვლის საკითხი დიდი საბჭოთა ბელადის სიკვდილისთანავე დააყენა ლავრენტი ბერიამ. მე მათ თაობაზე მოგვიანებით მოგითხრობთ.

სამწუხაროდ, სტალინმა სიცოცხლეშივე ვერ გადაწყვიტა ბერიასათვის ქვეყნის მმართველობის გადაცემა, და, ბუნებრივია, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მთელი სიმწვავით დაისვა სტალინის მემკვიდრის – ქვეყნის ახალი ლიდერის არჩევის საკითხი. და ეს ახალი ლიდერი იქნებოდა სტალინის პარტიის წევრი, თუ პარტოკრატიის წარმომადგენელი, სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი.

მსოფლიოს ბედიც.

მაშ ასე, 1952 წლის მიწურულს და 1953 წლის დასაწყისში საბჭოთა ქვეყანას ორი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული სამომავლო გზა ჰქონდა. ერთი გზა ქვეყნის უეჭველი დეგრადაციისაკენ მიდიოდა, მეორე გზა კი – მისი აყვავებისა და განვითარებისაკენ.

ერთი გზის სიმბოლო იყო ფუნქციონერი, ფრიად ზედაპირული, ამბიციური, უხერხემლო, რომელსაც სრულიადაც არ აინტერესებდა სამშობლოს საზოგადოების ყოფის ოპტიმიზაცია, პირადად ზარმაცი და არაკომპეტენტური, რომელიც სიზარმაცესა და არაკომპეტენტურობას სთესდა როგორც თავის გარემოცვაში, ასევე ხელისუფლების დაბლა რგოლებში.

მეორე გზის სიმბოლო იყო უნარიანი მმართველი, შორსმჭვრეტელი, განათლებული, ენერგიული პიროვნება, რომელიც დიდ პატივს სცემდა და სათანადოდ აფასებდა საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე ადამიანებს, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საბჭოთა მოქალაქეების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებით, კაცი, რომელსაც უყვარდა და ეხერხებოდა საქმის კეთება, თავად კომპეტენტური, რომლის გარშემოც თავს იყრიდნენ კომპეტენტური ადამიანები.

ფუქნქციონერმა არ იცოდა საქმე, მაგრამ იმის თავხედობა მაინც ჰყოფნიდა, რომ მუდმივად ჭკუა ესწავლებინა სხვებისთვის, რადგან თვლიდა, რომ მან ყველაფერი ყველაზე მეტად იცოდა, რადგან ცეკას მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო.

უნარიანმა მმართველი კი, თუ რომელიმე საქმის კეთებისას მისთვის უცხო ფენომენს წააწყდებოდა, დაუზარებლად შეუდგებოდა მის შესწავლას, გამოცდილ ადამიანებს ეკითხებოდა რჩევებს, რათა შემდეგ შეუმცდარი და ოპტიმალური გადაწყვეტილება მიეღო.

ფუნქციონერი, პერსპექტივაში, ქვეყნის მართვის სადავეებს დაუფიქრებლად უგდებდა ხელში სხვა, თავისნაირ, მაგრამ რანგით დაბლა მდგომ უსაქმურ ფუნქციონერებს. მათ კი მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ ძლიერი ქვეყანა თანდათან დაეყვანათ ყუაზე.

ნორმალური მმართველი კი მართვის სადავეებს მხოლოდ პროფესიონალებს ანდობდა, მართვის, განათლების, კულტურის, მეცნიერების და სხვა სფეროთა უნარიან სპეციალისტებს, რომელთაც შეეძლოთ საბჭოთა კავშირის მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად ქცევა.

ფუნქციონერს საბჭოთა ხალხის მასა ბრბოდ მიაჩნდა, რომელსაც საღი აზროვნებისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი არ გააჩნდა.

მმართველს საბჭოთა ხალხი მომავალი წარმატების საწინდრად მიაჩნდა და ცდილობდა გამოევლინა თითოეული ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ფუნქციონერს უვარდა სახელმწიფოში თავისი თავი და არა სახელმწიფო საკუთარ თავში, იმიტომ, რომ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხს იგი სრულიადაც არ სჭირდებოდა.

პატრიოტ მმართველს არ შეიძლებოდა, რომ საკუთარ თავში არ ჰყვარებოდა სახელმწიფო, და ცხოვრობდა მასში იმიტომ, რომ სწორედ დიდ სახელმწიფოში, როგორც დიდ პიროვნებას, შეეძლო ეკეთებინა თავისი დიდად სასარგებლო საქმეები.

უუნარო ფუნქციონერის **"მოღვაწეობის"** ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის დაშლა-განადგურება და პროგრესული კაცობრიობის შემდგომი დეგრადაცია.

პატრიოტი მმართველის მოღვაწეობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ისეთი საბჭოთა კავშირის შექმნა, რომელსაც უფლება ექნებოდა ყოფილიყო ძლიერი და სამართლიანი ზესახელმწიფო და სათავეში ჩადგომოდა პლანეტის ჯანსაღ ძალებს.

და 1952 წლის მიწურულს, საბჭოთა კავშირში იყო როგორც გამოკვეთილი (მართლაც **"განუმეორებლად"** უმეცარი, უსაქმური და თავხედი) ფუნქციონერი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, ასევე გამოკვეთილი პატრიოტი-მმართველი, საქმის მცოდნე პროფესიონალი და განათლებული ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

დღემდე გაუგებარია, იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას სასწორზე რატომ არ შეაგდო თავისი განუზომლად დიდი ავტორიტეტი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პოლიტიკური სასწორის პინა მუდმივად იტორტმანებდა და ყველაფერს ბრმა შემთხვევა გადაწყვეტდა.

ლავრენტი ბერიასა და ნიკიტა ხრუშჩოვის შეჯახება აშკარად გარდაუვალი იყო და ამ ბრძოლაში უნდა გაემარჯვა მხოლოდ ერთ მათგანს!

ხრუშჩოვს, როგორც ინტრიგანსა და ეგოისტს, ძალიან კარგად ესმოდა ამგვარი შეჯახების გარდაუვალობა, წინასწარ ემზადებოდა კონფრონტაციისათვის და მხოლოდ იმაზე მუშაობდა, თუ როგორ გადაებირებინა კოლეგები თავის მხარეს.

ლავრენტი ბერია, როგორც **"დაუღლელად მშრომელი"** ადამიანი, გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მისი პროფესონალიზმი და შრომისმოყვარეობა ავტომატურად გახდიდა მას საბჭოთა კავშირის უპირობო ლიდერად. სამწუხაროდ, ბერია ღრმად იყო დარწმუნებული ნიკიტა ხრუშჩოვის სრულ არარაობაში, მაგრამ მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ პირადი კეთილდღეობისათვის ხრუშჩოვს შეეძლო სასტიკად გასწორებოდა საკუთარ კოლეგებს და ამხანაგებსაც კი.

ლავრენტი ბერია საკუთარი საზომით ზომავდა.

მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვიც საკუთარი საზომით ზომავდა.

აი, მხოლოდ საზომები ჰქონდათ მათ სხვადასხვა.

თავი 24

სტალინის "უცნაური" სიკვდილი

სტალინის სიკვდილის ოფიციალური თარიღია 1953 წლის 5 მარტი. და კრემლის მადალსტატუსიან ექიმთა სინკლიტის დიაგნოზიც არ იწვევს ეჭვს ამ მხრივ.

რამდენიმე სიტყვა ამ სინკლიტზე... 1953 წლის 4 მარტს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა პირველი ინფორმაცია სტალინის ავადმყოფობის თაობაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ ორი მარტის ღამეს სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა და რომ **"ამხ. სტალინის მკურნალობენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სამედიცინო ძალები"**. მაინც რას წარმოადგენდნენ ეს ძალები? სტალინის ჯანმრთელობის თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას, რომელიც გაზეთმა **"პრავდამ"** გამოაქვეყნა 1953 წლის 5 მარტს, ხელს აწერდნენ **სსრკ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა.ფ. ტრეტიაკოვი, ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარულ-სამკურნალო სამმართველოს უფროსი ი.ი. კუპერინი, სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი თერაპევტი პროფესორი პ.ე. ლუკომსკი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფესორი ნ.ვ. კონოვალოვი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფესორი ა.ლ. მიასნიკოვი, პროფესორი ე.მ. ტარეევი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი.ნ. ფილიმონოვი, პროფესორები ი.ს. გლაზუნოვი და რ.ა. ტკაჩოვი, დოცენტი ვ.ი. ივანოვ-ნეზნამოვი.**

როგორც ხედავთ, **"მედიცინის მნათობები"** უხვად იყვნენ. მაგრამ სტალინის სიკვდილი დღემდე მაინც შავი იდუმალებით არის მოსილი. იოსებ სტალინი ხომ ნამდვილად მოკლული იყო? და ნათელია, რომ ეს მოხდა ნიკიტა ხრუშჩოვის სანქციით და, გამორიცხული არ არის, მისი უშუალო მონაწილეობითაც კი. კერძოდ, თუ დავუჯერებთ **"ცნობილ საბჭოთა ისტორიკოს"** ნიკოლოზ ზენკოვიჩს, თავისი მმართველობის დასასრულს ნიკიტა ხრუშჩოვმა პირადად დააყრანტალა ამის თაობაზე.

მაგრამ, ზენკოვიჩი, ზოგიერთი იმდროინდელი მოვლენების მიმართ, მაინც საიმედო წყაროდ მიმაჩნია. **"სკკპ ცენტრალური კომიტეტის შინაგანი ქრონიკიორისათვის"**, მისი კრიტიკოსების მტკიცებით, დამახასიათებელია არა ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზი, არამედ ჭორებისა და ყურმოკრული ამბების შეგროვება. მაგრამ, როგორი ჭორების! რად ღირს, მაგალითად, ზენკოვიჩის მიერ მწერალ ილია ერენბურგის მოთხრობების გადამღერება, რომელიც ზენკოვიჩს მოყვანილი აქვს თავის 2005 წელს გამოცემულ წიგნში **"ცრუმოწმეობა, ფალსიფიკაცია, კომპრომატი"**.

ილია ერენბურგმა – თითქოსდა ხრუშჩოვის კრემლის სანქციით – თითქოსდა ცნობილ ფრანგ ფილოსოფოს ჟან-პოლ სარტრს მოუთხრო, რომ საქმე შემდეგნაირად იყო...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა მიმდინარეობდა 1953 წლის 1 მარტს, და ამ სხდომაზე კაგანოვიჩმა, პოლიტბიუროს სხვა წევრების მხარდაჭერით (ბერიას გარდა), კატეგორიულად მოითხოვა სტალინისაგან **"ექიმების საქმის"** ობიექტურად გამოძიება და მისი განკარგულების გაუქმება ებრაელების საბჭოთა კავშირის შორეულ რეგიონებში დეპორტაციის თაობაზე.

სტალინმა, ამის პასუხად, უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა ყველანი, მაგრამ თითქოს მიქოიანმა განაცხადა, რომ, თუ ისინი (ფაქტიურად – შეთქმულები) დაპატიმრებული იქნებიან და ნახევარ საათში თავისუფლებად არ გავლენ ამ შენობიდან, მაშინ საბჭოთა არმია კრემლს დაიკავებს. ამის შემდეგ სტალინი მიატოვა ბერიამაც, კაგანოვიჩმა კი ნაკუწებად აქცია ცეკას პრეზიდიუმის წევრობის საკუთარი მანდატი და ეს ნაკუწები სტალინს მიაყარა სახეში. სწორედ ამის შემდეგ ჩაექცა სტალინს სისხლი ტვინში, იგი უგონოდ დაეცა და მხოლოდ 2 მარტის დილის ექვს საათზე გამოიძახეს მასთან ექიმები.

ძვირფასო მკითხველო! ეს არ გახლავთ ნაბოდვარი! ეს ბოდვა გამოქვეყნებულია ნ. ზენკოვიჩის მითითებული წიგნის 180-181 გვერდებზე. მართალია, იგი აქვე ახდენს მეორე **"ქრონიკიორის"** ავტორხანოვის ციტირებას, მაგრამ ეს ციტატა ბევრად უფრო სერიოზულად გამოიყურება, ვიდრე ავტორხანოვის ბრალდებები სტალინის პარანოისა და მიზანთროპიის შესახებ...

თავად კაგანოვიჩმა საკუთარ მემუარებში დაწერა, რომ სტალინი გარდაიცვალა **"მოულოდნელად"**. მაგრამ ფელიქს ჩუევის გადმოცემის მიხედვით, რომელსაც დიდი **"სიამოვნებით"** ეყრდნობიან რუსი **"ისტორიკოსები"**, თითქოს მან თქვა კაგანოვიჩთან საუბრისას: **"მე მგონია, რომ სტალინი მოჰკლეს!"**, რაზედაც კაგანოვიჩმა უპასუხა: **"არ ვიცი!"...**

მაშინ ჩუევმა თემა შემდეგი სიტყვებით გააგრძელა: **"მოლოტოვი ასე თვლის და იცით, რა მითხრა მან ამის თაობაზე?", "რა?"**– შეუბრუნა შეკითხვა კაგანოვიჩმა. **"1953 წლის 1 მაისს, როცა ბერია უკანასკნელად იდგა მავზოლეუმის ტრიბუნაზე, მან მოლოტოვს უთხრა, რომ სტალინი მე გავასაღეო".**

თუმცა, ჩუევმა ამას მაშინვე დაურთო საკუთარი კომენტარი: **"ლავრენტი ბერიას შეეძლო სპეციალურად შეგნებულად დაებრალებინა საკუთარი თავისათვის იოსებ სტალინის მოკვლა, რათა კოლეგების თვალში პირადი ავტორიტეტი აემაღლებინა..."**

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ბერია ამ გზით ცდილიყო საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცებას – მას ისედაც საკმაოზე მაღალი ავტორიტეტი გააჩნდა. აი, მოლოტოვის პროვოცირება კი ლავრენტი ბერიას ნამდვილად შეეძლო. ბერიამ, უეჭველია, იცოდა, რომ სტალინი მოკლული იყო, მის პოტენციურ მკვლელთა წრე კი უკიდურესად შეზღუდული იყო. და გამოცდილი გამომძიებლისათვის, თუ ეს ზონდაჟი როგორ რეაქციას მოახდენდა მოლოტოვზე, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. აქ დამახასიათებელია ისიც, რომ ბერიას კაგანოვიჩისათვის არ უთქვამს **"მე ყველა თქვენ გადაგარჩინეთო"**, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სტალინი დიდად არ სწყალობდა კაგანოვიჩს.

სხვათა შორის, არც ის არის უტყუარი, რომ ბერიამ ყოველივე ეს უთხრა მოლოტოვს. არა, მე მეტ-ნაკლებად ვენდობი ჩუევს, მაგრამ, მოლოტოვს შეეძლო **"ხელი შეეწმინდა"** ბერიასათვის. გავიხსენოთ, თუ როგორ **"აკურატულად"** გადასცა მან პარტიის ისტორიას საკუთარი მიწერ-მოწერა სტალინთან, საიდანაც ასევე **"აკურატულად"** ამოიღო საკუთარი წერილებიდან ყველაფერი, რაც ლავრენტი ბერიას ეხებოდა. ბერია ხომ მის წერილებში მხოლოდ დადებით კონტექსტში იქნებოდა წარმოდგენილი.

არ მინდა კიდევ უფრო გადავღალო ჩვენი ისედაც გადაღლილი მკითხველი ჩუევისა და ავტორხანოვისთანა **"მიუკერძოებელი"** ავტორების მტკიცებულებების ციტირებით, რომლებიც მთელი სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ როცა სტალინი უგონოდ დაეცა იატაკზე, ბერია სიხარულით აღტაცებული დარბოდა და ყვიროდა: **"ტირანი მოკვდა, ჩვენ თავისუფლები ვართ!"** მაგრამ თურმე სტალინმა თვალი გაახილა და ბერია მუხლზე დაეცა, რათა მისთვის პატიება ეთხოვა.

სარკაზმის გარეშე ნამდვილად ვერ ვიტყვი – შექსპირის სცენარია, ჟვანეცკის შესრულებით. სხვა სახელს ნამდვილად ვერ მოუძებნი ამ ნაბოდვარს!

მაგრამ, მთელ ამ ნაბოდვარში, მაინც შეიძლება სამი საინტერესო მომენტი გამოვაცალკევოთ.

პირველი – რეალურია თუ შეთხზულია ებრაელების დეპორტაციის ამბავი, როგორც სტალინის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება.

მეორე – რეალურია თუ არა, სტალინის ძალადობრივად მოკვდინების სხვადასხვა ვერსიები.

მესამე – უეჭველად დადასტურებულია, რომ მიუხედავად ლავრენტი ბერიაზე მიწერილი უამრავი ნაბოდვარისა, მაინც იკვეთება, რომ ლავრენტი პავლეს ძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იოსებ სტალინის ფიზიკურ განადგურებაში.

მე არ ვიცი – არსებობდა თუ არა ებრაელთა დეპორტაციის გეგმა, მაგრამ **"ექიმების საქმე"** რომ არსებობდა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. და ის, რომ ლავრენტი ბერია **"სამეულის"** სათავეში აღმოჩნდა, ამ სტრუქტურაში **"სპეციალური ორგანოებისა და განსაკუთრებულ საქმეთა წარმომადგენლობების"** შექმნა, შეიძლება, თავისთავად მეტყველებდა კიდეც იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში ებრაელურ-სიონისტური **"მეხუთე კოლონის"** წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა მზადდებოდა. მაგრამ, არა მგონია, რომ "განსაკუთრებული საქმეები" მხოლოდ ამ ღონისძიებით შემოფარგლულიყო...

ავტორხანოვის, ზენკოვიჩის და **"ძმათა მათთა"** მონათხრობთა ფონზე (ყველა ზღაპარი შეთხზული ამბებია, მაგრამ მათში მაინც არის რაღაც მინიშნება ჭეშმარიტებაზე) იოსებ სტალინის სიკვდილის ჩემეული ვერსია ძალიან უახლოვდება მწერალ იური მუხინის მოსაზრებებს, რომელიც ასევე ახლოს დგას რეალობასთან. სხვათა შორის, ერენბურგს, ავტორხანოვს და ზენკოვიჩს დაეზარათ კალენდარში ჩახედვა და სკკპ ცეკას პრეზიდიუმის სხდომა დანიშნეს 1953 წლის 1 მარტს – კვირადღეს, რადგან ეს დღე სწორედ კვირას ემთხვევა. სამაგიეროდ, იური მუხინის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ორშაბათს, 1953 წლის 2 მარტს დანიშნული იყო სკკპ ცეკას პრეზიდიუმის სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო მეტად მწვავე საკითხები, ბევრად ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პოეზიის კუთხე

ალექსანდრე ლაზი

ჩემო საქართველო

ჩემო საქართველო,
ჩემო საყვარელო,
როგორ აგიტირეს გული...
თითქოს ყოფილიყავ
უცხო პლანეტიდან
გადმოსახლებული მდგმური...
შენ რომ ჩაიხუტე,
ეგ სიმართლის კვერთხი,
მიტომ დაგიკაწრეს გული,
მაგრამ არ მოკვდება,
ფეხზე წამოდგება,
შენში ეგ ქართული სული...
სული ძლიერია!
იმათზე ძლიერია!
ვინც შენ დღეს თავზე გაზის!
არ გადაშენებულა –
არც გადაშენდება
ფესვები ქართული ვაზის!
ისევ წამოდგება
შენი თბილისი და
იმ ფოთს დაუძახებს ფაზისს,
შენ კი აყვავდები –
ისინი გაქრებიან,
ვინც შენ დღეს თავზე გაზის!...
იმ ღიმილის ბიჭებს,
შენ რომ გვერდში გედგა,
გული ეძახოდა შენთან,
მაგრამ იმათ შორის,
ბევრი აღარ არის,
უკვე აღარ არის ჩვენთან...
გული დაგიკოდეს
შენმა ქართველებმა
ერთად იმ სხვა კანის ფერთან...
ასე ყოფილა და
ასე თუ გაგრძელდა,
რადა ჩივილი გვაქვს ღმერთთან.
ჩემო საქართველო,
სათაყვანებელო,
შენ ნუ მიეცემი ფიქრებს,
ისევ იღაღადებს
შენში უღრუბლო ცა,
მაშინ გადიწმინდავ ჩრდილებს.
კვლავაც მოვესწრებით
მაგ შენს ლამაზ ტყეში
მიჯნურ ფურებსა და ირმებს,
შენ რომ აღარ იყო,
ცოტნე მოკვდებოდა,
სული გაჰყვებოდა ფიქრებს.

რამაზ კუპრა

გეკიკათით

თის ნატრენა, ომარგალე,
ყუნდან დოჩოქინაფილი,
გური ეშაღალირი დო
ღილატირი, დინაფილი...

ომარგალე, ქიმერჩამდას
ჯიხაშკარიშ ჯიხაშ ნძალა,
ჯიმალობა, მორდუობა,
მითინს, მითიუნს ვადვანძალათ!..

უდენდელო ქაშმაკათეს,
დობაბლაგეს ირფელნერო,
იშენ გერექ ქომოლურო
ბირგულ გინოფერჩველერო!..

მუნაფა რე შაყარელი,
დუსი სქიბუ გიმართუნა,
ჩქინი ემაჭყვიდალემსი
ჩქინ ჭყვადუა ვასქიდუნა...

განთხ გოზინდით, გოცქვირონდით,
ქუმარჩქილით, მა მუს ბთქუა:
გეკიკათით, ნამსით გოკონ
ომარგალეშ ჯგირობუა!..

1992 წანა,
ფუთი.

გომიძიცე ოკოლხეში თუთა

გომიძიცე ჯვოშებურო,
ოკოლხეში თუთა,
გეგნომივარჩხილე ლიხი,
აუადჰარა, ურთა...

უჩა ზღუას ენორწკინინს
უკოროცხუ ქუა,
ქოგიშინი, ვორექ სქანი
კიდირიში სქუა...

ქიგიშინი, სოიშახ ონჭუდ
სქანი ვე დო გვალა,
დიოსკურს დო პიტიუნტის
თიშა ქემეითვალა...

მუნაფეფი გეგნიფაჩი
ოკოლხეში თუთა,
ქავოსქიდით ართ-მაჟიას
მა დო სი დო ურთა...

ჩქინ ორთაშე, ამდღარიშო,
მაპალუნა მუთა,
გომიძიცე, გომიძიცე
ოკოლხეში თუთა...

ძალიან ლამაზი, ღირშესანიშნავი იუბილე!

მეგობრის დაბადების დღე ყოველთვის ღირშესანიშნავია, მით უმეტეს გარდაცვლილის. უფრო შთამბეჭდავია, როცა მეგობრები გადაწყვეტენ მოსაგონარ ძმაკაცს უხმაუროდ, მხოლოდ თავიანთ წრეში, აღუნიშნონ ისეთი მრგვალი თარიღი, როგორიცაა 70 წელი.

2011 წლის ოქტომბრის თბილი, ღრუბლიანი დღე იყო.

მაცხოვრის დიდებული მონასტრის სამხრეთით, გალავნის მახლობლად, სადაც ორი საუკუნის ზღვარზე, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შესანიშნავ წალენჯიხელთა მრავალრიცხოვანი კრებული უკვე მარადიულ სამყოფელში დამკვიდრებულა და ერთმანეთს მჭიდროდ მიჯრილ საფლავთა ქვებში გამოსახულა სურათებად, ქანდაკებებად აღმართულა, ერთ ცალკე შემოსაზღვრულ საოჯახო სასაფლაოს ზღუდესთან 12 მამაკაცი აღმოვჩნდით. მაშინვე გავიცნობიერეთ: ვარდ-ყვავილის ამოტანა დაგვიწყებოდა. არადა, საფლავს ისე არაფერი უხდება, როგორც მიცვალებულისათვის ძვირფას ადამიანთა მიერ მიტანილი ყვავილი. ამ საჩოთირო საქმის გამოსწორება უკვე ძნელი, თითქმის შეუძლებელი გახდა, მაგრამ ყოველივე წარმოსახულზე უფრო ლამაზად დაიწყო: ჩვენს შემდეგ მოსულმა ერთადერთმა ქალბატონმა საფლავთან უმშვენიერესი ვარდები დააწყო, იქვე ღვინოც გაჩნდა, რამდენიმე ბოთლი შამპანურიც...

საფლავს წითელი და თეთრი ღვინო ეპკურა და შეკრებილებმა, გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ, ზეციურ საქართველოში მივულოცეთ დაბადებიდან 70 წელი ჩვენთვის მარად ცოცხალ მეგობარს ჯემალ (გული) მიხეილის ძე კვარაცხელიას. ვარდების მომტანმა მისმა მეუღლემ, ქალბატონმა როზამ აცრემლება არ შეიმჩნია, იგი მდუმარედ, სევდიანად, მაგრამ მადლიერების გრძნობით უხრიდა თავს იქ მყოფთ. ზოგიერთმა ჩვენთაგანმა ხელი ფრთხილად გადაუსვა ქვაში გამოსახულ ბრგე ვაჟკაცის პორტრეტს და ალბათ ჩემსავით გაიხსენა ცნობილი თქმა: **"აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა".**

ჩვენ მას გულის (გულიკოს) ვეძახდით ბავშვობაში და ჩვენთვის ეს სახელი შერჩა ბოლომდე. გავიხსენეთ როგორი სიკეთით სავსე, პურმარილიანი იყო გულის ოჯახი, დედა – ზინა და მამიდა – ვერა რარიგ ერთსულოვნად უძღვებოდნენ უკაცო ოჯახს,– შესანიშნავი ვაჟკაცის, მიხეილის დანატოვარს. მიხეილს პატივისცემით იხსენიებენ თანამედროვენი – სწავლული აგრონომი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაიღუპა დიდ სამამულო ომში. გული მამის ომში წასვლის შემდეგ დაიბადა და ახსოვთ წალენჯიხელებს დედის აღზრდილს როგორ უწოდებდნენ თიკუნად **"ზინაევიჩს"**.

გავიხსენეთ გულის ტექნიკუმში სწავლის წლები, შემდეგ პირველი შრომითი ნაბიჯები წალენჯიხის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, – ყმაწვილკაცობიდანვე მისი განსაკუთრებული უნარი ყველა თაობის წალენჯიხელებთან მეგობრობისა. მისი შესაშური თვისებები გულუხვობისა, მასპინძლობისა, მეოჯახეობისა...

გავიხსენეთ მისი დაკრძალვის ზარდამცემი დღე: სამძიმარზე მოსული ათასობით წალენჯიხელის, თბილისიდან, ზუგდიდიდან, ხონიდან და საქართველოს მრავალი რაიონიდან ჩამოსულ მგლოვიარე ნათესავ-მეგობართა მწუხარებისაგან გაოგნებული სახეები.

ჩვენს მეგობარს, გულის, ისევე როგორც თითქმის მთელ ჩვენს თაობას, უღმერთო საზოგადოების შვილებს, ცხადია, ახალგაზრდობა უშეცდომოდ არ გაუვლია, მაგრამ მან შესძლო უმთავრესი: გაილამაზა აწმყო, მშვენიერ მეუღლესთან ერთობლივი სწრაფვით აიხდინა ათეული წლის ოცნება და მათ ქვეყანას მოუვლინეს ჭეშმარიტი სიყვარულის ასულები, ახლა ცხოვრებაში დამოუკიდებელ ნაბიჯებს რომ დგამენ. ეს იყო გულის ამქვეყნიური არსებობის უპირველესი გამართლება და ზეციური მკვიდრის პირნათელობა უზენაესის წინაშე.

მან შესძლო ყოფილიყო მისაბაძი მოქალაქე, შესანიშნავი მეუღლე, შეუდარებელი მამა და ჩინებული ქართველი!

მეგობრების სახელით,
თამაზ ფიფია

(მასალები მოგვაწოდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენელმა წალენჯიხაში ნუბზარ ზარძუამ)

თავდაცვის სფეროს დაფინანსება 44,6 მილიონი ლარით იზრდება

მთავრობის მიერ მომზადებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ბიუჯეტში, წლის უკანასკნელ თვეში, თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 44.6 მლნ ლარით გაიზრდა.

საბიუჯეტო ცვლილებების განმარტებით ბარათში თავდაცვის დაფინანსების ზრდის დეტალები არ არის მოცემული და მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ თავდაცვის სამინისტროს ასიგნებებში გადადის ვეტერანთა დეპარტამენტისთვის განკუთვნილი დაფინანსება, რადგან ეს დეპარტამენტი ცოტა ხნის წინათ ჯანდაცვის სამინისტროდან თავდაცვის უწყებას გადაეცა. ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს მთლიანი დაფინანსებიდან ვეტერანთა დეპარტამენტზე 836 ათასი ლარი მოდის. სხვა გამართლებელ;ი არგუმენტი ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა.

ცვლილებების პროექტი მიმდინარე წლის შემოსავლების ზრდას ითვალისწინებს არსებული 6.304 მლრდ ლარიდან 6.476 მლრდ ლარამდე. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები იზრდება 125 მლნ ლარით. თუმცა შემცირებაა გრანტების ნაწილში 53 მლნ ლარის ოდენობით.

მთავრობის განმარტებითი ბარათის თანახმად, შემოსავლების ზრდა განაპირობა ეკონომიკურმა ზრდამ, რომლის საპროგნოზო მოცულობაც არსებული 5.5%-დან 6%-მდე იზრდება და ნომინალური მშპ-ის პროგნოზი 23.8 მლრდ ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის ხარჯები, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, არსებული 5.966 მლრდ ლარიდან 6.020 მლრდ ლარამდე იზრდება.

თავდაცვის უწყებასთან ერთად დაფინანსება ეზრდება სამინისტროების უმეტესობას.

წელს მხოლოდ ორ სამინისტროს შეუმცირდება დაფინანსება. ესენია: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც 1.685 მლრდ ლარს მიიღებს, არსებული 1.692 მლრდ ლარის ნაცვლად; და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელსაც 818.6 მლნ ლარი გამოეყოფა ამჟამად გათვალისწინებული 879.1 მლნ ლარის სანაცვლოდ.

თუმცა, ამავე დროს, მკვეთრად – ორჯერ მეტად, იზრდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსება არსებული 146 მლნ ლარიდან 327.8 მლნ ლარამდე.

ამასთან, მცირედით იზრდება საქართველოს პარლამენტის, მთავრობის კანცელარიის (თითქმის 1 მილიონი ლარით), სახელმწიფო დაცვის სამსახურის, სახალხო დამცველის აპარატის (დონორების დაფინანსების ხარჯზე), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (750 ათასი ლარით) დაფინანსება. თვითმმართველობებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ოდენობა არსებული 835 მლნ ლარიდან 859 მლნ ლარამდე იმატებს.

სავარაუდოდ, აღნიშნული მატება განპირობებულია იმითაც, რომ რიგი მიმართულებებით ხარჯების შეკვეცაა გათვალისწინებული. მათ შორის, 62 მლნ ლარით მცირდება საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები, დაახლოებით 19 მლნ ლარით – საშინაო ვალის; და 38 მლნ ლარით – ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვა.

პარლამენტის საბიუჯეტო ცვლილებების ამ პროექტის განხილვა მესამეა 2011 წლის ბიუჯეტში აპრილსა და მარტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ.

თუ ამ დალოცვილებს ბიუჯეტში ზედმეტი თანხა აღმოაჩნდებოდათ, არ ჯობდა, პენსიონერებისათვის საახალწლო საჩუქრად ხუთ-ხუთი ლარი წაემატებინათ, ან ქართველი მეზღვაურები გამოეხსნათ სომალელი მეკობრეების ტყვეობისაგან? მაგრამ ამათ ქართველების ბედი ისევე აინტერესებთ, როგორც სომხეთის კათალიკოს გარეგინას და სხვა გარეგინებს!

მასმედიამ და არასამთავრობებმა უკვე გამოთქვეს ორი, არც თუ უსაფუძვლო ეჭვი ბიუჯეტში განხორციელებული ამგვარი ცვლილებების თაობაზე. პირველ გახლავთ კორუფციული მომენტი, რადგან ნაციონალებმა კარგად იციან, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნის ვადა იწურება და რაც შეიძლება მეტი ფული უნდათ რომ გააყოლონ ხელს. არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი – საქართველო სამხედრო ნაწილების საგანგებოდ აღჭურვაზე ზრუნავს, რაც არ გამორიცხავს **„ნაციონალთა"** მხრიდან ახალი ომის პროვოკაციას, რასაც დამატებითი ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვება, მაგრამ დამარცხება რა მოსატანია იმ **„გამარჯვებასთან"**, რომელიც ტაშ-ფანდურითა და დიდი ზარზეიმით აღვნიშნეთ 2008 წლის აგვისტოში, როცა **„სასტიკად"** დავამარცხეთ რუსები და **„დამარცხებულები"** ძალიან რომ არ დაღონებულიყვნენ, კოდორის ხეობა და ლენინგორის რაიონი მივართვის ძღვნად.

მეორე კი გახლავთ სწორედ ის **"პოლიტიკური ქრთამი"**, რომლის თაობაზეც ცვლილება დაიგეგმა კანონმდებლობაში. დამატებითი თანხა, სავარაუდოდ, პრემიებად გაიცემა იმ ძალოვნებზე, რომლებიც ძალისმიერი მეთოდებით უზრუნველყოფენ **"ნაციონალთათავის"** ძალაუფლების შენარჩუნებას.

სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დამატებითი თანხა თავდაცვის სამინისტროს ახალი საარტილერიო დანადგარების შესაძენად დასჭირდა, თუმცა აქვე ასკვნიან, რომ ამ დანადგარებს ახალს ნამდვილად ვერ დაარქმევ, რადგან ისინი საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში მიიღო დაახლოებით 45 წლის წინათ.

საკ. ინფ.

ორი სვანეთი, ანუ სვანები და “სვანები”

2003 წლის 23 ნოემბრიდან რომ ჩვენი სამშობლო **“თავისუფალი და დამოუკიდებელი”** გახდა და **“დემოკრატიის მშენებლობას”** ჩაეყარა საძირკველი, განვლილმა პერიოდმა დაამტკიცა. იმ დღიდან მოყოლებული, საქართველოს **“გადასარჩენად და გასაბრწყინებლად მოვლენილი “ნაციონალური ხელისუფლება” არნახულად ენერგიამოძალებული იღვწის”** ახლადფეხადგმული ქვეყნის, თანამედროვე **“ყოველმხრივ განვითარებულ სახელმწიფოს შესაქმნელად”** და მსოფლიო თანამეგობრობის მოწინავე დაჯგუფებაში დასამკვიდრებლად.

“ურწმუნოების, შურიანების და კრიჭაში ჩამდგართა გაუთავებელი კირკიტისა და ფეხის დადების” მიუხედავად **“რევოლუციონერებმა”**, რვა წლის განმავლობაში **“მუხლჩაუხრელი გარჯითა და ოფლის ღვრით”** შეძლეს მთლიანად გავერანებულ-გაპარტახებული ქვეყნის სააქაოსკენ შემობრუნება; დასახულისა და ჩაფიქრებულის, **“ზღაპრული მიღწევებით”**, სინამდვილედ გადაქცევა. მსოფლიოში ცნობილი გამოცემებისა და ტელეკომპანიების ქადაგებად დაცემული ფარისეველი ჟურნალისტები, საქართველოს ბიუჯეტიდან მოპარული ფულით დასაჩუქრებულ-ჯიბედამძიმებული, **“გაოგნებულ-დამბლადაცემულები”** გაჰყვირიან და ჯდებიან, სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ მომხდარ დაუჯერებელ **“აღმშენებლობაზე”**, ქვეყნის **“ჯადოსნურ”** ფერიცვალებაზე. სხვადასხვა საგენტოებისა თუ საეჭვო ორგანიზაციების ფულს დახარბებულ და სულგაყიდულ კალმოსანთა **“გამოკითხვებით”**, თურმე, ბევრ რამეში, უკვე **“მსოფლიო პოზიციები”** დაგვიკავებია და ცალკეული მაჩვენებლებით, **“პირველებიც”** გავმხდარვართ.

იგივეს სჩადიან, სახელისუფლებო ტელეკომპანიებისა და გაზეთების სინდისდაცლილი **“კალმოსნებიც”**, ყოველდღიურ პუბლიკაციებში, ტელესიუჟეტებსა და რეპორტაჟებში, ურცხვად და უტიფრად რომ აფრქვევენ საქართველოს ყველა კუთხის **“აყვავების”** ამბებს. ტელეეკრანზე მალი-მალ გამოჩენილი მიხეილ სააკაშვილი, ყალბი აღტაცებითა და სიხარულით ხსნის ევროპასა და მსოფლიოში **“უპირველეს, ულამაზესსა და ყველაფრის მჯობნ”** სასტუმროებს, შადრევნებს და საქანელებს, რესტორნებსა და კაფე-ბარებს, ბულვარებსა და გზებს, თეატრებს, წარმოუდგენლად **“ფანტასტიკურსა და მოდერნულ”** ხიდებს. მართალია, ეს ყველაფერი ორ-სამ დღეში ინგრევა, იფუშება და თავიდან ასაშენებელ-მოსაწყობი ხდება, მაგრამ ეს არ არის საგანგაშო და არც თავში საცემი; არც მათში უდიერად ფულის გადაყრა და ქარს გატანებაა უბედურება. მთავარი, გაძარცვულ-გადატაკებული ქართველების მორიგი გაცურებითა და თვალებში ნაცრის შეყრით, ლაგამის უფრო მაგრად მოჭერა და **“აღმშენებლობაზე”** დახარჯული მილიონებიდან, რაც შეიძლება მეტის მოტეხვაა.

მორიგი ზეიმი და მდაბიური სანახაობა, მიხეილ სააკაშვილმა 2011 წლის 13 სექტემბერს სვანეთში ჩაატარა. **“აღმაშენებელ”** მიხეილს, იმ დღეს, **“ტურიზმის ბრილიანტად”** გამოცხადებულ მხარეში, რამდენიმე **“საოცრების”** გახსნა-ამოქმედება ჰქონდა განზრახული. რაც მთავარია, იქაურების **“მხსნელსა და ამაღორძინებელს”**, სვანები, საუკუნეების განმავლობაში მოუგვარებელი საწუხრის თავის დასახსნელი და უპირველესი საჭიროების – **“უნიკალური სიმტკიცის”** გზის მიძღვნით უნდა გაებედნიერებინა.

ბუნებრივია, გზის პირველი გამკვალავი და შემმოწმებელ-შემფასებელი, **“სასწაულის”** მომხდენი მიხეილი იქნებოდა. მით უფრო, ამის გამოცდილება, გომბორის **“თვალისთვის უნახავი”**, მალევე სახიფათოდ დაბზარულ-დატალღული გზის ამოქმედებისას ჰქონდა შეძენილი. დაცარიელებულ გზაზე მიმქროლავი ავტომობილის საჭესთან მჯდომი დეფექტურად და გაურკვევლად მოლაპარაკე მიხეილი, თანამგზავრები – ქვეყნის თითქმის ყველაფრის მინისტრი, უამრავი მილიონის მშოვნელი რამაზ ნიკოლაიშვილთან და **“მდგრად”** ჩამოსაყალიბებელი ქართული ეკონომიკის **“დედად”** მოვლენილ, მილიონების დაგროვებადაწყებულ მინისტრ ვერა ქობალიასთან ერთად, არნახულად თვითკმაყოფილები ესალმებოდნენ გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ მშენებლებსა და მოსახლეობას.

სიბრალულის ღიმილის მომგვრელი იყო ერთ-ერთ მონაკვეთზე თავმოყრილ ადამიანებთან შეხვედრის ხილვა. დამხვდურთაგან ატეხილ გნიასში, მანამდე ბევრჯერ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გათამაშებული პრიმიტიული სანახაობის სვანური ვარიანტის მონაწილე სამ-ხუთ ლარჩამორიგებული კბილებჩამსხვრეული დედაბრები, ძალამიცემულები მიილტვოდნენ და გულისამრევად ეხუტებოდნენ, ურცხვად ლოშნიდნენ **“უმაღლეს”** სტუმარს; ხელში აჩეჩებდნენ დამფრთხალ ყმაწვილებს; რამდენიმე დღეში გაზეპირებული **“ნაციონალური”** ტექსტებით უხდიდნენ მადლობას ქვეყნის ამაოხრებელს; ბოლო არ უჩანდა გაუსაძლისი ყოფისაგან ბავშვობაწართმეული გოგო-ბიჭების **“მიშა-მიშა”**-ს გამაყრუებელ ჭყივილს...

“ნაციონალური” ნასუფრალ-ნამცეცებით დაკმაყოფილებული, გონებაწართმეული არსებები, მადლობას უხდიდნენ ძალაუფლების მიმტაცებელ დიქტატორს, **“რევოლუციის გამარჯვებისთანავე”**, სვანეთის ისტორიული და სტრატეგიული კოდორის (დალის) ხეობა ზემო აფხაზეთად რომ გადანათლა და დამპყრობლებთან გარიგებულმა, ამით იქაურობის გასხვისების აუცილებელი პირობა რომ შექმნა.

მოსალოდნელ თავს დასატეხ ამ ტრაგედიაზე, მაშინდელ გუბერნატორ ემზარ კვიციანს, უშიშროების ერთ-ერთი მაღალჩინოსნისგან შეუტყვია: **“2004 წელს ირაკლი ალასანიამ შეხვედრა მთხოვა და შევხვდი რესტორან “ძველ სახლთან”. მე მას ვუთხარი, რომ ხელისუფლებას აშშ-ს ადმინისტრაციისგან ხეობის ჩაბარება აქვს გადაწყვეტილი-მეთქი. ის, რა თქმა უნდა, არ დამეთანხმა. შემდეგ ვკითხე – ვინ იქნება პასუხისმგებელი იმისა, რომ კოდორი არ ჩაბარდება-მეთქი? რაზედაც სიტყვა-სიტყვით მიპასუხა – მე, ირაკლი ალასანია ვიქნები პასუხისმგებელიო. დადგა დრო და ვეკითხები ირაკლი ალასანიას – ბატონო ირაკლი, რატომ ჩაბარეთ ხეობა შენ და შენმა მამიდაშვილმა?”** (**“ძრონიკა”**, 2009 წელი, №13).

პასუხი, უფრო სწორედ შედეგი, შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი მიიღო ემზარ კვიციანმა – სვანებისაგან დაცლილი კოდორის ხეობა, შეპირებისამებრ, მოღალატე სააკაშვილმა, 2008 წლის აგვისტოში, ოკუპანტებს უფეშქაშა!..

...2005 წლის 24 მარტს, სოფელ ეცერში, სისხლიანი სპეცოპერაცია ჩატარდა. ადამიანების გატაცებაში დადანაშაულებული მამაშვილები აფრასიძეების შესაპყრობად, ვერტმფრენებითა და თორმეტი სატვირთო მანქანით ლამის ორი ათასი სპეცსამსახურის თანამშრომელი შეიჭრა სოფელში. ოპერაცია ტრაგიკულად დასრულდა – ოჯახის უფროსი ცეცხლწაკიდებულ სახლში გამობუგეს, ერთი ვაჟიშვილი ადგილზე დახვრიტეს, ორი კი, მძიმედ დაჭრილები, ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს; ერთ-ერთის მეუღლე ჭკუიდან შეიშალა და საზარელი სანახაობის მხილველი მცირეწლოვანი ბავშვები, სასწაულად გადარჩენილი ბებიის ამარა დარჩნენ.

მალე გაირკვა, რომ გამტაცებლები სხვები ყოფილან და სცოდნიათ კიდეც ხელისუფალთ, დიდი ხნით ადრე. უბრალოდ, სხვა დანაშაულის ჩამდენ აფრასიძეებს ადამიანების გატაცებაც აჰკიდეს; მათი ამოხოცვითა და ციხეში გამოკეტვით, ერთობ გახმაურებული საქმე დასრულებულად გამოაცხადეს.

2005 წლის 15 ნოემბერს, კოდორის ხეობაში, შეშის შეგროვების დროს, ოცდაოთხი წლის ბესიკ აფრასიძეს ფეხზე ტრაქტორმა გადაუარა. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფისთვის და სხვა მძიმე ავადმყოფებისათვის, თბილისიდან ვერტმფრენი გამოიძახეს, მაგრამ საწვავის უქონლობის გამო, ეს მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა. ქუთაისში ჩაფრენილებისათვის, ასევე საწვავის უქონლობის გამო, დიდი ხანი არ გამოჩნდა რეანიმობილი...

სამაგიეროდ, იმ დღეებში საქართველოში პერსონალურად მოწვეულ უკრაინელ იაფფასიან მომდერალ რუსლანას, მისით მოხიბლული და თაყვანისმცემელი სააკაშვილის ბრძანებით, რამდენიმე დღე ემსახურებოდა ვერტმფრენი და ვიდეოგადამღებ ჯგუფთან ერთად, შეუფერხებლად გადაადგილდებოდა სვანეთიდან აჭარაში, იქიდან თბილისში და სადაც მოისურვებდა...

2005 წლის 27 იანვარს, სააკაშვილის ბანდის წევრებმა, ოქროყანის სასაფლაოზე, მხეცურად, გაუგონარი სადისტობით აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს ოცდაექვსი წლის სანდრო გირგვლიანი.

მიხეილის ჯალათებისაგან და კანიბალებისგან ჩადენილმა საზარელმა მკვლელობამ მთელი საქართველო შეაზანზარა. მომხდარით შეძრწუნებული ქართველები მხარში ამოუდგნენ სანდროს წარმოუდგენლად მებრძოლსა და გაუტეხელი სულის დედას; ერთად შეეჭიდნენ სააკაშვილის ქართველთჭამიასა და სისხლიან რეჟიმს, თუმცაღა უშედეგოდ – გაუბედურებულმა დედამ ვეღარ გაუძლო თავს დამტყდარ ტრაგედიას და მძიმედ დაავადებული, უდროოდ მიიცვალა. მიხეილმა კი, სამწლიან სასჯელმიგებულ მკვლელებს, ციხეში ყოფნის ვადა გაუნახევრა და გაანთავისუფლა.

დასანანია, გაუგებარი და დიდად გასაკვირი, რომ სვანეთიდან დღემდე ჩამი-ჩუმი არ ისმის უდანაშაულო ახალგაზრდა კაცის ტრაგედიის თაობაზე. ძალზედ დამაფიქრებელია და შემაშფოთებელი, სანდროს ვერაფრით მოსათმენ შემზარავ სიკვდილთან, სვანეთის დანაშაულებრივად, გაუმართლებლად დადუმება და უპატიებელი გულგრილობის დემოსტრირება.

კიდევ უფრო გასაკვირი იყო და განუზომლად გულსატკენი, 2007 წლის 27 დეკემბერს, კოდორის ხეობაში **“საგულაოდ”** ჩასული სააკაშვილისათვის, იქაურობისგან მოწყობილი სამარცხვინო და თავის მომჭრელი საზეიმო დახვედრის ხილვა. თხილამურებით სრიალის მერე, მიხეილი მოსახლეობას შეხვდა და თეთრი ნაბდით დასაჩუქრებულმა, ტრადიციული ფუჭი დაპირებებითა და იაფფასიანი ტყუილებით, მოკლე ხანში იქაურობის აყვავება და ნეტარი ცხოვრების დადგომა აღუთქვა. სინამდვილეში, ცბიერმა და მუხანათმა, ურცხვად გააცურა და უსინდისოდ მოატყუა, ხაფანგში გასაბმელად განწირული ბედკრული კოდორელები. იმ გულისამრევი სანახაობის გამართვის დღეს, რუსთ ხელმწიფესთან გარიგებულ მოღალატე უცხოტომელ მიხეილს, სვანეთის ისტორიული ხეობა, დამპყრობლებისათვის გასაჩუქებლად ჰქონდა გამზადებული!

რვა თვის შემდეგ, მრავალი სვანი ჯარისკაცის შემწირველ ორდღიან ომში კაპიტულაციაგამოცხადებულმა სააკაშვილმა, განიარაღებული მოსახლეობისაგან დაცლილი ზემო აფხაზეთად სახელდარქმეული სვანების ხეობა, ოფიციალურად უსახსოვრა მოწინააღმდეგეს! საუბედუროდ, სვანებმა მაშინაც იყუჩეს ამ დიდსა და სახელმწიფოებრივ ტრაგედიაზე. ძალზედ გამაოგნებელია და გულის შემძვრელი, ოდითგან ამაყი და ყველანაირ უსამართლობასთან შეურიგებელი, უშედავათო მებრძოლი იქ მოსახლეთა დღევანდელ მემკვიდრეშთამომავლების ასეთნაირად დაბეჩავება და დაუძლურება. მშობლიური კუთხის დამაქცევრებისა და მოღალატეებისადმი დასაგმობი, ღირსების შემლახველი შემრიგებლურ-მორჩილი ურთიერთობა.

ყველაფერშერჩენილმა მზაკვარმა და უსაზღვროდ თავგასულმა სააკაშვილმა, ფუჭი დაპირებების გაცემით, კიდევ უფრო უმატა სვანების დამორჩილებასა და მუჭში მოქცევას. საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხიდან უდიდესი ოდენობის ფულის შოვნის სუნნაკრავმა, თვალის მოსატყუებელი სამუშაოების ჩატარებითა და რამდენიმე ათეული მოსახლის დროებით დასაქმებით, ვერაგულად მოახერხა მოსახლეობის მიმხრობა.

სულიერად დაავადებული და ფსიქიკაშერყეული ადამიანებისათვის დამახასიათებელი ამოჩემებით შეპყრობილმა, შინაურ და უცხოელ თაღლითებთან გარიგებაში გაწაფულმა მიხეილმა, იაფფასიანი, ბრჭყვიალა სანახაობებით, შეძლო და ტურიზმის სენით დაავადებულმა, გულსატკენად მინდობილი მოსახლეობა, სვანეთის **“მსოფლიო მნიშვნელობის ტურიზმის”** ადგილად გადაქცევაში, მას მოყოლილ **“საარაკო შემოსავლებსა და ნებიერი ცხოვრების დადგომაში”** დააჯერა.

საამისოდ, ყავლგასული, ფულზე გაწუწკებული ცნობილი პიროვნებები ჩამოჰყავს და მათი **“გამოცდილების, რჩევა-მოსაზრებებისა და სიახლეების გათვალისწინებით”** აპირებს, ყველა კუთხისა და მთლიანად საქართველოს **“მიწიერ სამოთხედ”** გადაქცევას; უფრო სწორედ, სინგაპურიზაციას! ასე გაჩნდა მესტიაში, გერმანელი არქიტექტორების **“შედევრი”** – აეროპორტი და ორიოდე სხვა ნაგებობა.

მორიგი და თვალებში ნაცრის შესაყრელი პრიმიტიული საჩვენებელი სეანსი, მიხეილმა 20 ივლისს გაუმართა სვანებს. წარსულში ცნობილსა და დღეს ყველასგან მივიწყებულ იტალიელ მოთხილამურე ალბერტო ტომბასთან ერთად, უშბის ფერდობზე **“ისრიალა”**. გვარიანი გასამრჯელოს მომლოდინე, **“მსოფლიოში მსგავსის არაფრის მნახველმა”** ენაწყლიანმა იტალიელმაც ენა გაშალა და იქაურობის ფასის **“არმცოდნესა და ვერმომვლელი”** ქართველების **“მჯობნმა”**, სათხილამურო ტრასების მოწყობის, სასტუმროებისა და მოდისტურ **“პიაცას”** აშენების, სათანადო ინფრასტრუქტურის მოგვარებისა და ზღაპრული სამოთ კურორტის ჩამოყალიბებისათვის საჭირო **“ფანტასტიკური მოსაზრებების, წინადადებების და რჩევა-დარიგებების ბუქი”** დააყენა.

ამიტომაც არა ჩერდება **“მსოფლიო საოცრების”** შექმნის მოსურვილე დაუოკებელი მიხეილი და უცხოელი **“ჯადოქრების შედევრებით”**, შეუჩერებლად **“რთავს და ამშვენებს”**, მანამდე **“უღიმღამო”** მესტიას. **“აშენებს”** და იქიდან მოტეხილ დიდ მაყუთს, შეუსვენებლად ამატებს, უცხოეთის ბანკებში საიმედოდ თვალს მიფარებული, ქართველების ქვეყნის ძარცვა-ყლეფით მოპარულ მილიარდებს.

დასანანებელია და დასაღონებელი, რომ გაუსაძლისი ყოფით სვეგამწარებული სვანები, ერთობ გასაკვირი გულუბრყვილობით სჯერდებიან და კმაყოფილდებიან, სააკაშვილისაგან შეჩეჩებული ორიოდე მდარე, ზიზილ-პიპილებიანი ულაზათო **“მოდერნ”** ნაგებობებს და ხუხულებს. სწორედ ისე, 13 სექტემბერს რომ ვიხილეთ გერმანელი არქიტექტორების მიერ, მიხეილის გემოვნებას მორგებული, აბლაბუდის დარი **“სამშვენისებით”** შემოგრაგნილ-დახუნძლული ხიდი და გაურკვეველი დანიშნულების დახლაკნილი შენობები. გულსატკენია, რომ მშვენიერი და გოროზი კოშკების, სადა და მოხდენილი ეკლესიების შემქმნელ-ამგები სვანი ხუროების იქ თავმოყრილი შთამომავლები, მიხეილის ხანაში წარმოქმნილს მიიჩნევენ ულამაზესი მშობლიური კუთხის **“აღორძინებად”** და წუთი-წუთ **“ბედნიერი”** ყოფის დადგომის ნაღდ პირობად. აი, ამის გამო ესიყვარულებოდნენ და გაუთავებელ სამადლობელს უძღვნიდნენ, დღეს-ხვალ იქ ჩასული **“ნახევარი მილიონი ტურისტისაგან მიღებული შემოსავლით”** გახარებული სვანები, ფლიდსა და ცრუ დაპირებების მფრქვეველ, ქვეყნის ამაოხრებელ მიხეილს. ამიტომაც არის გაუგებარი და გასაკვირი, იქ მოსახლეთათვის მარტივი განსჯის უნარის წართმევა და მიუხვედრელობა იმისა, რომ ევროპისა და ამერიკის სახელგანთქმულ სამოთ კურორტებთან, საფუძვლიანად გარდაქმილ-განახლებული მესტიის რამენაირად მაინც მიახლოებისათვის, ჯერ კიდევ ბევრზე ბევრი წელია საჭირო და არა სააკაშვილის ავადმყოფური კვეხნა-ქადილი!

აბსოლუტური ჭკუასუსტობა და სიგიჟე, ორ-სამ წელიწადში, ნახევარი მილიონი ტურისტის სვანეთში სტუმრობის დაჯერება; წარმოუდგენელია მათ მეტ-ნაკლებად კმაყოფილებად გასტუმრება და საერთოდ დაუჯერებელია, მათგან დახარჯული ფულით, იქ მოსახლეთათვის, სააკაშვილისგან შეპირებულ-დამტკიცებული **“უზრუნველი და ტკბილი ცხოვრების”** დაწყება. ისიც ცხადია, რომ არც საქართველოსა და, მაშასადამე, სვანეთს **“მხსნელად”** მოვლენილი მიხეილის **“სეფე-ქალა მინისტრ”**, კუბდარზე გაგიჟებულ ვერა ქობალიასგან გაკეთებული **“მაგიური”** რეკლამა გამოაქცევს ამდენ უცხოელს მესტიაში.

საინტერესოა, როგორ და რა რაოდენობისა უნდა დაამზადონ სვანებმა, არამც თუ ნახევარი მილიონის, თვით ორი ათეული ათასი ტურისტის დასანაყრებელი უგემრიელესი კუბდარის გამოსაცხობად საჭირო ხორცი? განა რა რაოდენობის ძროხა, ღორი, თუ სხვა საქონელი დაუდით იქაურებს? გამოდის, უცხოეთში უნდა შეიძინონ. მაშინ, თვითონ რაღა უნდა დარჩეთ? ესეც არ იყოს, იქაურ ჰაერზე გაკაჟებულსა და მადამოძალებულ სტუმრებს, მარტო ვერასგან მოწონებული კუბდარით ხომ ვერ დაუცხრობენ ჭამის სურვილს? განა, რა დიდი დასადგენია, რომ მარტო სვანეთში და მეზობელ რაიონებში მოწეული ჭირნახულით, ყველანაირად შეუძლებელია უზარმაზარი პრობლემის მოგვარება. არადა, ტურიზმით დაავადებული სააკაშვილი, საქართველოს ყველა კუთხეში ხომ თითქმის ყოველდღე უყრის საძირკველს, მისგან შვიდ-რვა მილიონ ტურისტზე გათვლილ მთის, ბარისა და საზღვაო კურორტებს? გემრიელად და ყუათიანად გამოკვება ხომ ყველასათვის აუცილებელია? ჰოდა, აბა, ზღაპარია მაშ რა არის, ჯერ ჩვენ დაკმაყოფილებულებმა, მერე ამდენი სტუმრის გამოკვება შეეძლოთ. გამოდის, ისევ უცხოეთში უნდა გავიქცეთ და ტურისტებისგან შემოსული ფულის უდიდესი ნაწილით, იქ ძვირად შეძენილი სანოვაგით, რამენაირად მოვახერხოთ ფონს გასვლა. მაშინ, ჩვენ რაღა? ალბათ, ის, ცნობილ ფილმში ნათქვამისა არ იყოს – **„ვირის თავ-ფეხი!“** და განა, კიდევ რამდენს შევძლებთ, რანაირად გავუძლებთ, ამნაირ არაფრის მომცემსა და უშედეგო ჯამბაზობას?..

ალბათ, ძალზე ცოტა ხანს, რადგან ყოვლად შეუძლებელია და გაუსაძლისი, მოგვიწევს სააკაშვილისა და მისი ბანდის მტაცებლებისაგან თავსმოხვეული უბედურების გადატანა.

ამიტომაც, გვინდა გულწრფელად შევუთვალოთ იმ უსიამო დღეს გამართული დანაშაულებრივი დახვედრის მონაწილე გონებაწართმეულ სვანებს: დროზე დაადწიონ თავი სადათას დამანგრეველ ძილს, სასწრაფოდ გადაიცილონ თვალებს მოდებული ლიბრი და მზის შუქზე დანახულით შეძრულებმა, ყველა მამულიშვილებთან გაერთიანებულებმა იხსნან და სააკაშვილისგან დაღუპვას გადაარჩინონ მანამდე ვერავისგან დამორჩილებული სვანეთი და ჯვარცმული საქართველო!

გვაინტერესებს, კიდევ დიდხანს აპირებენ სვანები, მიხეილ სააკაშვილისათვის თავის შეშვერასა და ფეხქვეშ გაგებას? ისიც საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს უნდა დაიცადონ შლეგსა და გაუმაძღარ, კორუმპირებულ უცხოტომელს, იქაურობის ძარცვა-აოხრება და გაუბედურებული მოსახლეობის გადაჯიშებაგაქრობა?

იმ სამარცხვინო დღეს, ტელეეკრანზე, ჭეშმარიტმა ქართველებმა, გულსატკენად გაყოფილი ორი სვანეთი ვიხილეთ: საქართველოს ამაოხრებელი მიხეილ სააკაშვილის – გზაზე გამოფენილი მოტყუებული, პრიმიტიულ თოჯინებად გადაქცეული, ყვითელი ავტობუსების შტატიანი ტაშისდამკვრელ-მოღრიალე, ყველაფერზე შესაბრალისად ყაბულის მთქმელი, კობა სუბელიანის სვანეთში მცხოვრები **“სვანები”** შეგვხვდნენ.

მართალია იქ არა ჩანდნენ, მაგრამ სამშობლოს მოჭირნახულე ქართველები თვალნათლივ ვხედავდით, ტრაგიკული ბედის სვანი ახალგაზრდის სანდრო გირგვლიანის სვანეთში მცხოვრებ, შინ გამოკეტილ, გულში ბოღმაჩაკვლულ სვანებს, მოთქმით რომ დასტიროდნენ **“ნაციონალი”** ყაჩაღების სათარეშოდ გადაქცეულსა და მტრისთვის ნაჩუქარ სანუკვარ ხეობამოგლეჯილ მშობლიურ კუთხეს.

გელა ჯიღაური,

მინაწერი: შეიძლება, წერილის წამკითხველი სვანები გაგვიწყრნენ და იქნებ გაბედონ და ჩვენ მაინც შემოგვიტიონ: რა, ჩვენმა ლიქნმა და ლაქუცმა აღგაშფოთათ და გაგაბრაზათო – ქართველთმოძულე სააკაშვილს ხომ ყველგან ფეხქვეშ ეგებიან, ჩვენსავით სამ-ხუთ ლარჩამორიგებული ღირსება და თავმოყვარეობადაკარგული ადამიანები და ბედნიერები ღრიალებენ მის სახელსო.

მართლებიც იქნებიან. სვანებისგან მოწყობილი თავისმომჭრელი შეხვედრის შემდეგ, ზუსტად ისეთნაირად დახვდნენ ჭიათურაში, ქუთაისში, თელავში და გორში ჩასულ საქართველოს დამნელებელ-დამაქცევარს.

სირცხვილია, ქართველებო!

თვალი გაახილეთ და გონს მოუხმეთ სამარცხვინოდ და შემაძრწუნებლად საკუთარი ნებით მონებად გამოცხადებულებო! სულ ცოტა ხანიც და უცხოტომელი მიხეილი საბოლოოდ გაგვაქრობს ქართველებს და ჩვენს ჯვარცმულ სამშობლოს, მასზე მისატაცებლად თვალდაჭერილ გარემომცველ მტაცებლებს გაუნაწილებს!

მარტვილის რაიონის მღვიმეები და ჩანჩქერები, როგორც საინტერესო ტურისტულ-საექსკურსიო მნიშვნელობის ობიექტები

კარგად იცნობ შენს მშობლიურ კუთხეს?

(გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონების ფაუსტ ნადარაიას და ზურაბ ბიგვავას წიგნიდან "მარტვილი")

საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან კარსტულ მასივებს შორის ასხის მასივს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ასხის მასივზე აღმოჩენილი და შესწავლილია ოთხმოცამდე სიღრუე.

მასივის ზედაპირი (ცენტრალურ ნაწილში) მოკლებულია ჰიდროგრაფიულ ქსელს. პერიფერიულ ნაწილებში კი სხვადასხვა ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე გამოედინებიან უხვდებეტიანი წყაროები. მღვიმეებიდან ფსკერზე გამოედინებიან მიწისქვეშა მდინარეები, რომლებიც ზედაპირზე დაკიდულ ნაკადთა მთელ სისტემას ქმნიან.

ტობასა და რაჩხის ჩანჩქერები საქართველოს კარსტული ზოლის უდიდეს და ულამაზეს ჩანჩქერებს წარმოადგენენ.

ტობას აუზში თორმეტი დიდი და პატარა მღვიმეა აღმოჩენილი, რომელთაგან უგრძესია ცნობილი ქართველი სპალეოლოგის ა. ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმე. მისი კეთილმოწყობა ტურისტულ-საექსკურსიო მიზნით მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემს.

ალექსანდრე ოქროჯანაშვილის მღვიმის მახლობლად მდებარეობს ტობას პირველი მღვიმე, რომლის სიგრძე 700 მეტრია. მღვიმიდან გამოედინება მძლავრი მიწისქვეშა მდინარე, რომელიც ზედაპირზე ულამაზეს ჩანჩქერს აჩენს. მღვიმეში შესასვლელიდან 80 მეტრზე მიწისქვეშა ჩანჩქერია, რომელიც ჯერჯერობით უდიდესია ჩვენს ქვეყანაში. ტობა-მღვიმის მიდამოებიც მშვენიერი ტურისტულ-საექსკურსიო ობიექტია.

ასხის მასივზე აღმოჩენილი და გამოკვლეული კარსტული მღვიმეები ბუნების საინტერესო ძეგლებია (იხილეთ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თამანშრომლების ვ. ჯიშკარიანისა და ს. ბარანოვის შრომები).

ოფუცხოლე – ასე ეწოდება მდინარე აბაშის ვიწრო კანიონს სოფელ ინჩხურში. ეს ადგილი ბუნების პირველყოფილი სილამაზით ხიბლავს ადამიანს. დადიანებს მეცხრამეტე საუკუნეში აქ გაუმართავთ წყლის წისქვილი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. პიტალო კლდეების ვიწროებში მომავალი აბაშის წყალი აქ ქმნის ჭორომებსა და მცირე ჩანჩქერებს. აქ მოწყობილი იყო სპეციალურად ჩასასვლელი ლიფტი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად განადგურებულია.

მოთენა – ბუნებრივი გამოქვაბულია სოფელ გაჭედილში მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროზე.

წაჩხურუს მღვიმე-ნამოსახლარი – ბუნებრივი მღვიმეა სოფელ სალხინოში, რომელიც წაჩხურის ხეობაში მდინარის მარცხენა სანაპიროზე პირველყოფილ ადამიანს საცხოვრისად გამოუყენებია, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. გვიანდელ შუა საუკუნეებში გამოქვაბულის შესასვლელი გალავნით გაუმაგრებიათ და თავშესაფრად უქცევიათ. დამთვალიერებლები ხშირად სტუმრობენ წაჩხურუს მღვიმეს.

ლებარდე

მარტვილიდან დაახლოებით 55 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ტეხურის მარცხენა შენაკადის, ლებარდეს ულამაზეს ხეობაში ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს კურორტი ლებარდე.

თავისი მაღალი მთის ჰაერით და მინერალური წყლებით ეს კურორტი ეფექტურად მოქმედებს: სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების დაავადებებზე, საჭმლის მომნელებელი ორგანოების – კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლისა და საშარდე სისტემის ქრონიკული ანთების, ნერვულ დაავადებათა დროს.

დასვენების სეზონია ივნისი-ოქტომბერი.

ლებარდეში უამრავი შენობა-ნაგებობა იდგა, რომელთა უმრავლესობა დღეს დანგრეულია, გაძარცვულია ან სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. ასევე სავალალო მდგომარეობაშია ლებარდემდე მისასვლელი გზა, რომელზედაც რამდენიმე ათეული წელია სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. უგზოობის პირობებში კი ინვესტიციების მოზიდვა და კურორტის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ საქმეს არა მხოლოდ მარტვილის, არამედ სამეგრელოს ყველა რაიონის ხელმძღვანელისაგან მეტი ყურადღება სჭირდება.

გზების შეკეთებისა და დასასვენებელი სახლების სათანადო კეთილმოწყობის შემდეგ ლებარდეს შეუძლია რამდენიმე ათას დამსვენებელს მოემსახუროს და საქართველოს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი კურორტი გახდეს.

ტობავარჩხილი

იგი კარული ტბაა. მდებარეობს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრის სიმაღლეზე. **ტობავარჩხილის** წყალშემკრები აუზის ფართობია 1,12 კვადრატულ კილომეტრს უდრის, ტბის უდრმესი ადგილი კი 35 მეტრზეა. **ტობავარჩხილის** ტბაში წყლის მოცულობაა 3,3 მილიონი კუბური მეტრია. ტბა უმთავრესად საზრდოობს ბუნებრივი ნალექების – თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ტობავარჩხილის ტბა გამდინარეა. წყლის დონე ბევრად დაბალია ზამთარში, ივლისში კი ტბა ყველაზე წყალუხვია. აქაური წყალი მტკნარია, მაგრამ, გარკვეული ბუნებრივი მოვლენების გამო, მასში თევზი არ მოიპოვება.



საშუალო ხელფასის მიხედვით მხოლოდ სომხეთს ვუსწრებთ

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში საშუალო ხელფასი 597 ლარს შეადგენს, ერთი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი კი სულ რაღაც 155,6 ლარს. მეზობელ სომხეთში საშუალო ხელფასი 330 დოლარს (დაახლოებით 544 ლარი) შეადგენს, საარსებო მინიმუმი კი 232 ლარს უტოლდება. აზერბაიჯანში საშუალო ხელფასი 451 დოლარია (დაახლოებით 744 ლარი), საარსებო მინიმუმი კი დაახლოებით 330 ლარი. რაც შეეხება ჩრდილოელ მეზობელს, რუსეთში საშუალო ხელფასი 856 დოლარს, (დაახლოებით 1412 ლარი), უტოლდება, საარსებო მინიმუმი კი დაახლოებით 400 ლარია.

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, მეზობელ ქვეყნებში საარსებო მინიმუმიც და საშუალო ხელფასიც საქართველოსთან შედარებით მაღალია, თუ არ ჩავთვლით სომხეთს, სადაც საშუალო ხელფასი ჩვენთან შედარებით სულ რაღაც 50 ლარით ნაკლებია, საარსებო მინიმუმი კი დაახლოებით 2,3-ჯერ მაღალი.

საშუალო ხელფასი და საარსებო მინიმუმი საქართველოზე დიდია ყაზახეთში, უკრაინასა და ბელორუსშიც. ყაზახეთში საშუალო ხელფასი 606 დოლარს (დაახლოებით 1009 ლარი) შეადგენს, საარსებო მინიმუმი კი 176 ლარია, უკრაინაში საშუალო ხელფასი 345 დოლარია (დაახლოებით 569 ლარი), საარსებო მინიმუმი კი – 196 ლარი. რაც შეეხება ბულორუსს, იქ საარსებო მინიმუმი საქართველოსთან შედარებით მაღალია და 167 ლარს შეადგენს, საშუალო ხელფასი კი დაბალი – 218 დოლარი (დაახლოებით 360 ლარი).

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, – განსხვავებულია ყველა ზემოთჩამოთვლილ ქვეყნის დედაქალაქში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი. თუ რუსეთში საშუალო ხელფასი 856 დოლარს შეადგენს, მოსკოვში საშუალო ხელფასი 1 335 დოლარს უტოლდება. ყაზახეთში საშუალო ხელფასი 606 დოლარია, მის დედაქალაქ ასტანაში კი ეს მაჩვენებელი 891 დოლარს აღწევს. კიევში დასაქმებულების საშუალო ხელფასი 512 დოლარია, კიშინოვში მომუშავეები თვეში, საშუალოდ, 350 დოლარს იღებენ, მინსკში კი – 335 დოლარს.

ბაქოსა და ერევანში დასაქმებულების საშუალო ხელფასი იგივეა, რასაც მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულები იღებენ, ანუ ბაქოს მაჩვენებელი 455 დოლარია, ხოლო ერევანისა – 330 დოლარი. დიფერენცირებული მაჩვენებელი არ არსებობს საქართველოშიც, ანუ ჩვენთან საშუალო ხელფასი დედაქალაქშიც და ქვეყნის სხვა რეგიონებშიც 597 ლარს შეადგენს.

ერთი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი საქართველოსთან შედარებით მაღალია აფხაზეთშიც კი, სადაც ეს მაჩვენებელი 4427,9 რუბლით განისაზღვრა, რაც დაახლოებით 265,6 ლარს უტოლდება. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, აფხაზეთში საარსებო მინიმუმთან ძალიან ახლოს დგას და 5 ათას რუსულ რუბლს, დაახლოებით 300 ლარს შეადგენს.

ამ ციფრებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მსოფლიოში ყველაზე რეფორმატორული სახელმწიფოა, სოციალურ-ეკონომიკური კუთხით საქმე მთლად კარგად არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთში, რომელსაც არავინ აღიარებს და, შესაბამისად, უცხოური კაპიტალის შედინებაც არ ხდება (რუსული ფულის გარდა), ჩვენზე უკეთესი სიტუაციაა. მეტიც, იქ, მიუხედავად შედარებით დაბალი ფასებისა, საარსებო მინიმუმი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს კი თითქმის ყველა ქვეყანაში სპეციალურად მიღებული სტანდარტებით ითვლიან. ასეა ჩვენთანაც, რასაც ექსპერტები უკვე წლებია აკრიტიკებენ და ხელისუფლებას მასში კორექტირების შეტანას ურჩევენ.

„საქართველოში დღეს საარსებო მინიმუმი იმ დონეზეა, რაც 2005 წელს იყო, არადა მას შემდეგ ფასები საკმაოდ გაიზარდა. რეალურად დღეს საარსებო მინიმუმი არა 156 ლარი, არამედ 260-280 ლარის ფარგლებში უნდა იყოს. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, ჩვენთან 600 ლარიან ზღვარს ეს უკვე გადასცდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ის, თუ რამდენი ადამიანია ხელფასის მიმღები ქვეყანაში, ეს არის დასაქმებულთა დაახლოებით 15-17%, რაც ძალიან ცოტაა, რადგან დასაქმებულებში დაქირავებით დასაქმებულთა წილი ძალიან დაბალია“, – განაცხადა ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძემ.

მოკლედ, საქართველოში საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია **„საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანების შესაბამისად.

თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის ფასების საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სამმართველოს მიერ. ეს ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი. თითოეულ ქალაქში სასურსათო კალათის თითოეული პროდუქტისათვის ხდება საშუალო ფასის დადგენა. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება თითოეული პროდუქტისათვის საშუალო ფასის გაანგარიშება მთელი ქვეყნისათვის ზემოხსენებული 5 ქალაქის გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით (წონებად გამოიყენება აღნიშნული 5 ქალაქის მოსახლეობა). მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყნის დონეზე.

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულების გაანგარიშება. სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება კი მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულ იქნა ფასების სამმართველოს მიერ მოწოდებული სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული ანალოგიური მონაცემების შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის, მოცემულ თვეში. საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0,7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

რამდენად სწორად ითვლება საქართველოში ერთი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი მეორე საკითხია, თუმცა ცხადია, რომ 155,5 ლარით დღეს ცხოვრება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ელზა ნიკლაური

ფერმერებმა მექრთამე საგადასახადოს გველები მიუსივეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მაღალჩინოსანთა მექრთამეობით დაღლილი სოფლის მოსახლეობა საგადასახადო სამსახურის ოფისში შხამიანი რეპტილიებით სავსე ტომრებით მივიდა. ფერმერებმა ტომრებიდან 40 სხვადასხვა სახეობის გველი გაუშვეს, მათ შორის ოთხი მომაკვდინებელი კობრა.

რეპტილიები მთელ დაწესებულებას სწრაფად მოედვნენ და მომსახურე პერსონალსა და საგადასახადო სამსახურის კლიენტებს შორის პანიკა გამოიწვიეს.

"გველები ყველგან იყვნენ, ადამიანები დამალვას ცდილობდნენ, ზოგი – მაგიდებზე, ზოგი – სკამებზე, მაგრამ ქვეწარმავლები იქაც სწვდებოდნენ, ჩვენ არაფერი გაგვაჩნდა მათ დასახოცად", – იხსენებს შემთხვევის თვითმხილველი.

გველების თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა, ადგილზე პოლიცია მივიდა და სპეციალისტებმა ქვეწარმავლების დაჭერა შეძლეს. ფერმერები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის მოსახლეობამ ამ ფორმით რეგიონის საგადასახადო ორგანოში გაბატონებული მექრთამეობა გააპროტესტა.

ხელისუფლებაში გველები არ გვაკლია, მაგრამ წარმომიდგენია, რამდენი გველი დაგვჭირდება, საქართველოს მოსახლეობამ რომ ამ გზით მოინდომოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

საკ. ინფ.

ელისო კილაძე: მაესტროში დაპირისპირებული მხარეები კონფლიქტის ნამდვილ მიზეზს მალავენ

საზოგადოებრივი მოძრაობა **„ჩემი საქართველოს“** თავმჯდომარე ელისო კილაძე ტელეკომპანია **„მაესტროს“** ირგვლის განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალურ მიმართვას ავრცელებს, რომელსაც საქინფორმი უცვლელად გთავაზობთ:

„ინფორმაცია, რომელიც გუშინ მივიღე, მაძლევს საფუძველს, ვიფიქრო, რომ ორივე დაპირისპირებული მხარე კონფლიქტის ნამდვილ მიზეზს საგულდაგულოდ მალავს. მოგმართავთ თხოვნით, დამითმოთ საეთერო დრო ნებისმიერ ფორმატში, რათა თქვენივე ეთერის მეშვეობით მივაწოდო ეს ინფორმაცია მაყურებელს და იქვე მოვისმინო თქვენი პასუხი შემდეგ კითხვებზე: რა ტიპის ცვლილებების დარეგისტრირებას ცდილობდა „მაესტროს“ დამფუძნებელი საჯარო რეესტრში? ვინ და რა შინაარსის მესიჯი გაუგზავნა ტელევიზიაში შეჭრის წინა დამეს ეროსი კიწმარიშვილს? რეალურად ვინ დგას გია გაჩეჩილაძის წილის უკან და რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილის სახელდახელო სტუმრობას ეკა ბერიძის საავტორო გადაცემაში „მაესტროს“ წილის შესაძლო გაყიდვასთან? იმედს ვიტოვებ, ჩემს თხოვნას გულისყურით მოეკიდებით და საეთერო დროს დამითმობთ“, – ნათქვამია კილაძის მიმართვაში.

საქინფორმი.

ვას ისტ დას?

თეგიზ კუბლაშვილი

ბერბიჭა პროფესორი ბენეციუს ბენცაძე ბეყუნდის მკვიდრი არ იყო, მაგრამ რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი აქ გაატარა, ბეყუნდელები თავისიანად თვლიდნენ. არ წყინდებოდათ პროფტექნიკუმის ყოფილი მასწავლებლის უთავბოლო ლექციების მოსმენა უკლასო საზოგადოების სიკეთეზე, მომწიფებული სოციალიზმის კომუნიზმში გადასვლის გარდაუვალობაზე.

ქალაქის ღადავ-პარკში გართობისათვის თავშეყრილი ბეყუნდელები ხალისით უსმენდნენ ენაწყლიან ორატორს და მის მარად ოპონენტს ბეყეილა ბეყუნდარელს, რომელიც ცხოვრების უკუღმართობას წარღვნის შემდგომ ნოეს მიერ დაწყევლილი მოხეტიალე ბრაქიცეფალი მოდგმის იაფეტელთა მიწაზე დასახლებასა და ისტორიკოსთა სიბეცეს აბრალებდა. ყველას აინტერესებდა მისი ინფორმაცია საიქიოში არსებული საზოგადოებრივი ფორმაციების და იქ მიმდინარე რეფორმების შესახებ. ამიტომ შეარქვა პროფესორმა ბენეციუსმა ბეყეილას მისტიკოსი.

„პოლიტიკოსებმა და ისტორიკოსებმა ვერა და ვერ შეიგნეს ელემენტარული ჭეშმარიტება: მხოლოდ საქოსა და საიქიოს გაერთიანებულ ეროვნულ ძალებს შეუძლიათ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევა და არა ბენეციუსისნაირთა უტოპიასა და სალაყბოში მიღებულ ეფემერულ კანონებს. პროფესორ ბენეციუსს ვთხოვ გაეცნოს ჩემს ნაწერებს და ამის შემდეგ სისულეების ქადაგებას თავს დაანებებს".

ყოველთვის ამ სიტყვებით ამთავრებდა მისტიკოსი ბეყეილა ბენეციუსთან პაექრობას გაგანია პერესტროიკის ჟამს.

„სულ მალე მოვა ის ბედნიერი დრო, როცა ადამიანი თავის მზარდ მოთხოვნილებებს ფულის გარეშე დაიკმაყოფილებს. ფულსა და ოქროს ფასი აღარ ექნება. ოქროთი მხოლოდ საზოგადოებრივ ტუალეტებს მოაპირკეთებენ". ამ სიტყვებით მიმართა პროფესორმა ბენეციუს ბენცაძემ აგვისტოს ერთ ცხელ კვირა საღამოს ღადავ-პარკში თავშეყრილ ბეყუნდელებს და თუმცა ათეისტი იყო, საჩვენებელი თითი ზეცისკენ აიშვირა, ეს ამბავი იქ, ცათა შინაა გადაწყვეტილი და საკამათო არც არისო.

– რას ამბობ, კაცო! თენა ვამოხვადუ დღას! ფეხსალაგისთვის ოქროს ვინ გაიმეტებს? – წამოიძახა რამინ ლაგვილავამ, ქალაქის დასუფთავების კანტორის უფროსის მოადგილემ, – უფალი მალე მოგვივლენს კაცს, რომელიც აქ, ამ პარკში, სულ სხვა რამეზე გველაპარაკება, ადრე ვაშინერს რომ იყო!

– ეგ ვინ მოგახსენათ? მისტიკოსმა და მჩხიბავმა ბეყეილამ? – უთხრა პროფესორმა რამინ ლაგვილავას, – თქვენ წაგიკითხავთ ლენინის ციტატა საზოგადოებრივი ტუალეტების ოქროთი მოპირკეთების შესახებ? თუ წაგიკითხავთ, მაშინ სხვაგვარად იჭიკჭიკებთ!

ბენეციუსმა პიჭაკის ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო, გაშალა და დროშასავით ააფრიალა.

– ნუ წაიკითხავ, – სთხოვა პროფესორს სამსონ ქარონაშვილმა, – უმჯობესია თქვენი სიტყვებით აგვიხსნა რას წერს ილიჩი, თორემ ბევრი ჩვენთაგანი ვერაფერს გაიგებს.

პროფესორმა ფურცელი კვლავ ააფრიალა და თავისი საყვარელი სიტყვები წამოიძახა:

– ამხანაგებო! ვას ისტ დას? დას ისტ კომუნიზმუს!

– მა, ენგრე იქნება, ენგრე! – გაისმა შეძახილები.

– დაიხსომეთ დღევანდელი დღე და ჩემი სიტყვები. ტუალეტებს ოქროთი არასდროს მოაპირკეთებენ! – გაჯიუტდა რამინ ლაგვილავა.

– ბევრმა ურწმუნო თომამ თავი წააგო თავისი ახირებით! – თქვა ბენეციუსმა და ციტატიანი ფურცელით მრევლს მღვდელმთავარივით ჯვარი გადასახა.

მეკაფელე მიტომ პროფესორისგან შეუმჩნევლად რამინ ლაგვილავას ყურში რაღაც ჩაჩურჩულა და ორივეს ჩაცინათ.

– მე რომ ლენინის ციტატა მცოდნოდა ეჭვი არ შემეპარებოდა. – თქვა რამინმა, – იმედი მაქვს პროფესორი დიდსულოვნად მაპატიებს...

– მაპატიებს კი არა, გვა-პა-ტი-ებს! – ხმამაღლა მიმართა მიტომ ბეყუნდელებს, – სხვა მის ადგილზე არ გვაპატიებდა, რადგან პროფესორმა კარგად იცის ის, რომ მშრომელ კაცს ფულზე და ოქროზე მეტად სწავლა, სწავლა და სწავლა სჭირდება! განა ნასწავლი კაცი უსწავლელეზე მეტ ფულსა არა შოულობს?

– მართალი ხარ, მიტო, მართალი! – დაეთანხმა რკინიგზელი ვარლამ დეპოაშვილი, – მე მაგალითად, მთელი ცხოვრება ვაგონის პრავადნიკათა ვმუშაობდი, მოგეხსენებათ, თბილისი – მოსკოვის მატარებელზე... მაგრამ დღესაც ვსწავლობ, მგზავრების მომსახურებას და ვაგონის პატრონობას ცოდნა უნდა, ცხოვრება წინ მიდის, ჰოდა...

– ვერცხლი იუდას! ოქროს კაფელი მეკაფელეს! – არ დააცადა მიტომ პენსიონერ ვარლამს სიტყვის დასრულება და ღადავ-პარკის საზოგადოებას განუცხადა, – პირობას გაძლევთ საზოგადოებრივ ტუალეტებს უფასოდ მოვაპირკეთებ! მხოლოდ ოქროთი! ოქროს კაფელით და არა მოჭიქული კერამიკით!

მეკაფელე მიტოს განცხადება ბეყუნდელებმა მოიწონეს.

ბენეციუს ბენცაძემ, გამოცდილმა ორატორმა, იგრძნო, რომ ეხლა მისი მსმენებლები ევროპაში მოხეტიალე კომუნიზმის აჩრდილის ამბავს კი არა, უფრო დაუჯერებელსაც დაიჯერებდნენ.

– ამხანაგებო! – მიმართა პროფესორმა მსმენელებს, – საზოგადოების განვითარების ლოგიკური ფინალი მარტო ტუალეტების ოქროთი მოპირკეთება არ გეგონოთ. უნდა იცოდეთ, რომ აღარ იარსებებს ოჯახი, კერძო საკუთრების ბუდე! მამაკაცების გულ-სისხლძარღვთა დაავადების მიზეზთა მიზეზი! მუქთახორებს, ჩვენი საზოგადოების ხორცმეტებს, დეკრეტით ქალთა ექსპლოატაცია აეკრძალებათ და მოხდება მათი ცოლების ექსპროპრიაცია და ემანსიპაცია! ქალი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდება და იგი ხელმისაწვდომი იქნება თვით ამხანაგ კალენიკე თხელაშვილისთვის!

პროფესორმა ბენეციუსმა ბოლო სიტყვები საზეიმოდ წარმოსთქვა და სენატორთა წინაშე გამოსული ყოვლისშემძლე რომის იმპერატორივით ხელი ჭადარს მიყრდნობილ, უკბილო, **„მაღვანკანს"** კალე თხელაშვილისკენ გაიშვირა.

გახარებულმა ბეყუნდელებმა ტაში დასცხეს, კალენიკეს მიულოცეს. ზოგიერთმა ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

– ვას ისტ დას? დას ისტ კომუნიზმუს! – შესძახა ბენეციუსმა.

– დას ისტ კომუნიზმუს! – აყვირდნენ ბეყუნდელები.

ბენეციუსმა თანამოქალაქეებს შთაგონებით გადახედა და ლენინის ციტატიანი ფურცელი აჩვენა.

– იქნებ, წაგვეკითხა?

– არა, არ გვინდა, – უთხრა მეკაფელე მიტომ, – ტუალეტების ოქროთი მოპირკეთების საკითხი გარკვეულია. მაგ საქმეს მე და სანტექნიკი იგორ კუზმიჩი მივხედავთ. რაც მთავარია რამინ ლაგვილავა თანახმაა. ჩვენი საზოგადოებრივი ტუალეტი მისი სამსახურის დაქვემდებარებაშია და მისი თანხმობის გარეშე არ გამოვა.

– მე თანახმა ვარ. – განუცხადა ბეყუნდელებს რამინ ლაგვილავამ.

– შენ რას იტყვი იგორ კუზმიჩ?

– აბა, მე რა ვტკვა? მტავარია ხელი შეგვიცკონ... საჩიროა ჩაჩა და ცივი პივა... ისე ვერ ვიმუშავებტ... ალბად, ერტ კვირაში მოვრჩებიტ.

– იგორ კუზმიჩი მართალია, – თქვა მეკაფელე მიტომ, – სასმელი იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩემთვის გაუგებარია როგორ მოხდება ელექტროფიკაციის უბნელი მუქთახორა შალიკო ტკიპაძის ლამაზი ცოლის და მზეთუნახავი ქალიშვილის ექსპროპრიაცია? ვიცი, შალიკო ცოცხალი თავით არ დაემორჩილება ამგვარ დეკრეტს.

ეს საკითხი ყველასთვის აქტუალური და საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ ბუნდოვანი, გაურკვეველი. პროფესორ ბენეციუსს სთხოვეს უფრო გარკვევით აეხსნა ქალთა პრობლემა უკლასო საზოგადოებაში.

– აქ გასარკვევი არც არაფერია, – თქვა პროფესორმა, – გარკვევითაა ნათქვამი: აღსრულდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია! მიაქციეთ ყურადღება: ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. რომელი თქვენთაგანი იტყვის იმას, რომ ამხანაგი შალიკო ტკიპაძე ექსპროპრიატორია? იგი, მართალია, მუქთახორაა, მაგრამ ექსპლოატატორი და ექსპროპრიატორი ნამდვილად არ არის. ასე, რომ ელექტროფიკაციის უბანში მცხოვრებ მუქთახორა შალიკოს ქალები ექსპროპრიაციას არ ექვემდებარება! გასაგებია?

– მაშინ, კალესთვის ლამაზი ქალი ხელმისაწვდომი როგორღა იქნება? – არ მოისვენა ქალთა საკითხით დაინტერესებულმა მეკაფელე მიტომ.

– უგუნურო! – გაბრაზდა პროფესორი, – ლამაზი ქალები ბურჟუებსა ჰყავთ! რას დაადგი თვალი ამხანაგ შალიკოს? რად გადაუწურე იმედი ამხანაგ კალენიკეს? ყველამ კარგად იცოდეთ, კალეს არავის დავაჩაგვრიებ!

ღადავ-პარკში, ბებერი ჭადრების ჩეროში მერხებზე ჩამომსხდარი ბეყუნდელები ხმაურით წამოიშალნენ, კალენიკეს კიდევ ერთხელ მიულოცეს, ხელებს ბეჭებზე უტყაპუნებდნენ, იცინოდნენ...

აუდიტორიის კეთილგანწყობით გულაჩუყებულმა პროფესორმა ბენეციუსმა თვალზე მომდგარი სიხარულის ცრემლი მოიწმინდა და ღრმად ჩაისუნთქა. თვალწინ კაცობრიობის ნათელი მომავლის კონკრეტული ყოფითი სურათი დაუდგა...

აი, ღადავ-პარკის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადაღმა, ფოსტის შენობის გვერდით მდებარე ოქროთი მოვარაყებული საზოგადოებრივი ტუალეტი ჩამავალი მზის სხივებით ზღაპრულად ელვარებს... ტუალეტიდან სახენაპატივები, ჩასუქებული, **„მანჯგალანს"** მამაკაცი გამოდის... ტროტუარის მოაჯირთან სოლიდური, დარბაისელი ბულდოგი ელოდება... ორივე დინჯად, საკუთარი ღირსების გრძნობით აღვსილნი გაზეთების ჯიხურთან მივიდნენ. მამაკაცმა უფასო გაზეთი აიღო, ბულდოგმა კი კატების ილუსტრირებული ჟურნალი გადაფურცლა და ზიზღით მოისროლა...

ეს მამაკაცი ხომ ბეყუნდის შეუცვლელი, ყველასთვის ცნობილი ასენიზატორი კალენიკე თხელაშვილია? ამაყი ბულდოგი კი ბეყუნდის მაწანწალა ძუკნების ერთგული თაყვანისმცემელი დვარნიაშკა ჯეკაა?

– კალე! – მიმართა პროფესორმა თავის ერთგულ და მუდამ მუნჯივით მდუმარე მსმენელს, – გიხილე როგორ გამოხვედი ოქროთი მოპირკეთებული საზოგადოებრივი ტუალეტიდან ფრანგულ კოსტუმში გამოწყობილი... ცილინდრი გხურავს... ღიპზე გადმოფენილ ფარშავანგის ბოლოსავით აჭრელებულ განიერ გალსტუკს ნიავი გიფრიალებს... კუბურ სიგარას ჩერჩილივით აბოლებ და ბულდოგს კატებთან ცივი ომის დამთავრებაზე სიტყვა გადაუკარი... ბულდოგმა რაღაც ჩაიღრინა და მოახლოებული გაკრეჭილ-გაპუდრული პუდელის კუდის ბოლოსკენ გაცნობისა და პატივისცემის ნიშნად აცმაცუნებული ცხვირი წაიღო, მაგრამ უმალ გონს მოეგო და შენ შემოგხედა... პუდელი ექსპროპრიაციაქმნილ და ემანსიპირებულ ქალბატონს ძოწისფერი ძვირფასი საბელით მოყავს... ქალბატონი გეგებება! მშრომელი კაცის სიამის მიმნიჭებელი... შრომითი ენერგიის ულევი წყარო... როგორი სიყვარულით შემოგცქერის... როგორ გიღიმის... კომუნიზმის მშენებლობისთვის დაუღლელ მკლავზე თავის ნაზ მკლავს ჩამოდებს... მიაბიჯებთ ამაყად და გვერდიგვერდ პირველყოფილი თავისუფლებისთვის შობილნი ბულდოგი და პუდელი მოგყვებათ... საზოგადოებრივი ტუალეტი კი ოქროსფერ სითბოს ასხივებს... მალე, სულ მალე აგიხდება ჩემო კალე! სულ მალე! ემპირიულად აღვიქვამ კაცობრიობის დიადი მომავლის ნაბიჯებს! ვას ისტ დას? დას ისტ კომუნიზმუს! გიხაროდენ!

– დას ისტ კომუნიზმუს! დას ისტ კომუნიზმუს! – ხმამაღალი შეძახილებით ერთსულოვნად დაეთანხმნენ მსმენელები.

ბენეციუს ბენცაძე ბუნდოვნად ხედავს რაღაც ლამაზს, უკიდეგანოს... მის თვალწინ მთელი სიდიადით ლურჯად მოლივლივე ზღვა გადაიშალა... ვრცელი... უსასრულო... ფირუზისფერ ცას თეთრი ქულა ღრუბლები ამკობს... სანაპიროზე, ტროპიკული ჭალის ტევრში ინდაურისტოლა თუთიყუშები ანცობენ და მათ ჩხავილზე პალმის ფოთლები თრთიან, ხოლო ოქროსქვიშრობიანი პლიაჟი ქოქოსის კაკლებითაა მოფენილი... ხედავს, ზღვის ქაფიდან ქალი ამოდის... ხვავრიელი თეძოების რხევით მისკენ მიგოგმანებს... იცნო! ეს ხომ მოციგურავე საბრინაა? სარცხვენელზე აფარებული სამკუთხა შავი ნაჭერი გარუჯულ საზარდულზე მოხდენილად დაბლა დაქაჩა და მაცდურად გაუღიმა... არა! არა! შეცდა! ეს ქალი საბრინა კი არა, ბეყუნდის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მოწინავე მქსოველი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, აისბერგივით ცივი და უკარება ამხანაგი ციალა ციობაძეა... საოცარია, საბრინას ნეტავ ასე რამ დაამსგავსა?.. ეს რა ხდება? ამხანაგი ციალა ბენეციუსის გვერდით სილაზე წამოწვა, ფეხები გრაციოზულად ერთმანეთს გააჭდო... მისი სხეულიდან მწველი სიმხურვალე იღვრება... უღიმის... საკოცნელად ტუჩები მიუშვირა... ზუსტად ისე, ფრანგულ ფილმებში რომ უნახავს... პროფესორი ბენეციუსი მის ტუჩებს თავის ტუჩებს აგებებს და ვნებიანად ჩურჩულებს: ციალა... ციალა... ციალა... ვას ისტ დას? დას ისტ კომუნიზმუს?

კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, ტკაჩიხა ციალა ციობაძე კომუნიზმს არც უდასტურებს და არც უარყოფს. ჩვეულებრივი მქსოველი ქალივით კოცნის.

პროფესორმა ბენეციუსმა პირველად თავის სიცოცხლეში მთელი არსებით შეიგრძნო კომუნიზმის ეროტიული სიდიადე. ხერხემალში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა და გააზმორა.

ჩაფიქრებული ბეყუნდელები კი „პრიმას" აბოლებდნენ. თვითეული მათგანი ფიქრობდა, ან... არ ფიქრობდა. მათი ხანმოკლე გარინდება ღადავ-პარკში შემოხეტებულმა, შავ კოსტუმში გამოწყობილმა, ყელში ჰალსტუხწაჭერილმა მისტიკოსმა ბეყეილა ბეყუნდარელმა დაარღვია.

– ჰეი, თქვე ტეტიებო! – დასჭექა მისტიკოსმა, – რას გატყუებთ პროფესორი ბენეციუსი?

ტკბილი ზმანებიდან გამოფხიზლებულმა ბენეციუსმა მის წინ მდგომი ცინიკურად მომღიმარი (როგორც მას მოეჩვენა) ბეყეილა დაინახა.

ბეყუნდელებს გაეხარდათ მეორე შერეკილის მოსვლა. საპაექროდ მოემზადნენ. შენიშვნებითა და შეკითხვებით ჯერ მათი განქიქება და შემდგომ შემწყნარებლური ღიმილით დათანხმება საკუთარი გონებრივი უპირატესობის საზომად მიაჩნდათ. ქილიკით ნასიამოვნებნი ღადავ-პარკს ტოვებდნენ და ლუდის დასალევად რესტორან **„ლეწეს"** უკან მიშენებულ სახინკლესკენ ხორხოცით გასწევდნენ-ხოლმე.

მათ ცუდმედიდობას რთული, ფარული მიზეზი კვებავდა. შერეკილებთან ურთიერთობისას ენას კბილს არ აჭერდნენ. ჰომო სოვესტიკუსისთვის დამახასიათებელი შიში ყველას და ყველაფრის მიმართ დროებით სუსტდებოდა. ღადავ-პარკში ღადავი, ქილიკი შვებას ჰგვრიდათ, ერთგვარ ფსიქოთერაპიად ექცათ. ალბათ, ამის მიზეზი ხელთუქმნელი დროის მიერ მოტანილი პერესტროიკაც იყო.

– გვითხარი, – მიმართა ბეყეილას პენსიონერმა ვარლამ დეპოაშვილმა, – ბენომ თქვა, რო ფულსა და ოქროს ფასი აღარ ექნებაო. საიქიოშიც ასე ფიქრობენ?

– ჯერ ერთი, პროფესორი ბენეციუს ბენცაძე და არა ბენო! მეორეც, ამას ამბობს და წერს კაცობრიობის მასწავლებელი და რა მე, ბეყუნდელი იდიოტების მასწავლებელი! – შეუსწორა ბენეციუსმა რკინიგზელ პენსიონერს, – თქვენ, ამ ხნის კაცს, ეს არ უნდა გეშლებოდეთ!

რკინიგზელმა წიპურტით კიტელის სახელოს თვალი-თუხილავი მტვერი მოაშორა, მკერდზე მიბნეული მედალ-ნაჩოკები გაისწორა და პროფესორს ისეთი ტონით მიმართა, როგორც დამსახურებულ, მთავრობის ჯილდოებით მკერდამშვენებულ პენსიონერს შეჰფერის, პერესტროიკით გულმოცემულს.

– პროფესორო! უფლება მაქვს თუ არა ვიცოდე სად და როდის მეღირსება ოქროთი მოპირკეთებული ფეხსალაგი?

– სააქაოს შესახებ მე უკვე მოგახსნეთ, რაც შეეხება საიქიოს, ამის შესახებ მისტიკოსი ბეყეილა გვეტყვის.

– ვერაფერს გეტყვი. ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ არა მაქვს. – თქვა ბეყეილამ.

– ბერიკაცი ვარ... ორი პარასკევი დამრჩენია... მაინტერესებს საიქიოში პენსიონერთა მდგომარეობა. – თქვა ვარლამ დეპოაშვილმა.

– ბებრებზე ადრე ახალგაზრდები იხოცებიან... – აწუწუნდა გოკა გოკაძე, პროფესორი ბენეციუსის ასისტენტი, ახალგაზრდა კომკავშირელი, – მეცა მაქვს უფლება ვიცოდე საიქიოში რა დონეზე დგას კომკავშირული მუშაობა... მიმდინარეობს თუ არა ყამირის ათვისება და ბრძოლა პურის უხვი მოსავლისათვის?.. დამნიშნავენ თუ არა საიქიოს კომკავშირის ცეკას ინსტრუქტორად? არის თუ არა დაწინაურების შანსი?

– შვილოსა, – წყნარად უთხრა რკინიგზელმა პენსიონერმა ახალგაზრდა კარიერისტს, მაგრამ უცებ რატომღაც გაბრაზდა და გაუწყრა, – შე ცინგლიანო, ჯერ უფროსებმა იალაპარაკონ, მერე შენ!

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

“გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ხსოვრება და მოღვაწეობა. ჟურნალისტი ხორხილოდეები საქართველოს საპატრიარქოს ჟყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.

კათედრაზე მდგდელი კარბელაშვილი ავიდა.

— საყურადღებოდ მიმაჩნია მამა ამბროსის აზრი წმ. გიორგის ქართველობის შესახებ. ეს აზრი გვხვდება როგორც მწერლობაში, ისე ჩვენი მთიულების რწმენა-თქმულებებში. მაგალითად, სვანეთში დღემდე ცნობილია „ვიბლიანების“ საგვარეულო, რომელსაც ყველა სვანი დიდის მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობა. ამ საგვარეულოში დაცულია გადმოცემა რომელიც მოგვითხრობს, ვითომ ვირბლიანები ჭანეთიდან (კაპადოკიის მეზობლად) ყოფილიყვნენ მოსულნი და დასახლებულან პირველად ილორში და შემდეგ ილორიდან სვანეთში. წმინდა გიორგის ის ხატი, რომელიც დღეს ილორში ასვენია, ამ საგვარეულოს თან მოუტანია თავისი ძველი სამშობლოდან. ვირბლიანებს სჯერათ, რომ წმინდა გიორგი მათი წინაპრის ნათესავი იყო.

შემდეგ პეტრე მირიანაშვილი წამოდგა და ბრძანა — ყურადღებით ვუსმენდი არქიმანდრიტს, მის მიერ წაკითხული ვარიანტის ზოგიერთი ადგილი კი არა, მთლიანად საინტერესოა. ვაკვირდებოდი მათს ენას და უნდა შევნიშნო, რომ ამ ენის ზოგიერთი თვისება ცხადად ამტკიცებს მის სიძველეს — ეჭვდაუდებლად მიმაჩნია, როგორც ნინო, ისე წმინდა გიორგისა და ცამეტი სირიელ მამათა ქართველობა... ამის გარდა არქიმანდრიტი ამბროსი შეეხო საქართველოში „ურიების“ ანუ ებრაელების გადმოსახლებას, რაც ქრონიკაში ყოფილა მოხსენიებული. ვეთანხმები იმ აზრს, რომ ებრაელების გადმოსახლება ჩვენში სხვადასხვა დროს უნდა მომხდარიყო. ჩემის ფიქრით ასეთ გადმოსახლებას ადგილი უნდა ჰქონოდა ურარტუს ეპოქაშიც, როცა ქართველობა ვან-არარატის მიდამოებში ცხოვრობდა”.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ სხვები, რომელთა ნათქვამი შეაჯამა ექვთიმე თაყაიშვილმა.

“— სრულიად ვეთანხმები არქიმანდრიტს, რომ ჭელიშის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის. ამ ვარიანტით კიდევ ერთხელ მტკიცდება, ის მოსაზრება, რომელიც ჩვენს ქრონიკის შატბერდისეული ვარიანტის გამოცემის დროს გამოვთქვით, მისი პირველი ნახევრის დაწერის შესახებ. ჩვენის აზრით ქრონიკის პირველი ნაწილი (სახელდობრ სტეფანოზ II-ის გარდაცვალებამდე +663 წ.) ცალკე შედგენილია VI საუკუნეში) იხილეთ ჩემი ისტორიული ქრონიკა. ხოლო ამის მომდევნო... ერისთავთა და კათალიკოსთა სია შემდგომ დროში უნდა იყოს შედგენილი და მინაწერი... შესაძლოა ვამბობდით ამ 17 წლის წინათ, რომ ეს სია მარტო ჩვენს ვარიანტში იყოს და სხვებში არ აღმოჩნდესო. მართლაც ჭელიშის ვარიანტში, როგორც მამა ამბროსმა ბრძანა მოხსენიებული არ ყოფილა 18 კათალიკოსი, რომელიც შატბერდის ვარიანტში არის ჩამოთვლილნი, ამრიგად დამტკიცდა ის აზრი, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის პირველი ნაწილი (სტეფანე II-მდე ცალკე ყოფილა შედგენილი და VII საუკუნის მეორე ნახევრამდე მიყვანილი“.

საღამოს თერთმეტ საათზე დამთავრდა საზოგადოების კრება.

სამეცნიერო სხდომამ საქმიანად ჩაიარა.

კმაყოფილი იყო თავად მამა ამბროსი.

გაზეთებში გაჩნდა ცნობები **„ქართლის მოქცევის“** ჭელიშური ვარიანტის შესახებ, რითაც მეცნიერები დაინტერესდნენ.

მამა ამბროსის სურვილიც ეგ იყო.

ამ პერიოდში უკვე ახალ ფაზაში შედის საქართველოში პარტიათა დაპირისპირება. მუშათა გამოსვლები და გაფიცვები. მას მოჰყვა დაპატიმრებები და რეპრესიების ახალი ტალღა.

1908 წელს იწერება და ცოტა მოგვიანებით გაზეთ **„ხომლში“** იბეჭდება აკ. ჩხენკელის ვრცელი წერილი საერთო სათაურით **„ქართველი ერი“** ავტორი ეხება, ეროვნულ საკითხს და ავითარებს მოსაზრებას, **“ნაციონალისტების თვალსაზრისი ბურჟუაზიულია, ჩვენი კი სოციალისტური“.**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, ერთგვარი დაბნეულობა შეინიშნებოდა. აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და მათი თანამებრძოლები ასაკოვანები იყვნენ. ცხოვრების ქარიშხალი კი კვლავ დაუნდობლად ქრის. ასპარეზზე გამოდის ნოე ჟორდანია და ი. ჯუღაშვილი. ისინი ქვეყნის ხსნას განსხვავებულ ფორმაში ხედავენ.

ურყევად მხოლოდ სამღვდელოების წარმომადგენლები არიან. მათი მრწამსი, სულიერი და იდეური მისწრაფება, ერის თავისუფლებისა და ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის სწრაფვა, კვლავაც რჩება მთავარ ამოცანად.

რუსეთში ბუყბუყებს ბოლშევიკური ტალღა. იმპერიული მთავრობა გრძნობს პირველი მსოფლიო ომისა და სოციალისტური რევოლუციის მოახლოებას.

1904-1905 წლებში იაპონიასთან ომის წაგების შემდეგ, ცარიზმი იწყებს ზრუნვას საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად. 1907 წელს იგი უერთდება **„ანტანტას“** და ცდილობს წესრიგის დამყარებას ქვეყანაში.

კულმინაცია იყო 28 ვარდობისთვეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა თბილისში.

აი, რას იხსენებს დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი (1932-1952 წწ.). **„28 მაისს, დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე ჩემი ბინის აივანზე ვიჯექი და ეკლესიის მშენებლობის კომიტეტის საღამოს სხდომის ჟურნალს ვწერდი. უცებ ვხედავ ჭიშკარში შემორბის მოხუცი ლ. ჯ. ბილფელდი (ტაძრის მშენებელი) და რაღაცას მეუბნება, მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვას ვარჩევ — „ეგზარქოსს“ მერე მივხვდი და ვეკითხები, რა მოხდა, როდის მეთქი?**

— ახლა, რევოლუციონერებმა ესროლეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის კიბეზედ!

ამ ამბავს თანამწირველი მამა დ. ლაზარიშვილს ვაგებინებ და ორივენი შევრბივართ ეგზარქოსის სახლში. დაჭრილი შინ ათ-თხუთმეტ წუთში მოუყვანიათ და ეს-ესაა გარდაიცვალა სასადილო ოთახში (საწოლი ოთახის გასაღები თურმე ჯიბეში ჰქონდა თვითონ). აქვე არიან ექიმებიც. გამოჩნდნენ პოლიციაც, სასამართლო ხელისუფალნიც.”

ახალი მსჯავრი

დაიწყო გამოძიება. დაიკითხნენ დეკანოზები თოთიბაძე, თალაკვაძე, მღვდელი ჩიჯავაძე, გამოძიება იმ პირებს ეძებდა, რომლებიც ეგზარქოს მაინცდა-მაინც არ წყალობდა. კანცელარიის მმართველის თანაშემწე მამა დავითაშვილი ორი კვირა ამყოფეს მეტეხის ციხეში.

მკვლელი ცხელ კვალზე ვერ იპოვეს.

გამოძიებამ მღვდელმთავარ კირიონს ფარული გარიგება დასწამა, მაგრამ მასალებით ეს ვერ დაუდასტურეს, მაშინ ბრალდება შეუცვალეს, კირიონს უნდა სცოდნოდა ვინ იყო მკვლელი, თუმცა ესეც წყლის ნაყვას გავდა, რადგან ყურით მოთრეული ბრალდებები არანაირად არ დასტურდებოდა. მიუხედავად ამისა, ეჭვმიტანილი მღვდელმსახური საერთოდ დაითხოვეს და უეპარქიოდ დასტოვეს. ჩამოართვეს სასულიერო წოდება და ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფეს.

1909 წლის იანვარში ავადმყოფი კირიონი პოლიციის ზედამხედველობით სინაქსარის უდაბნოში განამწესეს, მეთვალყურედ ვინმე ავგუსტინი მიუჩინეს.

რადგან უშუალოდ მკვლელი ვერ იპოვეს, ნიკონის **„იდეურ მოწინააღმდეგეთა“** სიის სათავეში მყოფი, სინოდის კანტორის წევრს, არქიმანდრიტ ამბროსის დაადგეს თვალი. 1908 წლის ბოლოს რუსეთში გადაასახლეს და ღვთისმსახურება აუკრძალეს. რიაზანის სამების მონასტერში გაგზავნეს გამოსასწორებლად.

წმიდა სინოდის 1908 წლის 29 დეკემბერს 10914 ბრძანებულებით ყოვლადსამღვდელო ნიკოდიმს დაავალეს განსაკუთრებულად ედევნებინა მისთვის თვალი.

მსჯავრი დაედო მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზ ნამორაძეს. იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე იყო. მან საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრო. განერიდა მოსალოდნელ სასჯელს.

არქიმანდრიტმა ამბროსიმ სამშობლოსა და სარწმუნოების ერთგულებისთვის სასჯელის ძძიმე ხვედრი მეორედ იტვირთა.

„ქართველთა რევოლუციურ-სასულიერო განმანათლებლობა რუსეთში ორი გზით შედიოდა შავი ზღვისპირეთის მიწების გავლით და ორი ცნობილი მონასტრის მეშვეობით — ივერიის ათონზე და პეტრიწონისა (ბოჩკოვი) სტემინახის მახლობლად ბულგარეთში, სადაც ჰყვაოდა სხვადასხვა საღვთისმეტყველო სასწავლო დაწესებულებები. საუკეთესო სამწიგნობრო ცენტრები, განათლების გამავრცელებლები.“

არქიმანდრიტი ამბროსი გრძნობდა, რომ კირიონისა და მის აქტიურობაზე იყო დამოკიდებული ქართველი ეკლესიის ბრძოლის ჟინის შენარჩუნება. ამიტომ, ორივე დიდი წყურვილითაა შეპყრობილი. საქართველოს უკუდმართი ბედის ჩარხის წაღმა დატრიალებითა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მიღწევით.

ამბროსი სწუხდა იმაზეც, რომ ცხოვრების გზები სულ მუდამ ფიზიკურად აშორებდა შვილებთან. თუმცა ნდობაზე დამყარებული გულწრფელობისა და მამა-შვილური სიყვარულის იმედი ჰქონდა მუდამ.

პასუხისმგებლობისა ყველა ადამიანს ეშინია. ამბროსი არ ეკუთვნობა იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც თავს არიდებენ მოვალეობებს. პირიქით, მთელი არსებით ცდილობდა მზრუნველი და ყურადღებიანი ყოფილიყო.

ეს იყო ღვთისნიერი მოვალება.

ერთ შაბათ საღამოს დაჯდა, სამი სანთელი აანთო და შვილებთან გასაგზავნი ბარათი შეადგინა.

მოკლე წერილი ასე დაასრულა.

„უთქვენოდ ძალიან მიჭირს. ახლა უკვე საქართველოში ჩამოსვლის უფლებაც ამხადეს. იქიდან თქვენ მოახერხოთ და მინახულოთ. ვისურვებდი ანის ჩემთან დარჩეს. მამა“

ცხადია, ყველაფრისაგან მოკვეთა: სამშობლოდან გაძევება ღვთისმსახურების აკრძალვა და შვილებიდან განშორება, მძიმე ტვირთად დააწვა მის მგრძნობიარე სულს

საქართველოში ვითარება კიდევ უფრო რთულდება. სოციალურ-დემოკრატების ბოლშევიკურმა ფრთამ გააძლიერა ცილისწამება და შეურაცხოფა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებზე.

„კოსმოპოლიტიზმი თუ პატრიოტიზმი“, „კლასობრივი და სოციალური საკითხები“ აი ყველაზე აქტიური თემები, რომლებიც უმთავრესი გახდა. **„პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერთდით“** გაჰყვიროდა დიდი და პატარა. რთულ ფაზაში შევიდა ურთიერთდაპირისპირება. თითქოს ახალგაზრდა თაობას დაავიწყდა ქვეყნის სავალალო მდგომარეობა. გახშირდა ვერაგობა, ღალატი მკვლელობები, შურისძიების ფორმებმა სისასტიკე შეიძინა.

ასეთ დროს საჭირო იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების ბრძოლებისთვის მზაობა.

ამბროსი ვერ დარჩებოდა გულგრილი საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი, იგი არ იყო ცალმხრივი ეკლესიური მოღვაწე მონასტრული ტიპისა, მხოლოდ ბერი, მორწმუნე და სასოებიანი. იგი ამავე დროს საკუთარ სამყაროში ატარებდა მშობლიური ერის ბედის პოლიტიკურ ინტერესებს და მთელი მისი ცხოვრება ორი მცნების ნაზავს შეადგენდა. რაც მის არსებასთან მყარად იყო სისხლშეხორცებული.

მიუხედავად იმისა, რომ მოჰკვეთეს საქართველოს, მას კავშირი არ გაუწყტია სამშობლოსთან. იგი თანაუგრძნობდა ყველას ვინც ერის სასიკეთოდ იღვწოდა. გულანთებული ადამიანები კი საკმაოდ იყვნენ. მღვდელი ანტონ კეკელია უშიშრად ამხელდა რუსების მცდელობას — მეგრულ-სვანურ ენაზე ლოცვების თარგმანის ზრახვებს. მას მხარს უჭერდა იონა ნაჭყებია, კალისტრატე ცინცაძე. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული სხვა მღვდელმსახურები.

ევროპის ქვეყანაში დაიწყო ხელმოწერები კირიონის, ამბროსისა და სხვა დასჯილთა განთავისუფლების მოთხოვნით.

წმინდა სინოდი იძულებული შეიქმნა 1910 წლის დასაწყისში ღვთისმსახურების ნებართვა დაერთო არქიმადრიტი ამბროსისათვის და მიეცა მისთვის წინამძღვრის ადგილი ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას მონასტერში.

1910 წელს პეტროგრადში ერთმანეთს ხვდებიან კირიონი და ამბროსი. რამდენიმე დღე ერთად ცხოვრობენ სასტუმროში.

* * *

ნოვგოროდი.

უძველესი და მშვენიერი რუსული ქალაქი. იგი მუდამ ინარჩუნებდა მოწინავე როლს. აქ მცხოვრებები ამაყობდნენ, რომ ნოვგოროდის ირგვლივ მოხდა რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

თვითმყოფადობა, სლავური ყოფისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები და სარწმუნოებრივი სიმტკიცე — აი, უპირველესად, რაც ალამაზებდა ამ ქალაქს.

ნოვგოროდის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა კოხტა დასახლება, სტარაია რუსის მონასტერი. თვით სახელწოდება მიუთითებდა მის სიძველესა და კოლორიტობაზე.

სხვაგან ვერსად შეხვდებით ამგვარ თავმომწონე და თვითდაჯერებულ ადამიანებს. ისინი გრძნობენ, რომ მართმადიდებლური სარწმუნოების თესლი სხვა ადგილებთან შედარებით ადრე გაღვივდა.

სტარაი რუსის მოზღვავებული მოზრდილი ტაძარი გამოირჩეოდა ხალხმრავალი მრევლით. აკადემია დამთავრებული, 49 წლის გამოცდილი მამა ამბროსი, მონასტრის ბერ-მონაზვნებმა კეთილად მიიღეს.

ქართული აქცენტით დინჯად მოსაუბრე ნიჭიერი მღვდელმსახური მალე შეეგუა ადგილობრივ გარემოს.

გარკვეული ხანი უმოქმედოდ ყოფნის შემდეგ, თითქოს შეუხსნეს ბორკილებიო, მისცეს წირვის, ნათლობის, ჯვრისწერის, სხვა საეკლესიო რიტუალების ჩატარების უფლება.

ღვთისმსახურება და მრევლზე ზრუნვაში მთლიანად იხარჯებოდა მამა ამბროსი, თუმცა გულისყური საქართველოსკენ ჰქონდა.

აღმოჩნდა, რომ ნოვგოროდში და სტარაია რუსში ცხოვრობდნენ ქართველები და ნახევრად ქართველებიც. ამბროსი ხელაია თანდათან ეცნობოდა თანამემამულეებს, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ.

არქიმადრიტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ მისი ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად პეტროგრადში ჩავიდა. ანიმ მამასთან ისურვა ცოტა ხნით ცხოვრება.

მიხვდა ამბროსი, რომ საკუთარი დამკვიდრების ტალღა აბობოქრდა მის შვილებში. საკუთარი გზების პოვნის სურვილმა იმძლავრა მათში.

ბორის დავითაია,
სენაკი
(გაგრძელება იქნება)

ვას ისტ დას?

(გაგრძელება მე-8 გვ-დან)

გოკა გოკაძე ბენეციუსის ზურგს ამოეფარა, მაგრამ სისხლის სუნნაკრავ გიენასავით თვალებს აკვესებდა და კბილებს აკაწკაწებდა. მზად იყო ედიკასეული გამბიტით ყველა და ყველაფერი გაეწირა, პირველს აედო საიქიოს საზვერეები და სანუკვარი კომკავშირის ცეკას პირველი მდივნის სავარძელი მოენადირებია.

– უკლასო საზოგადოების ლოდინში შეიძლება სული ამოგვხდეს და საიქიოში გავემგზავროთ... ბოლოს და ბოლოს მისტიკოსმა გარკვევით გვითხრას ფლობს თუ არა რაიმე სარწმუნო ინფორმაციას საიქიოში დასაქმებისა და ანაზღაურების შესახებ. – თქვა ქალაქის სასაფლაოს მესაფლავეთა ბრიგადის ბრიგადირმა სამსონ ქარონაშვილმა, – მე ვფიქრობ, იქ ცხოვრების უკეთესი პირობებია. აქ დაბრუნებული არავინ მინახავს... ჩვენი სასაფლაოს კარი კი ყველასთვის ღიაა...

– თქვენ უკვე იცით, რომ ჩემი ძმა დააწინაურეს და საიქიოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროში დიდ თანამდებობაზე მუშაობს. წუხელ, მისგან ტელეპათიით საგანგებო შეტყობინება მივიღე. იქაურ უფროსობას გადაუწყვეტია მიცვალებულთა სულების გადასაყვანად ბორანი შევიძინოთ.

– არავითარ შემთხვევაში! – წამოხტა მერხიდან სამსონ ქარონაშვილი, – ეგ მე მკითხეთ! ნავი, მით უმეტეს ბორანი ძალიან ძვირი ჯდება. ჯობია მამა-პაპური ოთხი ფიცრის კუბო. ბევრად იაფია და სანდო!

– სამსონი მართალია! საიქიოელების ჭკუაზე არ ვივლით! – თქვა მეკაფელე მიტომ, – თქვენ რას იტყვით, ძმებო?

– ბორანი არა, კრეისერი! ტრადიციული მგზავრობა უკეთესია! – თქვა რამინ ლაგვილავამ.

– შენ რა იცი? – ჰკითხა პენსიონერმა ვარლამმა.

– ყოველი სიახლე საფრთხეს შეიცავს. – აუხსნა რამინმა.

– ჰოი, მართალი ხარ.

– მისტიკოს ბეყეილას ვთხოვ ჩემს კითხვას უპასუხოს. – თქვა სამსონ ქარონაშვილმა.

– საიქიოში უმუშევრობა არ არის. – უპასუხა მისტიკოსმა.

– რა თქმა უნდა, საიქიოს სოციალისტური ქვეყნების ბანაკში უმუშევრობა არ იქნება. ეს ბუნებრივია. – თქვა პროფესორმა.

– უმუშევრობა საიქიოს კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს! – წამოიძახა ლოზუნგი გოკა გოკაძემ, პროფესორის ასისტენტმა,

– ეე, ჯიგარო! აცალე მისტიკოს ბეყეილას. ამ კაცმა ჩემზე და შენზე მეტი იცის! – უთხრა გოკას მესაფლავეთა ბრიგადირმა.

– ძმებო, ვალდებული ვარ სიმართლე გითხრათ, არაფერი დაგიმალოთ. თქვენ გაინტერესებთ იქ უმუშევრობა ხომ არ არის? უმუშევრობა არ არის! თქვენ გაინტერესებთ პენსიები თუ არის? დიახ, პენსიები არის! თქვენ გაინტერესებთ ხელფასი? დიახ, მაღალი ხელფასებია!

– დას ისტ კომუნიზმუს! დას ისტ კომუნიზმუს! – აყვირდნენ მეკაფელე მიტო და სანტექნიკი იგორ კუზმიჩი. მათ მოწოდებას სხვები ტაშის ცემით მიესალმნენ.

– რას აროხროხდი? რა გიხარია? – უთხრა ბეყეილამ მიტოს.

– მე რა! – ეწყინა მიტოს.

– რა და ვირის თავ-ფეხი! საიქოში კაფელს ვერ მოიპარავ, ვერ ჩამოწერ!

– ეგ როგორ? – გაუკვირდა მეკაფელეს.

– ხალხნო! – მიმართა მისტიკოსმა ყველას, – იცოდეთ, საიქიოში უშრომელი შემოსავალი არ არსებობს! ვერაფერს მოიპარავ! მიწერები არ არის! არ არის მკვდარი სულები! ლევი! პრავი! ქრთამი!.. გაიგეთ?

– ჩვენი ფაბრიკის გამოცდილებიდან ვიცი, რომ მაგისთანების გარეშე წარმოება შეჩერდება! რას ამობობ, ბეყეილ! მაშ, საიქიოში ჩაკვდა ცხოვრება? ეკონომიკური კოლაფსია? – თავისი აღშფოთება ვერ დამალა ბეყუნდის ტრიკოტაჟის ფაბრიკის **„ტალკაჩმა“** ომარ მოიხვეტაშვილმა.

– საიქიოში ასეა. – მშვიდათ უპასუხა მისტიკოსმა.

– თუკი ეს ასეა, ჩემდათავად იმისი დედა ვატირე, ვინც საიქიოში წასვლაზე იფიქროს! მირჩევნია უკლასო საზოგადოებას დაველოდო და ტუალეტები ოქროს კაფელით მოვაპირკეთო! – მტკიცედ განაცხადა მეკაფელე მიტომ.

– კ ჩორტუ საიკიო! – მხარი აუბა მეგობარს სანტექნიკმა იგორ კუზმიჩმა და პირჯვარი გადაიწერა, – როგორმე ბეკუნდაში პაჟივიომ!

– ცუდი, ძალიან ცუდი ამბავი გვამცნე... – დიაკვნესა მესაფლავეთა ბრიგადირმა, – ხალხს საიქიოში წასვლის სურვილი დაეკარგება... ჩვენი სასაფლაოს კარი კი ყველასთვის ღიაა..

– კარგ ამბავსაც გამცნობთ, ჩემო სამსონ, პროფესორ ბენეციუსს საიქიოს ლემურიის ზღვის აუზის უნივერსიტეტში მეცნიერული კომუნიზმის კათედრას სთავაზობენ. – თქვა ბეყეილამ და პროფესორს მოლოდინით მიაჩერდა.

პროფესორმა მკერდზე ხელი მიიდო და თავი დახარა, რაც მადლობას ნიშნავდა, მაგრამ სურდა თუ არა შეთავაზებული ადგილის დაკავება, ვერავინ მიხვდა.

– მართლა? ძალიან კარგი! – ყურები ცქვიტა ახალგაზრდა კარიერისტმა გოკამ და მსხვილი, მრგვალი თვალები გაუფართოვდა, – როგორც ჩანს საიქიოელებს წარმოდგენა არა აქვთ უკლასო საზოგადოებაზე, ოქროთი მოვარაყებულ ტუალეტებზე, ქალთა ექსპროპრიაციაზე... ვფიქრობ, საჭიროა პროფერსორ ბენეციუსისა და ჩემი საიქიოში სასწრაფოდ მივლინება! საიქიოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივნის პროცესზე მყოფი, გარწმუნებთ, საიქიოს სამოთხედ ვაქცევ, ჯოჯოხეთს, როგორც კლასობრივ მტერს გავანადგურებ!

– თქვენ თუ გნებავთ დღესვე გაემგზავრეთ, მაგრამ მე პროფესორის საიქიოში მივლინების, მით უმეტეს, ხანგრძლივი მივლინების წინააღმდეგი ვარ! ამხანაგი ბენეციუსი ჩვენ გვჭირდება! – უთხრა რკინიგზელმა ვარლამმა ახალგაზრდა კომკავშირელს და სხვებს მიმართა, – თქვენ რას იტყვით?

აღმოჩნდა, რომ დადავ-პარკში მყოფ ბეყუნდელთა ერთი ნაწილი პროფესორ ბენეციუსის და მისი ასისტენტის საიქიოში მივლინების მომხრე იყო, მეორე ნაწილი წინააღმდეგი. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ პროფესორის მივლინების საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდებოდა.

გოკა გოკაძე მიხვდა, რომ თუკი პროფესორი ბენეციუსი საიქიოში ლემურიის ზღვის აუზის უნივერსიტეტში მეცნიერული კომუნიზმის კათედრას სათავეში არ ჩაუდგებოდა, მაშინ მისი კარიერა ბეყუნდაში აქტივისტ კომკავშირელად დასრულდებოდა, არც მეტი, არც ნაკლები! ამიტომ, დაჟინებით მოითხოვა პროფესორის და მისი, როგორც ასისტენტის, საიქიოში მივლინებისთვის კენჭი ეყარათ, დღესვე!

კენჭისყრის წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა. ვერ შეთანხმდნენ კენჭისყრის ფორმაზე. ზოგი მომხრე იყო ღია კენჭისყრის, ზოგი ფარულ კენჭისყრას მოითხოვდა. ზოგი ალაპარაკდა ქვორუმზე, დღის წესრიგზე, რეგლამენტზე... გაისმა ხმები სამივლინებო ხარჯების ეკონომიაზე... დაზოგილი ფულით ზაფხულის ცხელ დღეებში ცივი ლუდის შესყიდვის უპირატესობაზე... ერთმა ფრთხილად ისიც კი თქვა, რომ ეს საკითხი შემოგდებულია, რათა ყურადღება წვრილმანებზე გადავიტანოთ და არსებითი გვერდზე გადავდოთო...

– თქვენ არ გაინტერესებთ მთავარი, არსებითი... რასაც ეხლა გეტყვით, შეიძლება პროფესორმა ბენეციუსმა არ დამიჯეროს, მაგრამ თქვენ მაინც ჩავარდით გულისხმაში... იმქვეყნიური კოლხური სამყაროს სულიერი ძალები იბერიისთვის ლოცულობენ! – თქვა მისტიკოსმა.

– რატომ მაინც და მაინც კოლხური სამყაროს სულიერი ძალები? – დაინტერესდა პროფესორი.

– იმიტომ, რომ ყველაფერი თავის საწყისს უბრუნდება. – თქვა ბეყეილამ, – ჩვენი საწყისი კი უძველესი კოლხური სამყაროა!

– მისტიკოსო, ვერაფერს გაგიგო! რას ამბობ? – თქვა სამსონ ქარონაშვილმა.

– მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი ღვივდება, ამოდის მწვანე ჯეჯილი, რომელიც მარცვალს არა ჰგავს, მაგრამ ბოლოს მაინც ხორბლის მარცვლად გადაიქცევა და არა აბზინდის მარცვლად!

– ეჰ, ტუალეტის ოქროთი მოპირკეთება უფრო გასაგებია!

ბეყუნდელება გული იჯერეს ლაპარაკით... აღნიშნეს კომპარტიის ბრძნული ეკონომიკური პოლიტიკის სიკეთე ორასმილიონიანი მოსახლეობისთვის, რომელიც მარტო ხელფასის შემყურე შიმშილით ამოწყდებოდა. მადლობა გადაუხადეს ბენეციუს ბენცაძეს და ბეყეილა ბეყუნდარელს ამქვეყნიური და იმქვეყნიური მოვლენების ობიექტურ გაშუქებაში. დასასრულს, პროფესორ ბენეციუსს შეახსენეს მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, რომ ამ დებულების ძალით კომუნიზმის მშენებლობაზე დამაშვრალი ადამიანი სამუშაო ადგილიდან ხელს თუ რამეს გამოაყოლებს, ეს ქურდობა არ არის. საერთო-სახალხო საკუთრებიდან წაღებული ისევ ხალხს უბრუნდება! და ფული რომ არა, მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი ხინკალს და ცივ ლუდს ვერ მიირთმევდა!

პროფესორი ბენეციუსი მიხვდა, რომ მისი მსმენელები, როგორც ყოველთვის, დღესაც ვირეშმაკობდნენ, ჩუმად დასცინოდნენ როგორც პირადად მას და მის ასისტენტს, ასევე მის იდეურ მოწინააღმდგე მისტიკოსს... გულნატკენმა წამოიძახა: ვაი თქვენ, მამონას მონებო!

ამ წამოძახილით განაწყენებულ და აყაყანებულ ბეყუნდელებს ბენეციუსმა თავი დააღწია და ქუჩაში გავიდა. უკან ასისტენტი აედევნა. წინ მაწანწალა ძუკნამ გადაურბინათ, რომელიც სანაგვეზე მოპოვებულ ძვალს ლეკვებთან მიაცუნცულებდა.

უკბილო, პირში პრიმაგაჩრილი ქალაქის მთავარი და შეუცვლელი ასენიზატორი კალენიკე თხელაშვილი ქლორისგან აყროლებულ საზოგადოებრივი ტუალეტისკენ მიჩანჩალებდა, ხოლო დანარჩენები ცივი ლუდის დასალევად რესტორან **„ლეწესკენ“** ხორხოცით გაემართნენ.

რამინ ლაგვილავამ მისტიკოსს მეგობრულად მხარზე ხელი გადადო არა იმიტომ, რომ ბეყეილა კარგად ერკვეოდა დიონისეს მისტერიებში და კარგადაც სვამდა, არამედ როგორც ყველას, მასაც უყვარდა იგი პრაგმატული, ლოგიკური აზროვნებისთვის დაფარული და მიუწვდომელი შეშლილის ნათელხილვური ბოდვებისათვის.

თენგიზ კუბლაშვილი

კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

პელასგ კოლხებს – მეგრელებსა და ჭანებს (ლაზებს), რომელთა რაოდენობა კუნძულ ევბეაზე, ქიოსსა და სქერიაზე შესაძლოა რამოდენიმე ასეულ ათასს აღემატებოდა, მსგავსად იმ დროინდელი წყობისა, კოლხებს ქვეყნის მართვის რაღაც ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ჰქონოდათ, ეს ცენტრი კი იმ დროს დამახასიათებელი ქალაქი-სახელმწიფო ანუ პოლისი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხურ ტომს – მეგრელებს და ჭანებს კუნძულ ევბეაზე უნდა ჰქონოდათ ქალაქი-სახელმწიფო და ჰყოლოდათ მისი გამგებელი მმართველი მეფე.

ამის დასადასტურებლად მოვიყვან შემდეგ ცნობებს: **“ალოევსი და აიეტი ჰელიოსის და ანტიოპეს შვილები იყვნენ, ჰელიოსმა მათ დაუნაწილა ქვეყანა და შეხვდა ალოევსს მხარე არკადიაში, აიეტს კორინთო (ევბეა). აიეტს არ მოეწონა სამფლობელო და ამიტომ ქალაქი გადასცა ვინმე ბუნეს ჰერმესის ძეს, თან უთხრა დაეცვა იგი მისი შთამომავლობისათვის, თვითონ კი სკვითიის კოლხეთში წავიდა და მეფედ დამკვიდრდა”.** ამას კი გვასწავლის ვინმე პოეტი ევმელოსი, რომელიც ამბობს: **“და როდესაც იშვენ აიეტი და ალოევსი ჰელიოსისა და ანტიოპესაგან, მაშინ ჰიპერიონის ბრწყინვალე ვაჟმა თავის შვილებს ორ ნაწილად გაუყო ქვეყანა: რასაც ასოპოსი შეიცავდა, იგი ღვთაებრივ ალოევსს უბოძა, ხოლო რაც ეფირეს ეკავა მთლიანად აიეტს მისცა, მაგრამ აიეტმა საკუთარი ნებით გადასცა იგი ბუნეს დასაცავად, ვიდრე არ მოვიდოდა და თვითონ ან ვინმე სხვა მისთაგანი ან ბადიში, თვითონ კი გაემართა კოლხეთის ქვეყანაში”.** (ა. ურუშაძე, **“ძველი კოლხეთი არგონავტთა თქმულებაში”**. გვ. 195).

როგორც ჩანს, კუნძულ ევბეაზე კოლხებს, მეგრელებს და ჭანებს ჰქონიათ ქალაქ-სახელმწიფო, რომლის გამგებელი მეფე ჰიპერიონი, ჰელიოსის მამა ყოფილა, შემდეგში იგი შეუცვლია ჰელიოსს, ჰიპერიონის ბრწყინვალე ვაჟს, ჰელიოსს თავისი სამეფო გაუნაწილებია შვილებისათვის ალოევსისათვის და აიეტისათვის, მაგრამ აიეტს არ უსურვებია დარჩენილიყო ევბეაზე, წასულა კოლხეთში და იქ გამეფებულა.

კუნძულ კრეტაზე კნოსოსის სამეფო სასახლის ნანგრევების გათხრებისას აღმოჩენილ იქნა თიხის ფირფიტები, რომელზეც გაკეთებული იყო ლურსმული წარწერები. გაშიფვრის შედეგად, რომელიც გააკეთა ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ ჩედვიკმა, საყურადღებო ცნობები იქნა ამოკითხული. მოვიყვან ზოგიერთ მათგანს. აი, რას წერს ჩედვიკი: **“მამაკაცისა და ქალის სახელების უმრავლესობა ბერძნული წარმოშობისაა. აქ ძალაუნებურად წარმოიშვება საკითხი მამაკაცისა და ქალის ბერძნული საკუთარი სახელების თაობაზე (მაგალითად – ალექსანდრა, შესაბამისად – ალექსანდრე), რომელიც გავრცელებულია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელები გვხვდება მიკენურ საბერძნეთში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში და ძნელი დასაჯერებელია, ვთქვათ, არ ცოდნოდათ სახელი “ალექსანდრას” მნიშვნელობა ქალის მშობლებს, ვინც ეს სახელი დაარქვა. საინტერესოა, ამ სახელის ზუსტი ლექსიკური მნიშვნელობა. იგი ნიშნავს “ის, ვინც დევნის ქაცს”, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალის ეს სახელი არის მარტივად მამრობითი სქესის ფორმის “ალექსანდრეს” დერივატივი. ბერძნული საკუთარი სახელების სისტემა მიკენურ პერიოდშიც, რადიკალურად განსხვავდება ჩვენი სახელების სისტემისაგან. ერთი პირი, იმავე სახელის მატარებელი მეორე პირისაგან განსხვავდება მამის სახელით. ამასთანავე, ადრინდელ დიალექტებში, ისე, როგორც მიკენურში მამის სახელი მოცემულია არა ნათესაობით, არამედ ზედსართაული ფორმით. მაგალითად “კუსამენოსისძე”, მაგრამ სახელთა წარმოების ეს მეთოდი, როგორც ჩანს, ვრცელდებოდა მხოლოდ არისტოკრატიული საგვარეულობების წარმომადგენლების სახელზე. დანარჩენ პირებს განასხვავებდნენ მათი მშობლიური ქალაქის ან საცხოვრებელი ადგილის დასახელებით”.** (ჯ. ჩედვიკი. **“მიკენური სამყარო”**. გვ. 41-42).

დავაკვირდეთ ბატონ ჯ. ჩედვიკის მიერ თიხის ფირფიტების გაშიფვრის და გაანალიზების შედეგს და დავრწმუნდებით იმაში, რომ ძველ საბერძნეთში და საერთოდ მიკენურ სამყაროში ერთი და იგივე სახელის მატარებელი ორი პირიდან, იმავე სახელის მატარებელი მეორე პირისაგან განსხვავების მიზნით, სახელებს თან ერთვის მამის სახელი და ეს წესი ვრცელდება არისტოკრატიული გვარეულობის წარმომადგენლებზე. დანარჩენ პირებს განასხვავებდნენ მათი მშობლიური ქალაქის სახელის ან საცხოვრებელი ადგილის სახელის დამატებით. მაგრამ ვინაიდან მაღალი წრის წარმომადგენელთათვის სახელებს თან ერთვის მამის სახელი, დაბალი წრისათვის მშობლიური ქალაქის სახელი თან უნდა ერთვოდეს გვარებს. ასეთმა წესმა შეიძლება ერთგვარი დაბნეულობა აგაცილოთ თავიდან, ესე იგი არ მოხდეს არისტოკრატიული წრისა და დაბალი ფენის ურთიერთ არევა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ დასაბამიდან კოლხურ ტომთა გვარები გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე, ესე იგი, თაობიდან თაობაზე. ამ მიზეზების გამო კოლხური ტომის ადამიანები ამ გვარებს ატარებენ დღესაც, რა გვარებსაც ატარებდნენ მათი წინაპრები, ალბათ, რამდენიმე ათასი წლის წინათ.

ეს წესი, როგორც ჩანს, ვრცელდებოდა არა მარტო კუნძულ კრეტაზე, არამედ ეგეოსის ზღვის მთელ არქიპელაგზე. ამიტომ პელასგი მაკრილელები – მეგრელები და ჭანები (ლაზები) ამ წესის მატარებლები იქნებოდნენ. გავიხსენოთ კოლხეთში გავრცელებული გვარები. ბატონ ჯონ ჩედვიკის ცნობის მიხედვით ამ გვარების დაბოლოვებამ მშობლიური ქალაქის ანუ პოლისის სახელწოდება უნდა დაგვიდგინოს. ქვემოთ მომყავს კოლხეთში გავრცელებული გვარები:

ალან-ია, აშორდ-ია, ახალა-ია, აბლოთ-ია, ალასან-ია, ადამ-ია, აკობ-ია, არჩა-ია, არახამ-ია, ბირკა-ია, ბებურ-ია, ბესელ-ია, ბერა-ია, ბექ-ია, ბუკ-ია, ბადათურ-ია, ბარკალ-აია, ბედ-ია, ბასილა-ია, ბასილ-ია, გამსახურდ-ია, გვასალ-ია, გოგ-ია, გელაზონ-ია, გეთ-ია, გულ-ია, გაბისონ-ია, გაბესკირ-ია, გაწერელ-ია, გუნ-ია, გეგელ-ია, გვიჩ-ია, გვარამ-ია, გობეჩ-ია, გიგიბერ-ია, გრიგოლ-ია, გვასალ-ია, გაბელ-ია, გადელ-ია, დემურ-ია... ქობალ-ია... ჟორდანი-ია, წურწუმ-ია, ჭედ-ია, ჭილა-ია, ჯელ-ია, ჯალაღონ-ია, ჯანაშ-ია, ჯაკობ-ია, ჯიქ-ია, შენგელ-ია, შელ-ია, შულა-ია და სხვა მრავალი.

ია-თი დაბოლოებული გვარების ადამიანები ბევრია აფხაზეთში და ისინი თავიანთ თავს აფხაზებად თვლიან, ვინაიდან სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიას ეგრისის სამეფოდან დაწყებული ეწოდებოდა აფხაზეთი და იქ მცხოვრები მეგრელები აფხაზებად მოიხსენიებოდნენ, ამიტომ აფხაზებს, ისევე როგორც მეგრელებს, მეგრული გვარები ჰქონდათ და მათი მშობლიური ენა იყო მეგრული. ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთი ღვიძლი კუთხეა სამეგრელოსი და უძველესი აფხაზები კოლხები იყვნენ.

ამბროსი კილასონია

(გაგრძელება იქნება)

საქართველო (კოლხეთი) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

აქ **„გასაოცარი“** არაფერია. სწორედ ინკებში აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანეს იბერია-მეგრული ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ ინკების წინადროინდელი პერიოდის **„კოლონა-ქანდაკებები“ „საოცრად გავდა“** აღდგომის კუნძულზე **„მიწაში მდებარე საგნებს“.** მაგრამ ჰეიერდალი კოლხ-მეგრელების უძველეს ისტორიას, ჩანს, არ იცნობდა.

ჰეიერდალმა მსოფლიოში ყველაზე უკეთესად იცის, რომ აღდგომის კუნძულზე **„უმაღლეს წერტილს მიღწეული კულტურა“** შეიტანა ხოტუ მატუამ და მისმა თანამებრძოლებმა, რომ ის იყო კუნძულს პირველი თეთრკანიანი მეფე, რომელსაც კუნძულზე უდიდეს პატივს ცემდნენ და სცემენ. კუნძულის მცხოვრებლები გამოქვაბულებში ინახავდნენ ძვირფას ნივთებს, პატარა წარწერიან დაფებს. ულამაზეს პატარა ქანდაკებებს, ქვის ჯამებს. კუნძულზე აღმოჩნდა ფართო ქვაფენილიანი გზები. მოკირწყლული გზები, რომელიც პირდაპირ ზღვაზე ჩადიოდა. ქვის გოლიათები, და ქანდაკებები **„უწმინდური სულებისგან“** გვიცავენ, ამბობენ მცხოვრებლები, მაგრამ ჩანს, მათ აკეთებდნენ ღმერთების საპატივცემლოდ.

ტ. ჰეიერდალი სხვადასხვა ანალიზის საფუძველზე ასკვნის: **„ადრინდელი ქანდაკებები აღმართული იყო დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვის 1300 წელს, ანუ დაახლოებით ცხრაასი წლის (ე.ი. IVს) შემდეგ იმ დღიდან რაც აღდგომის კუნძულზე პირველი ადამიანი დასახლდა.“**(ტურ ჰეიერდალი, აღდგომის კუნძულის საიდუმლოება. თბ., 1965, გვ.).

ტ. ჰეიერდალი აღნიშნავს: **„პერუში როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ ანდების შავგვრემან და ტანმორჩილ ინდოელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვითონ ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი... ესენი იყვნენ უკანასკნელი შთამომავალნი თეთრკანიანი, წვერიანი (ინდიელებს წვერი არა აქვთ) ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომმავალნი, რომ ინკების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე ეს შენობები აუგიათ წვეროსან და თეთრკანიან ადამიანებს. მაგრამ ერთხელ ამ ადამიანებმა მიატოვეს ეს ქანდაკებები და კედლები და თავიანთი ბელადის წინამძღოლობით გაემართნენ კურაკოში, შემდეგ კი წყნარ ოკეანეში და მათმა ბელადმა, რომელიც სამოცი დღე მიცურავდა აღმოსავლეთიდან მზის დასავლეთით მიმართულებით, თან ჩამოიყვანა პირველი გრძელყურებიანები.“**

იბადება ასეთი კითხვა: **„...წვერითა და ინკური ცხვირით საიდან მოვიდნენ?“** – კითხულობს ტ. ჰეიერდალი, მაგრამ ვერ პასუხობს. ეს არის არა **„ინკური ცხვირი“,** არამედ ულამაზესი ქართული არწივისებური ცხვირი.

დროთა განმავლობაში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები; იბერთა პროექტებით იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები, ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. ინდიელმა აბორიგენებმა ისწავლეს მიწათმოქმედების წესები, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობა (ჩრდილოეთ ამერიკაზე ლაპარაკი ცალკე საკითხია). (ტერ ჰეიერდალი, **„აღდგომის კუნძულის საიდუმლოებანი“,** თბ., 1965, გვ. 413.).

მკვლევარი რევაზ ერისთავი წიგნში **„მზის შვილები“** იხილავს დედამიწაზე ბიბლიური წარღვნის შემდეგ მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის – იბერების, მათი აზროვნებისა და კულტურის მთელს ჩვენს პლანეტაზე განთესვის საკითხებს, აგრეთვე ფართოდა აქვს განხილული მეგრულ-ლაზური ტომების ერთი ნაწილის მიგრაცია თითქმის მთელ დედამიწაზე, მათი ენის აშკარა გავლენა მსოფლიოს ხალხთა ენებზე, რელიგიური ტერმინებისა და ტოპონიმების ჩამოყალიბებაზე; წიგნში გაანალიზებულია საოცრებით აღსავსე აღდგომის კუნძულზე იბერთა ტომის ბელადის ხოტე მატუას მოსვლა თავისი გვარტომებით და მასთან დაკავშირებული საკითხები. ტურ ჰეიერდალს და რევაზ ერისთავს აღნიშნულ წიგნებში მოთავსებულია ქვის ქანდაკებების დოკუმენტალური და ხოტუ მატუას ფოტოსურათები.

* * *

უკანასკნელ პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, რომ **„ამჟამადაც“ „ქართ“**-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას (ნაპოლეონს კი ქართველს) კორსიკელები. კუნძულზე მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ადათ-წესები ზნე-ჩვეულებები, კეთილშობილური ქცევა, სილამაზე, მრავალხმიანი მუსიკა, მეგრული ცეკვები, მეგრული კულინარია – მეგრული სამზარეულო.

ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა თავისი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა, თორემ თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ქართველ ოფიცერს, ყოფილი მამლუქ როსტომ რაზმაძეს.

ანდრე კარბელაშვილს მოხმობილი აქვს დოკუმენტალური მასალები თუ როგორ ურთიერთობაში იყო ნაპოლეონი ქართველებთან; ნაპოლეონის ჯარის უფროსი კოსტანი იხსენებს: **„იმპერატორის მამლუქის სახელით ცნობილი რუსტანი კარგი ოჯახის შვილი იყო, ბავშვობისას საქართველოდან მოუტაცნიათ...**

ნაპოლეონმა რუსტანი თავის ამალაში დაიტოვა, ხოლო მეორე იბრაჰიმი, შემდგომში ალის სახელით ცნობილი, ჟოზეფინას მხლებელად გაამწესა. იმპერატორმა ისე დაიახლოვა რუსტანი, რომ იგი ყველგან ახლდა. რუსტანი მონაწილეობდა ნაპოლეონის ყველა ომში. ნაპოლეონის შტაბის წევრებზე თავისი იერით და აღმოსავლური ჩაცმულობით ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა. ხელმწიფე უსაზღვროდ ენდობოდა მას. ერთხელ რუსტანმა მტრის მოქნეული ხმალი აიცალა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ფუშეს ცხოვრების მკვლევარის ლუი მადლენის მოწმობით, ნაპოლეონს ფუშეს ადგილას რუსტანის დანიშვნა უნდოდა.“

საფრანგეთის ხელისუფლებას არ სურს გაიხსენოს, რომ დიდი იმპერატორი ნაპოლეონი კორსიკელი ბასკი იყო. ნაპოლეონს ორბისებური თვალები და არწივისებური ცხვირი ჰქონდა, საოცრად ემოციური და ფიცხი იყო. ნაპოლეონი საუბრის დროს ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვში კავკასიური სისხლი ჩქეფდა. მან კარგად იცოდა, რომ წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო.

შემხვევით არ იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან, დადიანების ყოფილ საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. როცა ის წმინდა ელენეს კუნძულზე მოწამლეს და მოკლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი პარიზში ინახება, მეორე კი ზუგდიდში, დადიანების საგვარეულო მუზეუმში. ისიც ცნობილია, რომ აშილ მიურატი დადიანების სიძე იყო, სალომე დადიანის მეუღლე.

ნაპოლეონი დიდ პატივს სცემდა პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის ჯარის უნიჭიერს ქართველ გენერალს. როდესაც ნაპოლეონს ბაგრატიონის გარდაცვალების ამბავი უთხრეს, მან გლოვის დუმილის წუთი გამოაცხადა და მუხლმოდრეკილმა პატივი სცა მის ხსოვნას.

1840 წლის 15 დეკემბერს, წმ. ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის ცხედრის გადმოსვენებაზე დამსწრე საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ახოვანი, წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი. განსხვავებული აღმოსავლურ ტანისამოსში გამოწყობილი – ეს იყო უსაზღვროდ დანაღვლიანებული როსტომო-რუსტანი რაზმაძე, რომელმაც ნაპოლეონის ნეშთს უკანასკნელი პატივი მიაგო, ხუთი წლის შემდეგ თვითონაც აღესრულა. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონი წარმომავლობით ბასკი-იბერიელი იყო. ალბათ ამიტომ ნაპოლეონისა და რუსტანის ურთიერთობა იმპერატორისა და იმპერატორის დაცვის უფროსის ურთიერთობას კი არ გავდა, არამედ ეს იყო ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა.

რუსტამმა (როსტომმა) კარგად იცოდა, რომ რომანი **„კლისონი და ეჟენი“** ნაპოლეონ ბონაპარტეს დაწერილი იყო.

ასეთია მოკლედ, ძალიან მოკლედ ძველი კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი. კოლხეთის ისტორიის სრულყოფილი გადმოცემას მრავალი ტომი და მეცნიერთა დიდი ჯგუფის მრავალწლიანი მუშაობა ჭირდება, ერთ ადამიანი, ვინც გინდა არ იყოს ის, ამის გაკეთებას ვერ შეძლებს.

ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ერთ სტატიაში გადმოცემა, ვხედავ, ვერ მოვახერხე, ვერც ის შევძელი, რომ სათქმელი მოკლედ მეთქვა – ჩანს ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება.

კლიმენტი შელია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

საითაც გავიქეცით, იქით წავიქეცით...

(წყალტუბოში დევნილებისთვის განკუთვნილი სახლები წყალმა დატბორა)

„ჯოჯოხეთიდან ისევ ჯოჯოხეთში მივდივართ“, – ასე აფასებს წყალტუბოში მცხოვრები დევნილების ნაწილი ახალ ბინებში შესახლების პროცესს, რადგან მათი მტკიცებით, ადგილი, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, კომუნისტების მიერ ჭაობიანი ნიადაგის გამო დაწუნებული იყო, ამჟამად კი ყველა კორპუსის სარდაფში წყალი დგას.

„წყლის ჩადგომის მიზეზი, ალბათ, უხარისხოდ ჩატარებული სამუშაოებია. არადა, სარდაფები ყველას გვჭირდება. ძალიან გვიხარია, ახალ ბინებში გადასვლა, მაგრამ თუკი ეს პრობლემა არ მოგვარდება, მაშინ იქ ცხოვრება შეუძლებელი იქნება. წყალი რამდენჯერმე ამოტუმბეს, მაგრამ ისევ ჩადგა. თუკი პრობლემა არ მოაგვარეს, რაც არ უნდა კარგი ბინები ააშენონ, დროთა განმავლობაში, მას საძირკველი გამოეცლება და სავალალო შედეგამდე მივალთ“, – აცხადებს ერთერთი დევნილი ნუგზარ ნოდარიშვილი.

„ნამდვილად არ ვართ დევნილები უმადურები. მადლობელი ვართ, რომ ახალ ბინებში გადავყავართ საცხოვრებლად, მაგრამ 19 წელია აქ ვცხოვრობთ, წვალებითა და ოფლით, უამრავი ნივთი მოვაგროვეთ და, ბუნებრივია, სარდაფები გვჭირდება“,– ამბობენ დევნილები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ ყოველი წვიმის მოსვლისას სარდაფების მუხლამდე წყლით დატბორვა, შესაძლოა, გაუმართავი სანიაღვრე სისტემის შედეგი იყოს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დევნილებს აწუხებთ, ბუნებრივი აირის საკითხია, რადგან, მათი ინფორმაციით, მიუხედავად ფოთში დევნილთა ჩასახლების, ზარზეიმით გახსნილი საცხოვრებელი სახლებისა და იმის მტკიცებისა, რომ კორპუსებში ბუნებრივი აირი შეყვანილია, ლტოლვილებმა იქ მცხოვრები ნათესავებისგან შეიტყვეს, რომ ეს პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია. წყალტუბოში მცხოვრები დევნილები შიშობენ, რომ ახალი ბინების გაზიფიცირება, მათ თავად მოუწევთ, რადგან დასრულების ეტაპზე არსებულ სახლებში გაზი ამ დრომდე არ არის შეყვანილი.

„ახალ ბინებში გადასვლა და საკუთარი ჭერის ქონა ყველას გვიხარია, თუმცა თუ დატბორილი სარდაფებისა და გაზგაყვანილობის პრობლემა არ მოგვარდება, იქ ცხოვრება წარმოუდგენელი იქნება“,– ამბობს აფხაზეთიდან დევნილი ნუგზარ ნოდარიშვილი.

„ფოთში დევნილებისთვის არსებულ დასახლებაში ბუნებრივი აირი არ არის. არადა, საცხოვრებელი სახლების გახსნის დღეს თქვეს, რომ სახლები გაზიფიცირებული იყო. არ გვინდა, ჩვენთანაც იგივე განმეორდეს. გარდა ამისა, არ ვიცით, დევნილებისთვის გამოყოფილი 100 კილოვატი უფასო ელექტრო ენერგია, რომელიც ახლა გვაქვს, გვექნება თუ არა ახალ ბინებშიც. თუკი ეს შეღავათი მოგვიხსნეს, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ახალ ბინებში გაზი ჯერ არ არის შეყვანილი“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ერთერთმა დევნილმა.

აი, რას ამბობს სამშენებლო კომპანია **„საბმშენის“** ხელმძღვანელს გიორგი გოგრიჩიძე:

„ობიექტი ჯერ კიდევ დასამთავრებელია. რადგან საკანალიზაციო სისტემა არ არის ზოგან შეყვანილი, ამიტომ შედის წყალი, თორემ სხვა მომენტი აქ არაფერი მოქმედებს. სხვა დროს ეს აღარ იქნება. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ამ პრობლემას „ტრანსგაზი“ მოაგვარებს და ეს კორპუსები გაზიფიცირებული იქნება. დაუმთავრებელ პროცესებზე ნუ ვიჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, ობიექტი დასამთავრებელია, მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს“.

დევნილების უკმაყოფილებას იქ არსებული ფართები და მოსახლეობის გადანაწილების პროცესიც იწვევს. როგორც ისინი აღნიშნავენ, ოთახებისა და ოჯახების რაოდენობას შორის ხშირი შეუსაბამობაა. ოთხსულიან ოჯახებს მხოლოდ ოროთახიან ბინებს სთავაზობენ, რაც მათთვის არადამაკმაყოფილებელია.

წყალტუბოში დევნილების საცხოვრებელი ბინების მშენებლობა წელიწადზე მეტია მიმდინარეობს და იგი 352 ოჯახზეა გათვლილი, ქალაქში კი კომპაქტურად ჩასახლებული 2000-ზე მეტი ოჯახია. რა ბედი ელით დარჩენილ ოჯახებს და სად დაკმაყოფილდებიან ისინი საცხოვრებელი ფართებით, ეს კითხვა კვლავაც უპასუხოდ რჩება.

თუკი წყლიანი სარდაფებისა და ბუნებრივი აირის პრობლემა არ მოგვარდება, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში შესვლას არ აპირებენ.

ახალი საცხოვრებელი კორპუსები, სავარაუდოდ, 23 ნოემბერს უნდა გაიხსნას. როგორც ამბობენ, პრეზენტაციას და დევნილების შესახლების პროცესს თავად პრეზიდენტი დაესწრება. თუმცა, რამდენად მოიხიბლება მიხეილ საკაშვილი დატბორილი კორპუსებით, ეს სხვა საკითხია.

მოკლედ, **საითაც გავიქეცით, იქით წავიქეცითო**, ზუსტად ჩვენზე ნათქვამი, მწარედ ხუმრობენ საკუთარ თავზე წყალტუბოელი ლტოლვილები.

საკ. ინფორმაცია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასა

დღევანდელი ქართული ფეხბურთი რომ სავალალო მდგომარეობაშია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ჩვენ დღეს მსოფლიოს საფეხბურთო მარაქაში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილს ვიკავებთ შუა აზიის ქვეყნებს, მალტას, ლუქსემბურგს, ლიხტენშტეინს, ფარერებსა და ანდორას შორის. ამაზე უკან დასახევი გზა უკვე აღარ არსებობს. საგრძნობლად გაგვისწრეს იმ ქვეყნებმა, რომლებსაც რამდენიმე ათეული წლების წინ სპარინგ-პარტნიორებადაც კი ვთაკილობდით. მაგალითად, ლატვიამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა, ესტონეთი ამავე ჩემპიონატის პლეიოფშია, წარმატებებს აღწევს სომხეთის ნაკრები, საგრძნობი წინსვლა იგრძნობა აზერბაიჯანულ ფეხბურთშიც...

თუ რამ და რა მიზეზებმა მიიყვანეს ქართული ფეხბურთი ფიასკომდე, ამას მრავალი მიზეზი აქვს. ამაზე მეც გამაჩნია ჩემი თვალსაზრისი და მოსაზრებები, მაგრამ დღევანდელ პუბლიკაციაში ამაზე არ ვისაუბრებ, რადგან ამას რამდენიმე საგაზეთო გვერდიც კი არ ეყოფა. სხვა დროისათვის გადავდოთ...

ძვირფასო მკითხველო! მე ის ერთ-ერთი გულშემატკივარი ვარ, რომელმაც ჯინსის შარვლის შესაძენად წლობით ნაგროვებ-ნალოლიავები 200 მანეთი ბილეთის გამყიდველს ჩავუთვალე, რათა "დინამო-ლივერპულის" ცნობილ მატჩს დავსწრებოდი. შევეცდები სიმართლე ვუთხრა ფეხბურთის ახალგაზრდა გულშემატკივრებს, თუ რა დონის ფეხბურთი უნახავს ჩემი ასაკის გულშემატკივარს და რას წარმოადგენდა ქართული ფეხბურთი. შევეცდები სრულად აღვადგინო ზოგიერთი საინტერესო მომენტი, რომელიც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე უკავშირდება ქართულ ფეხბურთს.

ქართული ფეხბურთის ნამდვილი რენესანსი იწყება გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან და გრძელდებოდა თითქმის ოცდაათი წელი. ამ ხნის მანძილზე თბილისის **"დინამოში"** თამაშობდნენ – მე არ მომერიდება ამ სიტყვების თქმა – მსოფლიო დონის ვარსკვლავები. სამწუხაროდ, მათი სამოქმედო არეალი იყო ძალიან ვიწრო.

მოგეხსენებათ, საბჭოთა გუნდები სამოციანი წლების შუა ხანამდე არ მონაწილეობდნენ ევროპულ ტურნირებში, ხოლო საკავშირო ნაკრებში ძლიერი კონკურენციის და სხვა სუბიექტური მომენტების გამო, ბევრი ქართველი ფეხბურთელი ვერ ხვდებოდა, ხოლო ვისაც ეს ბედნიერება ხვდებოდა წილად, ისინი მთელი თავით მაღლა უნდა მდგარიყვნენ თავიანთ კონკურენტებზე.

ქართული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი იყო თვითმყოფადი უნივერსალური ქართული სტილი, რომელიც ტექნიკური თვალთახედვით ძალიან წააგავდა სამხრეთ-ამერიკულს. ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების მიწურულს **"დინამოელები"** მონათლეს **"პატარა ურუგვაელებად"**, ხოლო სამოციანი წლების თბილისის **"დინამო"** წმინდა ბრაზილიურ ფეხბურთს თამაშობდა.

ჩემი თაობის გულშემატკივრები მართლაც ძალზე ბედნიერები არიან, რადგან საკუთარი თვალით აქვთ ნანახი სამოციან-ოთხმოციანი წლების **"დინამო"**. ეს გახლდათ გუნდი, რომელსაც თავისუფლად შეეძლო დაუფლებოდა ევროპის ნებისმიერ გუნდური შეჯიბრების პირველ ადგილს (ყოველი შემთხვევისათვის, მისი პოტენციიდან გამომდინარე, ეს არავის გააოცებდა). ეს გახლდათ გუნდი, რომელიც საქართველოს ნაკრების ეგიდით რომ გამოსულიყო, მისთვის ჯგუფური ტურნირიდან გასვლა არავითარი პრობლემა არ იქნებოდა. ამ გუნდში სხვადასხვა დროს თამაშობდნენ მესხი, მეტრეველი, სიჭინავა, ბარქაია, დათუნაშვილი, კოტრიკაძე, იამანიძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, ყიფიანი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, შენგელია, გაბელია, დარასელია, სულაქველიძე, მაჩაიძე, გუცაევი... ეს ოცწლიანი მონაკვეთი არის ქართული ფეხბურთის ოქროს ხანა, ზემოთჩამოთვლილი ფეხბურთელები არიან მსოფლიო დონის გრანდები, დაახლოებით ისეთები, როგორებიც იმ პერიოდში იყვნენ ჰენტო, სუარესი,, სივორი, ეისებიო, ჩარლტონი, ვავა, დიდი, მური, ვან ბასტენი, ძოფი...

მერწმუნეთ, სწორედ ასე გახლდათ!

მოვიყვან ასეთ ფაქტს. 1961 წელს საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელები ამერიკული ტურნეს პირველ მატჩს ატარებდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს არგენტინის ნაკრებთან. ერთ-ერთი ჟურნალისტი მეორე დღეს წერდა: **"მრავლისმნახველი "რივერ პლეიტის" სტადიონი მომავალში ალბათ ვეღარ ნახავს ფეხბურთელის ისეთ თამაშს, როგორიც აჩვენა რუსების მე-11 ნომერმა"**. უკვე თამაშის მეორე წუთზე მთელმა სტადიონმა დაიწყო სკანდირება **"მიშელ, მიშელ!"**, რომელიც მატჩის დასასრულამდე არ შეწყვეტილა. მატჩის შემდეგ სტადიონის მინდორზე გადასულმა **"ინჩასებმა"** მთლიანად შემოაფლითეს მაისური **მიხეილ მესხს** და სუვენირებად დაინაწილეს. როგორც გამოჩენილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, ფეხბურთის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი გურამ ფანჯიკიძე იხსენებდა, ამ მატჩის შემდეგ, ლეგენდარულ სანტიაგო ბარნაბეუს თავისთან მიუწვევია ქართველი ფეხბურთელები მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი და მათთვის უთქვამს: **"ამ ჩეკის წიგნაკზე ხელი წინასწარ მაქვს მოწერილი, ჩაწერეთ შიგ ნებისმიერ თანხა და თანახმა ვიქნები იგი გადაგიხადოთ, თუ სათამაშოდ მადრიდის "რეალში" გადმოხვალთო"**. და ეს მაშინ, როცა **"რეალში"** უკვე თამაშობდნენ მსოფლიო ფეხბურთის გრანდები დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო, კოპა, რიალი...

ქართველმა ფეხბურთელებმა მაშინ დელიკატურად უარყვეს დიდი სანტიაგო ბარნაბეუს ფრიად მომხიბლველი და საინტერესო წინადადება.

1963 წელს ფრანგულმა პოპულარულმა გაზეთმა **"ეკიპმა"** მოაწყო გამოკითხვა მკითხველებს შორის და სთხოვა მათ შეედგინათ ევროპის სიმბოლური ნაკრები, სადაც თავდასხმის მარცხენა ფლანგზე მესხმა მადრიდის **"რეალის"** ლეგენდარულ გარემარბ ჰენტოზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო.

1963 წელს ლონდონში შედგა საუკუნის მატჩად მონათლული შეხვედრა ინგლისისა და დანარჩენი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს შორის. ეს მატჩი ეძღვნებოდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დაარსების 100 წლისთავს. საორგანიზაციო კომიტეტმა მოსაწვევები დაუგზავნა მსოფლიოს სახელგანოქმულ ფეხბურთელებს: პელეს, გარინჩას, დი სტეფანოს, პუშკაშს, კოპას და სხვებს, მათ შორის მიხეილ მესხსაც. მაშინდელმა ფეხბურთის საბჭოთა **"მამებმა"** მესხის მოსაწვევი დამალეს, მატჩის ორგანიზატორებს კი დეპეშა გაუგზავნეს: **"მესხი ავადაა და ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებსო"**.

სამწუხაროდ, ასეთი მეთოდებითც გრძელდებოდა დიდი ქართველი ფეხბურთელების ჩრდილში დატოვება. მაგრამ **"გარეულებს"** რას ვერჩით, როცა "შინაურებიც" არ ინდობდნენ ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელებს – მესხი ხომ ოცდათორმეტი წლის ასაკში გაუშვეს **"პენსიაზე"**, როცა იგი ჯერ კიდევ იმყოფებოდა შესანიშნავ სპორტულ ფორმაში. სწორედ ამიტომ გააცილა გულშემატკივარმა თვალცრემლიანად მესხი გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ, რომელიც თბილისის **"დინამომ"** მონტევიდეოს **"ნასიონალთან"** გამართა. ურუგვაელთა მწვრთნელმა მატჩისშემდგომ კონფერენციაზე გაოცება ვერ დამალა: **"ყოჩაღ, ქართველებო, გეტყობათ ფეხბურთის გენიოსებით მდიდარი ქვეყანა ხართ, ასეთ ფეხბურთელს ასე იოლად რომ შეელიეთო"**. შედარებისათვის, შეგახსენებთ, რომ **"უჭკუო"** ინგლისელები ბოლომდე ვერ შეელივნენ სტენლი მეტიუზს და 42 წლის ასაკში იგი კვლავ ინგლისის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს.

მიხეილ მესხი კი უბურთოდ ვერ ძლებდა და 4 თუ 5 მატჩი დაბალ ზონაში მოთამაშე თბილისის **"ლოკომოტივის"** შემადგენლობაში ჩაატარა. მიშას ხათრით 15-20 ათასი კაცი მიდიოდა ლოკომოტივის მატჩის სანახავად. ბევრი რამ დაიწერა მიხეილ მესხზე, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ეს ადამიანი წარმოადგენდა ფეხბურთის მოედანზე...

სლავა მეტრეველი – ფილიგრანული ტექნიკის მქონე, უადრესად სწრაფი, გონებამახვილი და კორექტული ფეხბურთელი. იშვიათია, ფეხბურთელს მოწინააღმდეგისაგან მიეღოს იმდენი მუჯლუგუნი და სარმა, რამდენიც სლავას ჰქონდა მიღებული, მაგრამ **"ხურდა"** არასოდეს დაუბრუნებია ოპონენტისათვის. იგი უკვე მსოფლიოში სახელგანოქმული ფეხბურთელი იყო, როცა თბილისის **"დინამოში"** მოვიდა და მისი პირველივე მატჩი ლენინგრადის **"ზენიტთან"** გამარჯებით ანგარიშით 4:0 აღინიშნა. 1964 წელს კი სლავას დიდებულმა თამაშმაც განაპირობა ის, რომ **"დინამო"** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

წარმოიდგინეთ იმდროინდელი **"დინამო"**: საიმედო დაცვა, ნახევარდაცვა და თავდასხმა. მოედნის ცენტრში გიორგი სიჭინავა და შოთა იამანიძე, თავდასხმაში მესხი და მეტრეველი, ცენტრში ჩაწოდებული ბურთი, სადაც უშეცდომოდ მოქმედებდნენ ზაურ კალოევი და ვლადიმერ (სიომა) ბარქაია...

მხოლოდ ამის წარმოდგენის შემდეგ გეძლევა უფლება შეაფასო, თუ რა არის ნამდვილი ლამაზი ფეხბურთი და დღევანდელ ქართულ ფეხბურთს წარსულის ტრაგიკულ ნალექად ჩათვლი!

იმ პლეადის ფეხბურთელებს მოედანზე კიდევ ერთი დიდი **"მოწინააღმდეგე"** ჰყავდათ მსაჯების სახით, რომლებიც ყოველნირად უწევდნენ წინააღმდეგობას პერიფერიათა ფეხბურთელებს საპრიზო ადგილების დაკავებაში. სწორედ კიეველი მსაჯის ცაპოვეცკის **"დამსახურება"** გახლავთ ის, რომ თბილისის **"დინამოელებმა"** 1960 წელს ვერ აიღეს საბჭოთა კავშირის თასი. ფეხბურთის **"ხორცმეტ"** ცაპოვეცკის დიდად არ ჩამორჩებოდნენ სხვა **„ქართველთმოძულე"** მსაჯები იუშკასი, ხოდინი, ლატიშევი და სხვა ბევრი მათი მსგავსნი.

ძვირად დაუჯდა ლიტველ მსაჯ რუბენისს 1964 წლის მატჩის ობიექტურად მსაჯობა, სადაც თბილისის **"დინამო"** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ რუბენისს საკავშირო უმაღლესი ლიგის თამაშებზე აღარ უმსაჯია...

სამწუხაროდ, ჩვენ ვერც სლავა მეტრეველს გავუფრთხილდით, რადგან მძიმედ დაავადებული სლავასათვის წამლის და დიეტის დასაცავი თანხაც კი ვერ გამოვძებნეთ. კაცობაში ჩაჭრილები მხოლოდ მას შემდეგ დავფაცურდით, რაც მოსკოვის **"ტორპედოელებმა"** ფული შეუგროვეს მეტრეველს ძვირადღირებული წამლისათვის, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო...

ძნელია, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში დაასახელო მეორე ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ისე ხელაღებით გაეფლანგოს თავისი ტალანტი, როგორც ეს ჩვენმა უსაყვარლესმა ფეხბურთელმა **გიორგი სიჭინავამ** გააკეთა. **"თვითნაბად ოქროდ"** აღიარებულ ამ სპორტსმენს მართლაც ფენომენალური საფეხბურთო ტექნიკა გააჩნდა, რომლის წყალობითაც მართლაც სასწაულებს ახდენდა მოედანზე.

1965 წელს, როცა ბრაზილიის ნაკრებმა მოსკოვში საჩვენებელი ამხანაგური მატჩი გამართა, ჟურნალისტებმა პელეს ჰკითხეს, საბჭოთა ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგეწონათო, მან კი დაუფიქრებლად უპასუხა: **"გიორგი სიჭინავას ჩააცვით ყვითელი მაისური, დანარჩენით ის არაფრით არ განსხვავდება ჩვენგანო."** მართლაც ტრაგედია გახლდათ ის, რომ გიორგი სიჭინავა 26 წლის ასაკში წავიდა დიდი ფეხბურთიდან.

შოთა იამანიძე ფეხბურთის ნამდვილი რაინდი გახლდათ, რომელსაც გამოარჩევდა უზადო ტექნიკა, მახვილგონივრული გადაცემები, დრიბლინგი. მახსოვს, 1967 წელს, თბილისში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდა ბრაზილიის გუნდი **"ფლამენგო"**, რომელიც ნამდვილი ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული. ბრაზილიელები მართლაც **"პირდაფჩენილები"** მისჩერებოდნენ თბილისელთა თამაშს, რომელიც 4:0 მოიგეთ. განსაკუთრები ლამაზი და დასახსომებელი გახლდათ მეოთხე გოლი. ლამის მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო შოთა იამანიძემ, ფინტების კასკადი დაატრიალა და გვერდი აუარა ხუთ ბრაზილიელს, შემდეგ მათი მეკარეც მოატყუა ცრუ მოძრაობით და გულშემატკივართა სიცილ-ხარხარის თანხლებით ბურთიანად შევარდა ბრაზილიელთა კარში.

კახი ასათიანი – ფეხბურთელი, რომელიც თამაშის მანერით ძლიერ ჰგავდა ლეგენდარულ უნგრელ ფეხბურთელს, **"ოქროს ბურთის"** მფლობელ ფლორიან ალბერტს. მახსოვს მისი დებიუტი 1966 წელს, მოსკოვის **"დინამოსთან"** გამართულ მატჩში, სადაც კახიმ თავით გაიტანა ბრწყინვალე გოლი. ლაღად დაჰქროდა ხოლმე მოედანზე, ყუმბარისებური დარტყმა ჰქონდა, შეუდარებელი გახლდათ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც. თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ რომ ითამაშა ანკარაში, გაზეთმა **"ფუტბოლ-ჰოკეიმ"** პირველ გვერდზე გამოაქვეყნა მატჩის ანგარიში სათაურით **"ასათიანი-თურქეთი – 3:1"**. ასევე გამორჩეული იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე. მისი ბიუსტი დღესაც ამშვენებს **"აცტეკას"** სტადიონს, როგორც ელეგანტური ფეხბურთელის სიმბოლო.

მანუჩარ მაჩაიძე – ერთ-ერთი უიღბლო ფეხბურთელი, რომლის ღვაწლი სათანადოდ არაა დაფასებული. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწინააღმდეგეს ამ დაუღლელი ფეხბურთელისათვის ბურთი აერთმიოს, ხოლო მის მიერ გატანილი გოლები ერევნის **"რაზდანის"** და პარიზის **"სენ-ჟერმენის"** სტადიონებზე ნამდვილად მიეკუთვნებიან ოქროს ფონდს.

რევაზ ძოძუაშვილი – უძლიერესი მცველი, რომელმაც **"ჩაკეტა"** უძლეველი გრივსი და დრაგან ჯაიჩი. სამხუხაროდ, არც მას დასცალდა პოტენციალის სრულად გამოვლენა.

ვლადიმერ გუცაევი – შესანიშნავი დრიბლიორი, იმ გადამწყვეტი გოლის ავტორი, რომელმაც თბილისის **"დინამოს"** ევროპის თასის მფლობელთა თასი მოაპოვებინა.

დავით ყიფიანი – ნამდვილი ლეგენდა, ფილიგრანულად ზუსტი პასების ავტორი, უძლიერესი დარტყმით გამორჩეული. დაუვიწყარია მილანის **"ინტერთან"** მატჩი, როცა უძლიერეს მცველ ფაკეტის აართვა ბურთი და ულამაზესი გოლიც გაიტანა.

მურთაზ ხურცილავა – შრომისმოყვარე, ნიჭიერებით გამორჩეული ფეხბურთელი. სპორტული კარიერის დასაწყისისთანავე სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვას და მალე მის ურყევ ბურჯად იქცა. ერთხელ კი, მოსკოვის **"დინამოსთან"** მატჩში ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი დაიკავა და მაშინ ჩვენთვის ეს უხერხული მოწინააღმდეგე 5:1 დავამარცხეთ.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ სერგო კოტრიკაძე, ოთარ გაბელია, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ნოდია, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, თემურ ქეცბაია, ძმები არველაძეები, კახი კალაძე... თუმცა თითოეული ეს ფეხბურთელი დირსია, რომ მასზე ცალკე წერილი დაიწეროს.

ამ წერილის სათაურად ტყუილად არ გამოვიყენე ცნობილი ქართული ანდაზა. საწყენია, რომ დღეს ქართველ გულშემატკივარს სტადიონისაკენ გახედვაც კი არ სურს და მთლიანად უცხოეთის ფეხბურთის ცქერით ირთობს თავს. სამწუხარია, რომ უცხოეთიდან საკმაოდ ძვირადღირებული კონტრაქტებით ჩამოგვყავს ლამის **"ჩამოწერილი"** ფახბურთელები, ჩვენი სელექციონერები უკვე აღარ ეძებენ საქართველოს ყველა კუთხეში უხვად გაფანტულ ტალანტებს, რაც, საბოლოო ჯამში, კვდომას უქადის ერთ დროს დიდების ზენიტში მყოფ ქართულ ფეხბურთს.

არ შეიძლება იმ დიდი ტრადიციის დაკარგვა, რითაც დღემდე მოვიდა ქართული ფეხბურთი.

ზურაბ მორგოშია,
წალენჯიხა

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge